


დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში

მიღწევები და არსებული გამოწვევები



2021

კვლევის ხელმძღვანელები:

ქეთევან კუკავა | გურამ იბნაძე | თამარ გვასალია

კვლევის ავტორები:

ანა ნასრაშვილი | ნატა ახალაძე | სალომე ჩხაიძე | ქეთევან კუკავა

მთარგმნელები:

ნინო მერაბაშვილი-ფიშერ | მარიამ ბავაძე



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევა მომზადებულია „ლია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი.“ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

სარჩევი

1. შესავალი	7
2. ეთოქოლოგია	9
3. ძირითადი მიზნაკები	13
4. ინსტიტუციური ანალიზი	20
4.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნამდე არსებული ვითარება და ძირითადი გამოწვევები	21
4.2. სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის შექმნის პროცესი	23
4.3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრესონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციების თავსებადობა	25
4.4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის კონტროლი და გეგმავადობა	29
4.4.1. შიდა კონტროლი და გეგმავადობა	29
4.4.2. სპარტაგენდო გეგმავადობა	34
4.5. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, გამოძიების პროცესში მონაწილეობის ფარგლები	35
4.5.1. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი	35
4.5.2. სახელმწიფო ინსპექტორის გამოძიების პროცესში მონაწილეობის ფარგლები	37
4.6. საგამოძიებო დანაყოფის კურატორი მოადგილის შერჩევა, დანიშვნა და უფლებამოსილების ფარგლები	38
4.7. საგამოძიებო დანაყოფის სტრუქტურა და ტერიტორიული დაფარვა	39
4.7.1. საგამოძიებო დანაყოფის სტრუქტურა	39
4.7.2. ტერიტორიული დაფარვა	40
4.8. გამოძიებალთა კვალიფიკაცია, შერჩევა და დანიშვნა	43
4.9. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	45
5. სამსახურის საგამოძიებო ქვევადებარეობა	48
5.1. შესავალი	49
5.2. სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის სუბიექტები	49
5.3. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოკვრობა	51
5.3.1. წამება და წამების მუქარა	51
5.3.2. არაადამიანური და დამამცირებელი მოკვრობა	54
5.4. უფლებამოსილების გადავება და ბოროტად გამოყენება დამამცირებელი გარემოებების არარსებობის დროს	55
5.4.1. უფლებამოსილების გადავებისა და განგარას უკანონო დაკავების გამიჭვნა	57
5.5. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ქალადობით და დგარალეებულის ჰირადი ღირსების შეურაცხყოფით	58
5.6. უფლებამოსილების გადავება ქალადობით და დგარალეებულის ჰირადი ღირსების შეურაცხყოფით	61
5.6.1. მოხელის მიერ უფლებამოსილების გადავების გამიჭვნა არასათანადო მოკვრობისგან	63
5.7. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება	66
5.8. კენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ჰირის იძულება	68
5.9. სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეგ მყოფი ჰირის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულები	70
5.10. საგამოძიებო სამსახურის მანდატის დაფარტობა	71
5.10.1. სამართალდამცავი ორგანოს/კენიტენციური დაწესებულების თანამგრომლის მიმართ წინააღმდეგობის განვვა	72
5.10.2. გამოძიების პროცესში ჩადენილი დანაშაულები	72
5.10.3. ჰირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული დანაშაულები	74

6. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებაები გამოძიების სფეროში 76

6.1. გამოძიების დაწყება 77
6.1.1. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შედგენილება 77
6.1.2. შესაძლო არასათანადო მოქმედების შესახებ შედგენილების მიღების დრო 82
6.1.3. განმცხადებლის მიერ კოფიცირის შეცვლა 83
6.1.4. მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და გასაუბრება 84
6.1.5. გამოძიების დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება 86
6.2. ოპერატიული საქმიანობა 89
6.3. ფარული და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება 93


7. საგამომიებო პროცესში არსებული ძირითადი დაგროვებების ანალიზი 96

7.1. შესავალი 97
7.2. მტკიცებულების მოკოვება 97
7.2.1. მოქალაქესთან სამართალდამცავთა კომუნიკაცია ტექნიკური საშუალებით 97
7.2.2. ვიგუალური კონტროლის წესი ავნიტაციურ დაწესებულებაში 99
7.2.3. სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის წვდომა ვიდეორეგისტრაციაზე 100
7.2.4. საგამომიებო დეკლარაციებთან სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობა 102
7.2.5. სამართალდამცავები გამოძიების პროცესში 103
7.2.6. ნეიტრალურ მოწვევა თანამშრომლობა და მათი დაცვის გარანტიები 104
7.3. პირის დაგროვებულად ცნობა და მისი უფლებები 106
7.4. საედიციონო ექსპერტიზა 110

8. პროკუროროს ხელმძღვანელობისა და ჯედანქველობის უარგებები 114

8.1. შესავალი 115
8.2. პროკურორის როლი და უფლებამოსილება გამოძიების პროცესში 115
8.2.1. სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის ხელმძღვანელის როლი გამოძიების პროცესში 117
8.2.2. კვალიფიკაციის შეცვლაზე პროკურორის უფლებამოსილება 118
8.2.3. პროკურორის სავალდებულო მითითება 119
8.2.4. საგამომიებო მოქმედებებზე კონტროლი 120
8.2.5. ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე კონტროლი 122
8.2.6. ოპერატიულ საქმიანობაზე კონტროლი 125
8.2.7. შემაჯავებელი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება 127
8.2.8. გენერალური პროკურორის მიერ უწყებრივი საგამომიებო ძველდებარების შეცვლა 128
8.3. ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის დამოუკიდებლობის პროცესუალური გარანტიები 129
8.3.1. დასაბუთებული წინადადებით მიმართვის ინსტიტუტი 129
8.3.2. სხვა უწყებაში მიმდინარე საქმის გაცნობის უფლებამოსილება 130
8.4. დასკვნა 132

9. რეკომენდაციები 133



1. შესავალი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონაცვლე, 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა. ის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქცია 2019 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა. სამართალდამცავთა მიმართ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ მექანიზმის შექმნის აუცილებლობას წლების განმავლობაში ხაზს უსვამდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო დამცველის ოფისი. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ასევე გათვალისწინებული იყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით.¹

წინამდებარე კვლევა პირველი დოკუმენტია, რომელიც საქართველოში არსებულ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს კომპლექსურად და ყოველმხრივ აფასებს. მასში ასახულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი, იდენტიფიცირებულია არსებული გამოწვევები და ხარვეზები, გამოვლენილია გამოძიების პროცესში არსებული დაბრკოლებები, ასევე წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებას.

კვლევა მომზადდა პროექტის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ „სოციალური სამართლიანობის ცენტრთან“ თანამშრომლობით ახორციელებს.

¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vA0k4> წვდომის თარიღი: 05.05.2021.



2. მეთოდოლოგია



წინამდებარე კვლევაზე მუშაობის პროცესში ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი მეთოდოლოგია:

საქართველოში აქტიური ანალიზი

კვლევის ფარგლებში ავტორებმა დაამუშავეს და გააანალიზეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- პატიმრობის კოდექსი;
- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კვლევის ავტორებმა ასევე დაამუშავეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის N34 ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N1310;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N403 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობა-

ციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება;
- N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის ბრძანება N537;
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 30 ნოემბრის N663 ბრძანება;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 18 მაისის N01/132 ბრძანება თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს შექმნისა და მისი მუშაობის წესის შესახებ;
- სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება N01/104 სახელმწიფო ინსპექტორის, სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილისა და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის საკურატორო სფეროების განსაზღვრის შესახებ;
- სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N01/271 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემავალი აღმოსავლეთის სამმართველოსა და დასავლეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ.

საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

შიდა სამართლებრივი ჩარჩოს გარდა, კვლევის ავტორებმა ასევე შეისწავლეს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, ვერძოდ: წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია; წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები; ვენეციის კომისიის დასკვნები; სტამბოლის პროტოკოლი; ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2000/43 რეზოლუცია; გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის სახელმძღვანელო; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებები და სხვა.

საქარო ინფორმაციის ანალიზი

პროექტის გუნდმა საქარო ინფორმაცია გამოითხოვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან და საერთო სასამართლოებიდან. კვლევის ავტორებმა გააანალიზეს შესაბამისი უწყებებიდან მიღებული სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემები, შიდა მარეგულირებელი აქტები, გამოძიების დასრულების შედეგად მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებზე საერთო სასამართლოების 2014-2020 წლებში მიღებული განაჩენები და განჩინებები.


ინფორმალური ინტერვიუები

გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების, ასევე განწყობებისა და მოსაზრებების


ანალიზის მიზნით, პროექტის გუნდი წინასწარ შედგენილი კითხვარით ინდივიდუალურად გაესაუბრა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს, ოპერატიულ მუშაკებსა და პროკურორებს. კვლევის ფარგლებში 2020 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში ჯამში 16 ინტერვიუ ჩატარდა. კითხვები შეეხებოდა გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და ზედამხედველი პროკურორის როლს, მათ ფუნქციებს, საკანონმდებლო და პრაქტიკულ ხარვეზებს, გამოძიების პროცესში არსებულ დაბრკოლებებს და სხვა საკითხებს.

მეორადი წყაროების ანალიზი

კვლევის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, პროექტის გუნდმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სახალხო დამცველის ანგარიშები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები, კვლევები და ანგარიშები, სფეროს ექსპერტთა მოსაზრებები და სხვა წყაროები.



3. ძირითადი მიზნები



ინსტიტუციური ანალიზი

- საგამოძიებო დანაყოფში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი სრულად დამოკიდებულია თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე, რაც ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, პოტენციურ საფრთხეს უქმნის მონაცემთა დაცვის მექანიზმის დამოუკიდებლობას.
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება საკუთარი ინიციატივით განახორციელოს, 2019-2020 წლებში სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტს სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი არც ერთხელ არ შეუმოწმებია, რადგან სამსახურის განმარტებით, მათ არ მიუღიათ ინფორმაცია ან მონაცემთა სუბიექტის შეტყობინება/განცხადება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებაზე.
- საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების არსებული რეგულირება, საერთო ჯამში, დადებით შეფასებას იმსახურებს: განსაზღვრულია სამართალწარმოების ვადები; გათვალისწინებულია კოლეგიური ორგანოს ჩართულობა; უზრუნველყოფილია მტკიცებულებათა მოპოვების, მოწმის გამოკითხვის, ასევე ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.
- დისციპლინური წარმოების პროცესში საბჭოს წევრის სტატუსით იმ თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელის ჩართულობა, რომლის მიმართაც განიხილება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, მხოლოდ თანამშრომლის მიერ ახსნა-განმარტების წარდგენისას არის აკრძალული. დისციპლინური წარმოების სხვა ეტაპებზე თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელის მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის რისკს წარმოშობს.
- დისციპლინური წარმოების პროცესში, სახელმწიფო ინსპექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოიცემა: საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების ან მსუბუქი დისციპლინური გადაცდომისას - პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევაში. ნორმატიულად დადგენილია მხოლოდ ამ ორი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შესაძლებლობა. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას გენერალური ინსპექციის უფროსი იღებს.
- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში განმცხადებლის ჩართულობა და საქმის მიმდინარეობისა თუ შედეგების თაობაზე მისი ინფორმირება ნორმატიულად განერილი არ არის.
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დეპერსონიზებული სახით პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას.
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში ასახულია საკადრო და ფინანსური საკითხების, ასევე, დისციპლინურ საკითხთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, კანონმდებლობით მას ეს ვალდებულება არ აკისრია. ინსპექტორის სამსახურს კანონი ასევე არ ავალდებულებს სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას იმ საქმეებზე, რომლებზეც პროკურატურას დევნა არ დაუწყია, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.
- სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის არსებული მოდელი არ ითვალისწინებს ამ პროცესზე პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების სათანადო გარანტიებს და პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების რისკს წარმოშობს.
- საგამოძიებო დანაყოფში დასაქმებული გამომძიებლების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება მათ საქმეთა სიმრავლეს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სამსახურის საგამოძიებო მანდატს

მიკუთვნებული სისხლის სამართლის საქმეების გამოსაძიებლად 2018 წელს პროკურატურას ბევრად უფრო მეტი ადამიანური რესურსი გააჩნდა, ვიდრე დამოუკიდებელ ორგანოს დღეს.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიან ფუნქციონირებას აფერხებს არასაკმარისი ადამიანური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსი.

სამსახურის საგამოძიებო ქვეყნებში

- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის მანდატი შეზღუდულია წინასწარ განსაზღვრული სუბიექტებით და არ მოიცავს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულზე რეაგირების უფლებამოსილებას.
- საგამოძიებო უწყების ქვემდებარებაში არ არის სამართალდამცავთა მხრიდან გამოძიების პროცესში ჩადენილი არაძალადობრივი დანაშაულები, რაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის რეაგირების მიღმა ტოვებს.
- არ არსებობს ნათელი სამართლებრივი ზღვარი ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტებასა და არასათანადო მოპყრობის ქმედების შემადგენლობებს შორის, რის გამოც ხსენებულ დანაშაულებზე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია.
- სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფ პირზე ძალადობის დაკვალიფიცირება ნაცვლად წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისა, სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით, გავლენას ახდენს გამოძიების ხანდაზმულობის ვადაზე, რაც სამოხელეო დანაშაულის შემთხვევაში 15 წელი, არასათანადო მოპყრობის დანაშაულებზე კი განუსაზღვრელია.
- ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დისპოზიცია ფარავს ამავე დამამძიმებელი გარემოებით უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობას, რის გამოც ამ დანაშაულით (სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით) ქმედების კვალიფიკაცია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში იშვიათია.
- მწირი სასამართლო პრაქტიკა ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე მიუთითებს, რომ იგი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთა, მათ შორის უფრო მაღალი სანქციის მქონე სპეციალური ნორმების (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება) ალტერნატივად შეიძლება გამოიყენებოდეს.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის დისპოზიციით დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის. ჩამონათვალში არ შედის „ჩვენების ან განმარტების მიცემაზე უარის თქმის იძულება“, რაც საგამოძიებო პრაქტიკაში პრობლემურია და საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.
- მოხელის მიერ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ფაქტობრივად იმეორებს წამების შემადგენლობას; ამავდროულად, მნიშვნელოვანი სხვაობაა ხსენებული მუხლებით დაწესებულ სასჯელებს შორის - ქმედების სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირების შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელი 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა, ქმედების წამებად შეფასებისას კი - 9-დან 15 წლამდე.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მეორე ნაწილში (პენიტენციურ დაწე-

სებულებამი მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით) არ არის განსაზღვრული ქმედების სუბიექტი. ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციისთვის ამ დანაშაულის მიკუთვნებისთვის აუცილებელია, ძალადობის სუბიექტად მსჯავრდებულის და ბრალდებულის გარდა, დაწესებულებაში მყოფი საჯარო მოხელე/მოხელესთან გათანაბრებული პირი განისაზღვროს.

- ამავე ნორმის დისპოზიციის დასჯად ქმედებათაგან გამოტოვებულია დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება, არ მისცეს ჩვენება, რაც საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.
- სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილით კრიმინალიზებულია მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით მსჯავრდებულის იძულება, თუმცა გამოტოვებულია „ბრალდებულის“ ამავე მიზნებით იძულების საკითხი, რაც საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უზღაბოშილებაში გამოძიების სფეროში

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებათა ნაწილის დაგვიანებით მიღებაა. ინსპექტორის სამსახურის დაუყოვნებლივ ინფორმირების ვალდებულება ყველა საჯარო უწყებისთვის კანონმდებლობით განწერილი არ არის. ნორმატიულ დონეზე ასევე არ არის მოწესრიგებული შეტყობინების გაგზავნის კონკრეტული ვადა და ფორმა.
- დროებითი მოთავსების იზოლატორი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არასათანადო მოპყრობის შესახებ ტექსტური შეტყობინების გზით სწრაფად ატყობინებს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, შეტყობინების ამ ფორმით გაგზავნა ნორმატიულად დადგენილი არ არის.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართავს, თუ მას გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს. სამწუხაროდ, მსგავსი ვალდებულება არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლეებისთვის.
- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტის შექმნიდან ერთი წლის შემდეგაც ოპერატიული სამმართველო დებულების გარეშე ფუნქციონირებს.
- მოქმედი კანონმდებლობა გამომძიებლებს არ ანიჭებს უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, პროკურორის ჩართულობის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ჩატარების თაობაზე, რაც მტკიცებულებების მოპოვებას აფერხებს.
- პრობლემურია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე ორი დანაშაული (წამების მუქარა; პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლით მიზნით) არ ექცევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ იმ დანაშაულთა ჩამონათვალში, რომელთა არსებობაც ფარული და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წინაპირობაა.

საგამოძიებო პროცესში არსებული ქირითალი ღებჯოლებების ანალიზი

- კანონმდებლობა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ ითვალისწინებს მოქალაქესთან სამართალ-დამცავი უწყების წარმომადგენლის კონტაქტის ტექნიკური საშუალებებით აღბეჭდვის ვალდებულებას, რაც არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიებას ართულებს.
- პოლიციის ადმინისტრაციული შენობები, შიდა და გარე პერიმეტრები, ასევე სამართალდამცავთა ავტომანქანები ვიდეოკამერებით სათანადოდ აღჭურვილი არ არის, რაც სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიების ეფექტიანად წარმოებას ხელს უშლის.
- საგამოძიებო სამსახურის მიერ მოპოვებული საპატრულო პოლიციის სამხრე კამერების ვიდეო-ჩანაწერები ხშირად წყვეტილი ხასიათისაა, რაც ართულებს მოქალაქესა და სამართალდამცავს შორის წარმოშობილ კონფლიქტზე სრული სურათის აღდგენას.
- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურისთვის, ნეტრალურ მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაში არსებული ვიდეო-ჩანაწერების დროულად მოპოვება. ასევე პრობლემაა შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხების დაუ-საბუთებლობა, მათ ბაზებში ვიდეოჩანაწერების არარსებობის კონკრეტულ მიზეზებთან დაკავშირებით.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებს მათ ბაზებში დაცული აუდიო/ვიდეო მონაცემების გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე დაარქივების შესაძლებლობას, რაც საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ სასამართლო განჩინების მოპოვებამდე ამ ინფორმაციის წაშლის და მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურების რისკებს ქმნის.
- მოქმედი კანონმდებლობით, საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთვის დაწესებულების ადმინისტრაციის სპეციალურ ნებართვას საჭიროებენ, რაც ქმნის გამოძიების შეფერხების და მტკიცებულებათა დროულად მოპოვების დაბრკოლების საფრთხეს.
- სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებისთვის დღემდე არ მოქმედებს მამხილებლისთვის კანონით მინიჭებული დაცვის გარანტიები, რაც დამატებითი ბარიერია საგამოძიებო უწყებასთან სამართალდამცავთა თანამშრომლობის პროცესში.
- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური, ინტერესთა კონფლიქტის გამო, ვერ სარგებლობს მონმის დაცვის სპეციალური მექანიზმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოების დროს, რამდენადაც ეს უკანასკნელი სპეციალურ ღონისძიებათა აღმასრულებელი კანონით გათვალისწინებული ერთადერთი უწყებაა.
- პრაქტიკაში პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სავარაუდო დამნაშავეს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას უკავშირდება, რაც სერიოზული გამოწვევაა, რადგან დაზარალებულის სტატუსის მიღება არაერთი მნიშვნელოვანი უფლებით სარგებლობის წინაპირობაა.
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ არის უფლებამოსილი თავად განახორციელოს დაზარალებულის/მონმის დაცვის სპეციალური ღონისძიება, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის სისტემაშიც დიდი ალბათობით მუშაობს უფლება დამრღვევი პირი, ვერ გამოდგება დაზარალებულის/მონმის დაცვის სანდო გარანტად.
- აღმოსავლეთ საქართველოში სავარაუდო დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზაზე წარდგენის შესაძლებლობა შაბათ-კვირას შეზღუდულია. დასავლეთ საქართველოში პრობლემურია 18:00 საათის შემდგომ ექსპერტიზის ჩატარება. ამ გამოწვევების საპასუხოდ, ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა არასამუშაო საათებში/დღეებში ექსპერტიზის


ჩასატარებლად მორიგე ექსპერტის განსაზღვრა, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

- საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებიდან პირველ თვეებში გარკვეული გამოწვევები არსებობდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დროულად მიწოდებასთან დაკავშირებით, თუმცა ბოლო პერიოდში ვითარება შედარებით გაუმჯობესდა. ახალ საქმეებზე დანიშნულ ექსპერტიზებზე დასკვნები ინსპექტორის სამსახურს შედარებით სწრაფად მიეწოდება.

საკროკურორო ხელმძღვანელოვისა და ზელამხელელოვის უარგლეკი

- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მიუხედავად, იგი არ არის აღჭურვილი გამოძიების დამოუკიდებლად წარმართვის საკმარისი მექანიზმებით. გამოძიებელი შემდუდულია, დამოუკიდებლად წარმართოს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, მიიღოს გადაწყვეტილებები საქმეზე არსებითად მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე.
- საგამოძიებო სამსახურს არ შეუძლია პროკურატურის გარეშე, მათ შორის, მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობის დროსაც, დამოუკიდებლად და დაუყოვნებლივ მოიპოვოს კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაცია (ვიდეოჩანაწერები), რაც სამართალდამცავი პირის მიერ შესაძლო დანაშაულის გამოძიების მთავარი მტკიცებულებაა.
- სისხლის სამართლის საქმეზე ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, ისევე როგორც ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება პროკურორისგან თანხმობის მიღებას საჭიროებს, რაც ხელს უშლის აუცილებელ მტკიცებულებათა ეფექტიანად და დროულად მოპოვებას.
- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურისთვის გამოძიების ეფექტიანად წარმართვისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ექსკლუზიური ინსტრუმენტები პრაქტიკაში არაქმედითია:
 - ▶ დასაბუთებული წინადადება, საგამოძიებო მოქმედების მიზანშეწონილობის თაობაზე, პროკურატურისთვის არასავალდებულოა; პროკურატურის მიერ წინადადების არგამიარების შემთხვევაში, გენერალურ პროკურორთან გასაჩივრების პროცესი დროში გაწელილია. საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილებას გენერალური პროკურორი ან მის მიერ დელეგირებული პირი იღებს და მასზე სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება.
 - ▶ დასაბუთებული წინადადების წარდგენისა და განხილვის პროცესში არ მონაწილეობენ გამოძიების მწარმოებელი უშუალო პირები, არამედ მაღალი თანამდებობის პირები - სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე, სახელმწიფო ინსპექტორი და გენერალური პროკურორი, რაც გადაწყვეტილების დროულად მიღების პროცესს კიდევ უფრო მოუქნელს ხდის.
 - ▶ სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის უფლებამოსილების განხორციელება, მოითხოვოს სხვა საგამოძიებო ორგანოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გაცნობა, დამოუკიდებელია პროკურორის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც შეუძლია დასაბუთების ვალდებულების გარეშე მოთხოვნაზე უარი განაცხადოს; საჩივრის განხილვისთვის კანონმდებლობით მთლიანობაში 48 საათია საჭირო, რა დროშიც არ გამოირიცხება საქმის ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულების განადგურება.
- გენერალური პროკურორი კანონმდებლობით უფლებამოსილია, უწყებრივი ქვემდებარეობის დაუცველად, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის მანდატს მიკუთვნებული საქმე გამოსაძიებლად სხვა ორგანოს გადასცეს, რაც დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის დაბრკოლების რისკებს ქმნის.

- სახელმწიფო ინსპექტორის მანდატს მიკუთვნებულ საქმეებზე გამოიკვეთა პროკურატურის მხრიდან სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლის ტენდენცია. შესწავლილი დადგენილებები კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე არ არის დასაბუთებული და არ ეფუძნება გამოძიების პროცესში მოპოვებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს. მეტიც, მათი ნაწილი გამოძიების დაწყების დღესვეა მიღებული, რაც საწყის ეტაპზევე, საქმის გამომძიებლის მხრიდან საგამოძიებო პროცესის შეხედულებისამებრ წარმართვას აფერხებს.
- საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვთ. პროკურატურა საქმეზე ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ამონურვამდე თავს იკავებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისგან მაშინ, როდესაც საგამოძიებო სამსახური დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობისას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჭიროებას ხედავს.
- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე დასაბუთებული წინადადების პასუხად, პროკურატურამ 2020 წლის ერთ სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე სავალდებულო მითითება გასცა, რამაც საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეზე დევნის დაწყების გაჭიანურების რისკები შექმნა.



4. ინსტიტუციური ანალიზი



4.1. სსკელოზიუმ ინსექტორის სემსახურის შექმნაჲე არსებულ ჰითარქაჲა ღა ქირითალი გამოწჲეჲეჲი

საქართველოს სამართალდამცავ და სასჯელაღსრულებით ორგანოებში არასათანადო მოპყრობა, უფლებამოსილების გადამეტება და გამოძიების უკანონო მეთოდებით წარმართვა წლების განმავლობაში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. მწვავე მოცემულობას ხელს უწყობდა სამართალდამცავთა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების არდაწყება, დაწყებული გამოძიების არასათანადოდ, არაეფექტიანად ჩატარება, მტკიცებულებების დაგვიანებით მოპოვება, სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის გაჭიანურება, გამოძიების ცალმხრივად, მიკერძოებულად ჩატარება, გამოძიების ფორმალური ხასიათი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება, შემდგომ კი დევნის შეწყვეტა და საქმეებზე საბოლოო შედეგების არარსებობა. ამ მიზეზთა გამო, სამართალდამცავი სისტემა არაერთხელ გამხდარა მკაცრი კრიტიკის საგანი საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე.²

სერიოზული გამოწვევები არსებობდა ასევე გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. პოლიტიზებული შინაგან საქმეთა სამინისტრო და ამ სტრუქტურაში კონცენტრირებული ჭარბი ძალაუფლება ცვლილებებს საჭიროებდა.³ ამ მხრივ, სისტემურ რეფორმებს მოითხოვდა საზოგადოება, სამოქალაქო სექტორი, სახალხო დამცველი, საერთაშორისო ორგანიზაციები.

სამართალდამცავთა მიერ კანონის დარღვევის სისტემატურ პრაქტიკას ხელს უწყობდა დაუსჯელობის სინდრომი. ხშირად პროკურატურა საქმეებს წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნაცვლად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ან ცემად აკვალიფიცირებდა.⁴ პრობლემების აღმოფხვრის ნაცვლად, სისტემა არასათანადო მოპყრობის ფაქტების დამალვასა და მიჩქმალვაზე მუშაობდა. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები სავარაუდო მსხვერპლებს არწმუნებდნენ, უარი ეთქვათ საჩივარზე ან მხოლოდ ფორმალური გასაუბრებით შემოიფარგლებოდნენ.⁵

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო დემონსტრაციებზე სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება. მათ მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე გამოძიება, როგორც წესი, არ ხორციელდებოდა. გარდა ამისა, წლების განმავლობაში აღიარებითი ჩვენება წარმოადგენდა ერთადერთ მტკიცებულებას და ეს საკმარისი იყო პირთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ადამიანების წამების, დამამცირებელი თუ არაადამიანური მოპყრობის, იძულების მეთოდების გამოყენებით აღიარებითი ჩვენების მოპოვება სისტემატურ ხასიათს ატარებდა. წამება მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა როგორც საპატიმროებში, ისე პოლიციის იზოლატორებში, სამმართველოებში, განყოფილებებსა და უშიშროების იზოლატორში.⁶

2012 წელს საპარლამენტო არჩევნებამდე გავრცელებული წამების ამსახველი ვიდეომასალა ერთ-ერთი მაგალითი იყო იმ სისტემური პრობლემისა, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობდა. არასამთავრობო ორგანიზაციები მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ, ეფექტურ გამოძიებას და საამისოდ კონკრეტული მექანიზმის შექმნას მოითხოვდნენ, რადგან საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის მიმართ ნდობა არ არსებობდა.⁷

სამართალდამცავთა მიერ ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევები და დაუსჯელობის სინდრომი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის საჭიროებაზე მიუთითებდა. ეს კი, თავის მხრივ, შეამცირებდა იმ უარყოფით შედეგებს, რაც კოლეგების მიერ კოლეგის მიმართ წარმოებულ გამოძიებას შეიძლება მოჰყოლოდა და სამართალდამცავთა მიმართ საზოგადოების ნდობის საფუძველს შექმნიდა.⁸

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2015 წლის ანგარიშში გამოძიების კუთხით არსებულ არაერთ ხარვეზზე უთითებდა:

პრობლემას წარმოადგენდა დამოუკიდებელი გამომძიებლების ნაკლებობა, სახალხო დამცველის საჩივრებზე პროკურატურის ნელი და აუქჩარებელი რეაგირება, მტკიცებულებათა დაგვიანებით მოპოვება, პატიმართა დატოვება იმ პირთა ზედამხედველობის ქვეშ, რომლებიც მათზე, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობას ახორციელებდნენ; გარდა ამისა, ციხეებში სამედიცინო პერსონალის ქმედებები ეჭვქვეშ აყენებდა მათ პროფესიულ დამოუკიდებლობას, ასევე არ ხდებოდა დაზიანებათა სათანადოდ დოკუმენტირება.⁹

გამომძიებლის დამოუკიდებლობასა და მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე სახალხო დამცველი თითქმის ყველა ანგარიშში ამახვილებდა ყურადღებას: არ ხდებოდა სავარაუდოდ მსხვერპლთა დაცვა განმეორებითი ზენოლისგან; არსებობდა ინსტიტუციური კავშირი გამომძიებლებსა და ინციდენტში მხილებულ პირებს შორის;¹⁰ არ ხდებოდა პირის დაზარებულად ცნობა, რათა სავარაუდოდ მსხვერპლს არ ჰქონოდა საქმის მასალების გაცნობისა და პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა; სამართალდამცავთა ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით კვალიფიცირდებოდა, რომელიც ნაკლებ პასუხისმგებლობას ადგენდა.

დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის შემოღებამდე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ განხილულ არაერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის მუხლ(ებ)ის დარღვევა და აღნიშნა, რომ გამომძიებლის პროცესი სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობდა.¹¹

მართალია, ბოლო წლებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევებმა იკლო და გამომძიებლის დაწყების ფაქტებმა იმატა, თუმცა გამომძიებლის დროულად, სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარება ისევ გამონაკვად დარჩა. სწორედ საზოგადოებაში არსებული უნდობლობისა და სამართალდამცავთა დაუსჯელობის გამო ითხოვდა სამოქალაქო სექტორი დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის შექმნას, რომელიც ალტერნატიული იქნებოდა სათანადო კომპეტენციით, მანდატითა და ბერკეტებით.¹²

არსებული სისტემური ხარვეზების გადაჭრის მიზნით, 2015 წელს სამოქალაქო საზოგადოებამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც საგამომძიებო და სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციების მქონე დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის შექმნას ითვალისწინებდა. კანონპროექტში ასახული იყო ისეთი პრინციპები, როგორებიც არის კერძო პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა, დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, კანონიერება და ადეკვატურობა, საჯაროობა და გამჭვირვალობა. წლების განმავლობაში სამოქალაქო სექტორი სწორედ ამგვარი ფუნქციებითა და პრინციპებით ალტერნატიული საგამომძიებო მექანიზმის შექმნას უჭერდა მხარს.¹³

სამართალდამცავთა მიმართ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამომძიებლის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება ასოცირების ხელშეკრულების 2017-2020 წლების დღის წესრიგითაც განისაზღვრა. საბოლოოდ, პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი, რომელმაც დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის ფუნქცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს

⁹ CPT, Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 31 December, 2015, p.20, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33olnCB>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹⁰ პენიტენციურ დაწესებულებებში სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის საქმეებს პროკურატურა შემდგომი რეაგირებისთვის სასჯელსრულებისა და პრობაციის სამინისტროში აგზავნიდა, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელსრულებითი დაწესებულებები და აღნიშნული საგამომძიებო ორგანო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო.

¹¹ ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37cMbHc>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹² კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 4 ოქტომბერი, 2017 წ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fEAYJY> წვდომის თარიღი: 26.01.2021.

¹³ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dWoSX3>, წვდომის თარიღი: 01.03.2021.

მიანიჭა, ხოლო საპროცესო ზედამხედველობა კვლავ პროკურატურის უფლებამოსილებად დარჩა.

4.2. სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის შექმნის პროცესი

საქართველოს პარლამენტმა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი 2018 წელს მიიღო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და მის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განსაზღვრა მისთვის საგამოძიებო კომპეტენციის მინიჭებამ განაპირობა. ახლად შექმნილ სამსახურს არსებული ფუნქციების¹⁴ პარალელურად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილებაც მიენიჭა.¹⁵

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედება რამდენჯერმე გადავადდა.¹⁶ თავდაპირველად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების ვადად 2019 წლის პირველი იანვარი განისაზღვრა, თუმცა ის ჯერ 2019 წლის პირველ ივლისამდე, ხოლო შემდგომ 2019 წლის პირველ ნოემბრამდე გადავადდა.¹⁷ შედეგად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიღმა დარჩა ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე არაერთი საქმე.¹⁸

საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედების დროში გაჭიანურების მთავარი მიზეზი და დაბრკოლება ფინანსური სახსრების გამოყოფა იყო, რაც თავის დროზე მოითხოვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, თუმცა „საკითხი დროულად არ დაკმაყოფილდა“.¹⁹ საქართველოს მთავრობამ თითქმის ერთი წლის მანძილზე არ გამოყოფა სახსრები სამსახურის ლოჯისტიკითა და კადრებით უზრუნველსაყოფად.²⁰

დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ამოქმედებამდე, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონში არსებულ ხარვეზებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და მათ აღმოფხვრას მოითხოვდნენ. სადავო საკითხებში შედიოდა: ჭარბი საპროკურორო ზედამხედველობის პირობებში, სამსახურის მხოლოდ საგამოძიებო კომპეტენციით აღჭურვა;²¹ ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა ვიწრო წრე;²² გენერალური პროკურორის მიერ საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაუცველად, საგამოძიებო ორგანოსთვის საქმის გადაცემის უფლებამოსილება;²³ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა

¹⁴ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობების კონტროლი.

¹⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ისტორია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37gdvUL>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹⁶ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 9 ივლისი, 2019 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8b8Of>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წ., გვ. 112, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f5q1Ox>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹⁸ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ. გვ. 17, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mdji43>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3flegtz>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

²⁰ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 3 ივლისი, 2019წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o1nAM9>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

²¹ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 14 თებერვალი, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q0EcFP>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

²² იქვე.

²³ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019 წ., გვ. 4-5, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3leCMUK>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

და საგამოძიებო ფუნქციის ერთ უწყებაში გაერთიანება;²⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატის არგავრცელება ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია გენერალური პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ.²⁵

ამ გამოწვევების ფონზე, წამების პრევენციის კომიტეტმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სრულ ამოქმედებამდე, ნაადრევად ჩათვალა ახალ, დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმზე სარწმუნო შეფასების გაცემა.²⁶

საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებამდე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა: განისაზღვრა გამოძიებლის თანამდებობის რამდენიმე სახე; დაინერგა სტაჟიორ-გამომძიებლის ინსტიტუტი; სისხლის სამართლის ზოგიერთ დარგში მომუშავე პირებისთვის მოიხსნა ინსპექტორის სამსახურში გამოძიებლად მუშაობისთვის დაწესებული დამატებითი ბარიერები; კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მზღუდავი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ინსპექტორის მოადგილის მიერ საქმის ზედამხედველი პროკურორისთვის წინა სასამართლო სხდომამდე მიმართვის ვადა გაიზარდა, ხოლო ინსპექტორის მოადგილისთვის დაწესებული, სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხაში მტკიცებულების შეტანის შესახებ ზედამხედველ პროკურორთან მიმართვის 20-დღიანი ვადა საერთოდ გაუქმდა.²⁷

საბოლოოდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში და, ზოგადად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის პოზიციების გაუთვალისწინებლად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2019 წლის პირველი ნოემბრიდან საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელება დაიწყო.

4.3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო უწყვილების თავსებადობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმიანობს რამდენიმე მიმართულებით: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების, ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება.²⁸

როგორც უკვე აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციების ერთ

²⁴ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მოსაზრებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, 20 მარტი, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33i8ieb>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

²⁵ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o4TgHM>, წვდომის თარიღი: 27.11.2020. ასევე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წ., გვ. 86-87.

²⁶ CPT, Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 10 May, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3meEgzs>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

²⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 106-107, <https://bit.ly/3sXnYOV>, წვდომის თარიღი: 02.04.2021.

²⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-3 მუხლი.

უნცებაში გაერთიანებას სამოქალაქო სექტორი უნდობლობით შეხვდა. სამსახურის შიგნით ამ ორი უფლებამოსილების თანაარსებობა მონაცემთა დაცვის მექანიზმის დამოუკიდებლობას პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა და ინტერესთა კონფლიქტის რისკს წარმოშობდა.²⁹ კითხვები გაჩნდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მხრიდან მისი ქვემდებარე დანაშაულების გამოძიების პროცესში მონაცემთა დაცვის კონტროლის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.³⁰ ამ ორი სრულიად განსხვავებული მექანიზმის ერთ ორგანოში გაერთიანება ფინანსური სახსრების დაზოგვით აიხსნა.³¹ სახალხო დამცველის მოსაზრებით, აუცილებელი იყო კანონმდებლობაში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის გათვალისწინება.³²

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს ამოქმედდა, თუმცა ფარული მიყურადების კანონიერების კონტროლი, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას მონაცემთა ავტომატური დამუშავების კანონიერების შემოწმება იმ დროს არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას არ მიეკუთვნებოდა.

უკანონო თვალთვალის ორგანიზებული პრაქტიკა დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაშინების, შანტაჟის მიზნით, ასევე პოლიტიკური ბუნების მოსახდენად სასამართლო ნებართვის გარეშე ჩაწერილი უამრავი ვიდეო და აუდიოჩანაწერი აღმოჩნდა. საჭირო იყო ტექნიკური და ფიზიკური სათვალთვალო აქტივობების რეგულირება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და საჭირო რესურსების გამოყოფა, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას ან სხვა აღმასრულებელ ორგანოს არ ჰქონოდა სასამართლოს ნებართვისა და კანონიერი საფუძვლის გარეშე თვალთვალის შესაძლებლობა.³³

2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ინსპექტორს ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლის უფლებამოსილება მიენიჭა.³⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა ასევე გავრცელდა დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე.³⁵ ინსპექტორის სამსახურში შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოების საზედამხებველო სტრუქტურა, რომელსაც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხებველობა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება დაევა.³⁶

დღევანდელი კანონმდებლობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში აღნიშნულ ფუნქციებს

²⁹ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მოსაზრებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, 20 მარტი, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33paRLp>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

³⁰ GDI, სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ. 18 <https://bit.ly/2V8CrYP>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

³¹ ინტერესთა კონფლიქტი და საფრთხეები - რა იცვლება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fDHSZk>, წვდომის თარიღი: 27.10.2020.

³² საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით, 15 თებერვალი, 2018 წ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JnPT8r>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

³³ Thomas Hammarberg, Georgia in Transition, Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges, September 2013, p.21, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36aLj6w>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

³⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში, 2014, გვ.4.

³⁵ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

³⁶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში, 2015 წ. გვ. 34.

სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს.³⁷ დეპარტამენტს ევალება სამართალდამცავ ორგანოებში ან სხვა საჯარო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მიზნით შემოწმება (ინსპექტირება), ასევე სავარაუდო დარღვევებზე/ფაქტებზე (ინციდენტებზე) რეაგირება.³⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლის არსებული სისტემა არ ქმნის უკანონო მოსმენების სრულად აღმოფხვრის გარანტიას. არსებული სამართლებრივი მონესრიგება კვლავ ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მყარ დაცვას, რადგან ეჭვქვეშ დგას სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს რეალური დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, თვითნებობისა და უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობის რისკი არ არის დაზღვეული ეფექტიანი კონტროლის მექანიზმებით.³⁹

არსებული რეგულირებით ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნება სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ზედამხედველობა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი.⁴⁰ კანონმდებლობის თანახმად, ამგვარ კონტროლს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (ზედამხედველი მოსამართლე) ახორციელებს.⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს ზედამხედველობის განხორციელების წესსა და პირობებს. შესაბამისად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით, არსებული სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს გარე კონტროლის მექანიზმის არსებობას, რაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას ემსახურება.

სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხები მხოლოდ ფარული საგამოძიებო საქმიანობის ჭრილში არ განიხილება, რადგან ისინი კანონით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელების პროცესშიც ამუშავებენ დიდი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს. სამართალდამცავ ორგანოებში უამრავი ინფორმაცია იყრის თავს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მათ დაცვაზე განსაკუთრებული ზედამხედველობა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სამსახური უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, აგრეთვე, მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შექმნას საინფორმაციო სისტემები.⁴² ეს პროცესი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იწვევს დიდი ოდენობით პერსონალური მონაცემის საგამოძიებო ორგანოში თავმოყრას.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში მონაცემების დამუშავების კანონიერება ეფექტიან კონტროლს დაექვემდებაროს. პერსონალური მონაცემების დამუშ-

³⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-10 მუხლი.

³⁸ იქვე.

³⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ფარული მიყურადება საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VQj2fr>, წვდომის თარიღი: 06.12.2020.

⁴⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 32¹-ე ნაწილი, 143³-ე მუხლის მე-5, მე-5⁷, 6⁴ და მე-7 ნაწილები, 143⁴-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴² „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

ავებისას აუცილებლად უნდა იყოს დაცული მონაცემთა დამუშავების პრინციპები, რაც გულისხმობს მონაცემების კანონის შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისთვის, პროპორციულად დამუშავებას. ამავე დროს, მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი და ინახებოდეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად.⁴³ ამ პრინციპების ეფექტიანი დაცვისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფზე სათანადო ზედამხედველობის განხორციელება.

საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს სამსახურის სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი.⁴⁴ შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირების) წესი⁴⁵ ასევე ვრცელდება საგამოძიებო დეპარტამენტის ინსპექტირებაზე. გარდა ამისა, გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) უზრუნველყოფს სამსახურში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლს.⁴⁶ სამსახურის ეთიკის კოდექსის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა და დადგენილი წესის უგულვებლყოფით მესამე პირთათვის მონაცემების გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.⁴⁷

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეამოწმოს ნებისმიერი მონაცემის დამუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი.⁴⁸ ამ ფუნქციის შესასრულებლად, სამსახური უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია ან შესამოწმებლად შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში, რათა გაცნოს იქ დაცულ ინფორმაციას, მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას.⁴⁹

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი გამოძიების ფარგლებში სხვა უწყებების მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას ახდენს. 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2021 წლის 3 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების სავარაუდო დარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოავლინა, რის შესახებაც ამ დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტს მიმართეს.⁵⁰ ეს ფაქტები სავარაუდო მსხვერპლებთან გასაუბრებისა და გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა.⁵¹

ლუკა სირაძის საქმის გამოძიების ფარგლებში სერიოზული პრობლემები გამოვლინდა სკოლაში დასაქმებული პირებისა და არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების კუთხით.⁵² ამ საქმის გამოძიებისას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შპს „თბილისის მწვანე სკოლის“

⁴³ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

⁴⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 1-ლი დეკემბრის წერილი SIS72000019484.

⁴⁵ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 2 ივლისის N2 ბრძანება.

⁴⁶ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის N2 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების“ მე-19 მუხლი.

⁴⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლი.

⁴⁸ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁹ იქვე, მე-3 და მე-6 პუნქტები.

⁵⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის წერილი NSIS32100002225.

⁵¹ იქვე.

⁵² სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის NSIS32100002225 წერილის დანართი 1: სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 იანვრის Nგ-1/005/2020 გადაწყვეტილება.

შემონშების გადაწყვეტილება მიიღო და შედეგად, სკოლა სამართალდამრღვევად ცნო.⁵³ ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ინსპექტორის სამსახური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციებს ეფექტიანად ითავსებს.

საქართველოს კანონმდებლობით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით მიმართოს სამსახურს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.⁵⁴ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სამსახურის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით სასამართლოში გაასაჩივროს.⁵⁵

შესაბამისად, განცხადების განხილვა შესაძლებელია როგორც ინსპექტორის სამსახურის, ისე სასამართლოს მიერ, ხოლო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობა ადგენს ინსპექტირების ჩატარების სხვა საფუძვლებსაც, რომლებიც არ არის დაკავშირებული მონაცემთა სუბიექტის მიერ განაცხადის წარმოდგენასთან. მონაცემთა სუბიექტი შესაძლოა, პერსონალური მონაცემების დარღვევის თაობაზე არც იყოს ინფორმირებული. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავების კანონიერების კონტროლი სრულად დამოკიდებულია თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე, რაც ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, პოტენციურ საფრთხეს უქმნის მონაცემთა დაცვის მექანიზმის დამოუკიდებლობას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამსახურის სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საგამოძიებო დეპარტამენტის შემონშება ერთხელაც არ განხორციელებულა, რადგან სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტს არ მიუღია ინფორმაცია ან მონაცემთა სუბიექტის შეტყობინება/განცხადება პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების კანონიერების შემონშებაზე.⁵⁶ ამავე დროს, საგამოძიებო და ზედამხედველობის დეპარტამენტები პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე აქტიურად თანამშრომლობენ. გამოძიებლებს უტარდებათ ტრენინგები და იღებენ კონსულტაციებს საგამოძიებო და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე და მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.⁵⁷

ინტერვიუებისას გამოძიებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების კანონიერების კონტროლისა და საგამოძიებო ფუნქციების თავსებადობის კუთხით, ისინი პრობლემას ვერ ხედავენ, რამდენადაც სამსახურის ეს ორი მიმართულება სრულიად გამიჯნულია ერთმანეთისაგან (მათ შორის ტერიტორიულადაც, ისინი სხვადასხვა ოფისში არიან განაწილებული) და მათი გადაკვეთა პრაქტიკულად არ ხდება.

⁵³ მწვანე სკოლა ვიდეოთვალთვალს გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში ახორციელებდა. გარდა ამისა, სკოლის შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეო თვალთვალის სისტემა გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინოდ ადგილას განთავსების გარეშე იყო გამოყენებული, არ იყო დაცული მონაცემთა უსაფრთხოება. ასევე, სკოლამ სამართალდამცავ ორგანოებს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე გადასცა ვიდეოჩანანერები, რითიც გვერდი აუარა კანონს.

⁵⁴ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁵ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁵⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 30 დეკემბრის წერილი NSISO2000021592.

⁵⁷ იქვე.

4.4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის კონსტრუქციული და ზედამხედველობა

ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის მიმართ ქმედითი კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამსახურის გამართულ ფუნქციონირებას.

4.4.1. შიდა კონსტრუქციული და ზედამხედველობა

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის აუცილებელი ელემენტი დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით სათანადო საჩივრების მექანიზმისა და სამართლიანი პროცედურების არსებობაა, რაც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.⁵⁸

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შიგნით საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე.⁵⁹ გარდა ამისა, შიდა კონტროლის განსახორციელებლად, სამსახურში ფუნქციონირებს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი.⁶⁰ ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია და ანგარიშვალდებულებას სწორედ მის წინაშეა.⁶¹

გენერალური ინსპექცია უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობისა და ინსპექტორის აქტების შესრულების კონტროლს, ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების, ვითვის ნორმებისა და შინაგანანგის დარღვევის გამოვლენას, სხვა პირის უფლებების შესაძლო დარღვევასთან, შესაძლო სამსახურებრივ გადაცდომასთან დაკავშირებით განცხადებებისა და საჩივრების შესწავლას, მათზე შესაბამის რეაგირებას, თანამშრომელთა მიერ გადაცდომის ფაქტების შესწავლას, დასკვნების შედგენასა და სახელმწიფო ინსპექტორისთვის მათ წარდგენას, კომპეტენციის ფარგლებში კორექტივური განხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებას.⁶² გენერალური ინსპექციის უფლებამოსილება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულებით რეგულირდება.⁶³

საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს სამსახურში აუდიტის, ინსპექტირების ან/და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, თანამშრომლის განცხადების, მოქალაქის განცხადების, მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის, საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან მიღებული ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის, სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების, სამსახურში არსებული ელექტრონული პროგრამების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, აგრეთვე დისციპლინურ გადაცდომაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.⁶⁴

⁵⁸ UNODC, Handbook on Police Accountability, Oversight and Integrity, 2011, p. IV, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39yq015>, წვდომის თარიღი: 27.11.2020.

⁵⁹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-1¹ პუნქტი.

⁶⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.


⁶¹ იქვე, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

⁶² იქვე, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.


⁶³ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁶⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპით მიმდინარეობს.⁶⁵ ეს პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:



⁶⁵ იქვე, 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი.



დისციპლინური წარმოების დროს მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე შედგენილ დასკვნაში აღინიშნება დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მონაცემები, აღინიშნება დისციპლინური გადაცდომა, ამასთან, მიღებული დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. გადაცდომის არარსებობისას აღინიშნება მოპოვებული ინფორმაცია და იწერება გადაცდომის არარსებობის დასაბუთება.⁶⁶ ნებისმიერ შემთხვევაში დასკვნის შედგენის ვალდებულება დაინტერესებული პირის მიერ მის სასამართლოში გასაჩივრების პერსპექტივას აჩენს, რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

დისციპლინური წარმოებისას სამსახურებრივი შემონიშნების დასკვნის მომზადებისა და მისი სამსახურის გენერალური ინსპექციის უფროსისათვის წარდგენის ვადა ნორმატიულად არის დადგენილი.⁶⁷ დისციპლინური წარმოების ვადების სამართლებრივი მოწესრიგება დადებით შეფასებას იმსახურებს, რაც, სამწუხაროდ, არ არის სხვა სტრუქტურებში გავრცელებული პრაქტიკა.

როგორც ზემოთ არის ასახული, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე დასკვნას ინსპექტორი განსახილველად გადასცემს თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, ნახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს.⁶⁸ დისციპლინური საკითხების გადაწყვეტის პროცესში კოლეგიური ორგანოს ჩართულობა დადებით შეფასებას იმსახურებს.

⁶⁶ იქვე, მე-9 და მე-10 პუნქტები.

⁶⁷ იქვე, მე-11, მე-12 და მე-14 პუნქტები.

⁶⁸ იქვე, მე-15 პუნქტი.

საბჭოს წევრები არიან სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეობს, სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეები, რომელთაგან ინსპექტორის ადმინისტრაციული დეპარტამენტის კურატორი მოადგილე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, გენერალური ინსპექციის უფროსი, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის, საჯარო სექტორზე ზედამხედველობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონიტორინგის, იურიდიული, ადმინისტრაციული დეპარტამენტების, საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსები, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და აღმოსავლეთ სამმართველოს უფროსი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (საბჭოს მდივანი).⁶⁹

საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (საბჭოს მდივანი კენჭისყრაში არ მონაწილეობს). საბჭოს წევრი უფლებამოსილია, თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისგან, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.⁷⁰

დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას საბჭოს წევრის სტატუსით დასწრება არ შეუძლია პირს, რომლის მიმართაც განიხილება დისციპლინური გადაცდომის საკითხი და სამსახურის გენერალური ინსპექციის უფროსს (გარდა დასკვნის წარდგენის მიზნით დასწრებისა), ხოლო თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელსა და ზემდგომ ხელმძღვანელს სხდომაზე დასწრება ეკრძალებათ თანამშრომლის ახსნა-განმარტებით საბჭოს წინაშე წარდგენისას.⁷¹ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ იმ თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელს, რომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც განიხილება, ასევე არ შეეძლოს დისციპლინური გადაცდომის განხილვის სხდომასა და კენჭისყრაში მონაწილეობა, რაც გადაწყვეტილების მიღებისას ყოველგვარ მიკერძოებას გამორიცხავდა.

საბჭოს რეკომენდაციის მიღებიდან ან რეკომენდაციის გათვალისწინებით გადამუშავებული დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღეში, სახელმწიფო ინსპექტორი იღებს გადაწყვეტილებას საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების, ხოლო მსუბუქი დისციპლინური გადაცდომისას - პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.⁷² ინსპექტორის ეს გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით,⁷³ რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, სამწუხაროდ, ინსპექტორი აქტს მხოლოდ შემოთხვეულ ორ შემთხვევაში გამოსცემს. თუ დისციპლინური წარმოების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, გენერალური ინსპექციის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორთან შეთანხმებით წყვეტს წარმოებას.⁷⁴ საქმისწარმოება წყდება ასევე, თუ არ დადასტურდება დისციპლინური გადაცდომა.⁷⁵

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საგამოძიებო მიმართულების ამოქმედებიდან 2021 წლის 31 იანვრამდე საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური წარმოება

⁶⁹ „თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, ნახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს შექმნისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 18.05.2020 წლის N01/132 ბრძანების პირველი პუნქტი.

⁷⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 18.05.2020 წლის N01/132 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, ნახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა საბჭოს შექმნისა და მისი მუშაობის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷¹ იქვე, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷² იქვე, 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷³ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁷⁴ იქვე, 54-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷⁵ იქვე, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

დაიწყო სულ 3 ფაქტზე, რომელთაგან ორ შემთხვევაში საქმისწარმოება შეწყდა, ხოლო ერთი ჯერ არ დასრულებულა.⁷⁶ ორივე შემთხვევაში, დისციპლინური წარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი.⁷⁷ დასკვნაზე ხელს აწერენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის თანამშრომელი/თანამშრომლები, ხოლო გენერალური ინსპექციის უფროსი აკეთებს ჩანაწერს „ვეთანხმები“.

სასურველია, რომ დისციპლინურ სამართალწარმოებაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის აქტის სახით გამოიყოს, რაც ცალსახად უზრუნველყოფს დისციპლინურ საქმეებზე გამოცემული ყველა დასკვნის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

დისციპლინური წარმოების წესი ითვალისწინებს მოწმის გამოკითხვის პროცედურას, თუმცა თუ განმცხადებელი ამავე დროს მოწმე არ არის, პროცესში მისი ჩართულობა უზრუნველყოფილი არ არის. ამასთან, მოწმედ გამოკითხვის შემთხვევაზე ვერ ჩაითვლება პროცესში პირის სრულყოფილ ჩართულობად. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა ისეთი შემთხვევებიც, როცა მესამე პირებს ადგებათ ზიანი. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომა შეიძლება იყოს ეთიკის კოდექსის დარღვევა, ხოლო ეთიკის კოდექსით დადგენილი ზოგიერთი წესი მესამე პირების ინტერესებზეც ახდენს გავლენას. კერძოდ, ეთიკის კოდექსის დარღვევად ითვლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევა, პერსონალური ინფორმაციის ან კონფიდენციალური ან/და არასაჯარო ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეების მიმართ დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ქმედებები ან განცხადებები.⁷⁸ ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სამართალწარმოება მხოლოდ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობით შემოიფარგლება, მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლები ასევე იყვნენ ჩართული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, რადგან მათ საქმის შედეგებისადმი მნიშვნელოვანი ინტერესი გააჩნიათ.

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი მოქალაქის განცხადებაა, თუმცა განმცხადებლის პროცესში ჩართულობას ან მიღებული ზომების, საქმის მიმდინარეობისა თუ შედეგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას დებულება არ ითვალისწინებს. შესაბამისად, უცნობია, ეცნობება თუ არა, ან რა ვადაში, განმცხადებელს ამგვარი ინფორმაცია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, შესაძლოა, განმცხადებელს პროცესის მიმდინარეობისა და საქმის შედეგების შესახებ საერთოდ არ ეცნობოს. ამგვარი ბუნდოვანება ტოვებს განცდას, რომ განმცხადებელი არ სარგებლობს მინიმალური შესაძლებლობითაც კი, რომ მონიტორინგი გაუწიოს საქმის შესწავლის პროცესს.

ამასთან, მიზანშეწონილია, კანონით გაიწეროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვალდებულება, პროაქტიულად გამოაქვეყნოს დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დეპერსონიზებული სახით. ამგვარი რეგულირება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობასა და მის მიმართ ნდობის გაზრდას.

⁷⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის წერილი NSIS32100002225.

⁷⁷ შეწყვეტილი საქმეებიდან ერთი პირის გამოკითხვისას კანონით დაკისრებული მოვალეობის შესაძლო არაჯეროვნად შესრულების ფაქტს შეეხებოდა, ხოლო მეორე აგრეთვე არაეთიკურ ქცევასაც, კერძოდ, გასაუბრებისას გამომძივლის მიერ მოქალაქის ვიდეოგადაღებას მისი ნებართვის გარეშე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის NSIS32100002225 წერილის დანართები 6 და 7.

⁷⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის მე-9, მე-10, მე-12 მუხლები.

4.4.2. საპარლამენტო ზედამხედველობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ინსპექტორი საკანონმდებლო ორგანოს წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს 31 მარტისა, წარუდგენს ანგარიშს. ანგარიში შეიცავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მდგომარეობისა და წინა წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.⁷⁹ სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშში უნდა აისახოს ძირითადი ტენდენციები, შეფასებები, დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე გამოძიების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. წლიური ანგარიში არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.⁸⁰

მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით გაფართოვდეს იმ საკითხთა წრე, რომლებსაც უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში. მიზანშეწონილია, კანონი სამსახურს ავალდებულებდეს, ანგარიშში ასახოს ინფორმაცია საკადრო და ფინანსური საკითხების, ასევე, დისციპლინურ საკითხთა საბჭოს საქმიანობის შესახებ. ინსპექტორის სამსახურს უნდა ჰქონდეს სტატისტიკის გამოქვეყნების ვალდებულება იმ საქმეების შესახებ, რომლებზეც პროკურატურას დევნა არ დაუწყია.

კანონმდებლობა საპარლამენტო ზედამხედველობის სხვა მექანიზმებსაც ითვალისწინებს. პარლამენტი უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ნებისმიერ დროს მიიწვიოს სახელმწიფო ინსპექტორი პარლამენტის ან/და კომიტეტის სხდომაზე მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარსადგენად. ამ შემთხვევაშიც, ინფორმაცია არ უნდა შეეხებოდეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ან საქმის ცალკეულ გარემოებებს.⁸¹

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია, კითხვით მიმართოს⁸² პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.⁸³ გარდა ამისა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.⁸⁴ ადრესატი ვალდებულია, შეკითხვას პირადად უპასუხოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე პასუხი წერილობითი ფორმით წარუდგინოს პლენარულ სხდომას.⁸⁵ ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორს, როგორც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს, შეუძლია მიმართოს პარლამენტს და საკანონმდებლო ორგანო მას მოუსმინეს რეგლამენტით დადგენილი წესით.⁸⁶

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე იძებნება პარლამენტის წევრის მხრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის კითხვით მიმართვის მხოლოდ ერთი შემთხვევა,⁸⁷ რაც ეხებოდა დეტალური ინფორმაციის მიწოდებას, ერთი მხრივ, იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც განეულ იქნა ერთჯერადად, სამსახურის შექმნის და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც საჭიროა სამსახურისთვის ყოველწლიურად.

⁷⁹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁰ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁸¹ იქვე, მე-4 პუნქტი.

⁸² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე, მუხლი 149.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იქვე, 154-ე მუხლი.

⁸⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ogNH1I> წვდომის თარიღი: 02.12.2020.

4.5. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნვისა და გათავისუფლების წესი, გაემოქიების პროცესში მონაწილეობის უარგებლობა

4.5.1. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნვისა და გათავისუფლების წესი

სახელმწიფო ინსპექტორის კანდიდატურებს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია არჩევს.⁸⁸ საკონკურსო კომისიის წევრები არიან: საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ან მოადგილე, სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი და სახალხო დამცველის მიერ იმ არასამხარმეო იურიდიული პირის წევრთაგან ღია საკონკურსო წესით შერჩეული კანდიდატი, რომელსაც აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება.⁸⁹

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნასამართლეობის არმქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მართლმსაჯულების ან სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაცია.⁹⁰

ამ კუთხით საინტერესოა სხვა ქვეყნების პრაქტიკა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში შესაბამისი დამოუკიდებელი ორგანოს (IOPC - Independent Office for Police Conduct) ხელმძღვანელ პირს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს პოლიციაში მუშაობის გამოცდილება.⁹¹ განსხვავებულია ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მიდგომა, რომელიც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხელმძღვანელის პოზიციაზე მოიაზრებს მხოლოდ მოქმედი ან ყოფილი მოსამართლის დანიშვნას.⁹² საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი კრიტერიუმები უზრუნველყოფს კონკურსანტთა მრავალფეროვნებას, რადგან კონკურსში მონაწილეობა სხვადასხვა გამოცდილების მქონე კანდიდატებს შეუძლიათ.

კომისია, გენდერული ბალანსის მაქსიმალური გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრს წარუდგენს არანაკლებ 2 და არა უმეტეს 5 კანდიდატურას.⁹³ 10 დღის ვადაში კი პრემიერ-მინისტრი პარლამენტს წარუდგენს 2 კანდიდატურას.⁹⁴ პარლამენტი ცალ-ცალკე უყრის კენჭს თითოეულ კანდიდატს და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უფრო მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობისა.⁹⁵

სახელმწიფო ინსპექტორის შერჩევის არსებული მოდელი არ ითვალისწინებს ამ პროცესზე პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების სათანადო გარანტიებს. ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციურ დამო-

⁸⁸ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი. საკონკურსო კომისია პირველ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით, თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და 1 კვირის ვადაში ამტკიცებს კომისიის დებულებას, რომლითაც განისაზღვრება კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე მისთვის სახელმწიფო ინსპექტორის კანდიდატურების წარდგენის ვადა და წესი.

⁸⁹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი.

⁹⁰ იქვე, პირველი პუნქტი.

⁹¹ Policing and Crime Act 2017.

⁹² New Zealand, Independent Police Conduct Authority Act 1988 section 5.

⁹³ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტი.

⁹⁴ იქვე, მეხუთე პუნქტი.

⁹⁵ იქვე, მეექვსე პუნქტი. თუ საკმარისი ხმების რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, პრემიერ-მინისტრი 2 კვირის ვადაში აცხადებს ხელახალ კონკურსს.

უკიდებლობას, პირველ რიგში, მისი ხელმძღვანელის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი განაპირობებს. პრემიერ-მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, მიერ კანდიდატების წარდგენა და პარლამენტის მიერ ინსპექტორის სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩევა, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების რისკებს წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელის არჩევაში პრემიერ-მინისტრის ნაცვლად ნეიტრალური პირის მონაწილეობის თაობაზე, ჯერ კიდევ 2014 წელს⁹⁶ გამოითქვა,⁹⁷ რაც სწორედ პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინსპექტორის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფი სამართლებრივი გარანტიების არსებობა.

სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადა 6 წელია. ერთი და იგივე პირი სახელმწიფო ინსპექტორად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.⁹⁸ უფლებამოსილების განხორციელების დადგენილი ექვსწლიანი ვადა შეესაბამება EPAC-ის (ევროპელი პარტიორები კორუფციის წინააღმდეგ) სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით, ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 12 წლის ვადით.⁹⁹

სახელმწიფო ინსპექტორს უფლებამოსილება უწყდება არჩევიდან 6 წლის გასვლისთანავე ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას.¹⁰⁰ კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის 7 შემთხვევას:

- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ზედიზედ 4 თვის განმავლობაში სამსახურებრივი უფლებამოსილების ვერშესრულება;
- ინსპექტორის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
- ინსპექტორის სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
- სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის განხორციელება;¹⁰¹
- თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა;
- გარდაცვალება.¹⁰²

EPAC-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-

⁹⁶ 2014 წლის 8 დეკემბერს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის საქართველოს ოფისის (OHCHR) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა კანონპროექტი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ.

⁹⁷ წამებასთან დაკავშირებული დანაშაულების დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მოდელის თაობაზე ევროპის საბჭოს ექსპერტ მანფრედ ნოვაკის მოსაზრებები, 2015.

⁹⁸ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁹⁹ EPAC, Police Oversight Principles, November 2011, პარ. 2.2.5.

¹⁰⁰ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი.

¹⁰¹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრობასთან, სახელმწიფო და საჯარო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასა და სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობებისა. სახელმწიფო ინსპექტორი არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, უშუალოდ ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებას, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

¹⁰² „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

ლებსას მიღებული გადაწყვეტილებების გამო.¹⁰³ უფლებამოსილების შეწყვეტის კანონით მოცემული შემთხვევები თანხვედრაშია ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

4.5.2. სახელმწიფო ინსპექტორის გამოძიების პროცესში მონაწილეობის უარყოფა

სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ კანონით¹⁰⁴ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულებით¹⁰⁵ რეგულირდება. კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის გამოძიების პროცესში ჩართულობის ორ შემთხვევას:

1) მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმის ზედამხედველი პროკურორი არ გაითვალისწინებს საგამოძიებო დანაყოფის კურატორი მოადგილის დასაბუთებულ წინადადებას, ინსპექტორს შეუძლია ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებით მიმართოს გენერალურ პროკურორს:¹⁰⁶

- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ;
- წინასასამართლო სხდომაზე არაუგვიანეს 14 დღისა – მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი ისეთი საგამოძიებო მოქმედების ან საპროცესო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას;
- სასამართლოსთვის წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხაში კონკრეტული მტკიცებულებების შეტანის შესახებ.¹⁰⁷

2) ინსპექტორს შეუძლია წერილობით მიმართოს გენერალურ პროკურორს საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს ინფორმაცია, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც მას გენერალურმა პროკურორმა¹⁰⁸ გადასცა. სახელმწიფო ინსპექტორის წინადადება განიხილება მიმართვიდან 24 საათის ვადაში.¹⁰⁹

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის საკურატორო სფეროებში საგამოძიებო დეპარტამენტი არ შედის.¹¹⁰ პროექტის ფარგლებში გამოძიებულებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ იშვიათად, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორთან ერთად განუხილავთ კონკრეტული საქმის გამოძიების დეტალები, თუმცა, ძირითადად, ინსპექტორი არ ერევა სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების გამოძიების პროცესში, ის მხოლოდ ზოგადად არის ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ინსპექტორი მოიაზრება ზოგადად საგამოძიებო სამსახურის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელ ფიგურად.¹¹¹

¹⁰³ EPAC, Police Oversight Principles, November 2011, Par. 2.2.6.

¹⁰⁴ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

¹⁰⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-6 მუხლი.

¹⁰⁶ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁰⁷ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.

¹⁰⁹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მეხუთე პუნქტი.

¹¹⁰ სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება N01/104 სახელმწიფო ინსპექტორის, სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილისა და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის საკურატორო სფეროების განსაზღვრის შესახებ.

¹¹¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

4.6. საგამომიყო დანაყოფის კუკასტორი მოადგილის პერიკვა, დანიშნა და უფლაგამოსილაგის უარგლაგი

სახელმწიფო ინსპექტორი თანამდებობაზე ნიშნავს პირველ მოადგილეს და 2 მოადგილეს,¹¹² ასევე განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს.¹¹³

სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანების თანახმად, პირველი მოადგილის საკურატორო სფეროდ განსაზღვრულია სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი.¹¹⁴ შესაბამისად, ის კოორდინაციას უწევს საგამოძიებო დანაყოფის საქმიანობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელთა საქმიანობაზე.¹¹⁵ მოადგილე განსაზღვრავს მის საკურატორო სფეროს მიკუთვნებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამსახურს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ან/და საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.¹¹⁶

სახელმწიფო ინსპექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილების განუხორციელებლობის, მისი უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, ინსპექტორის უფლებამოსილებას მისი პირველი მოადგილე ახორციელებს.¹¹⁷

პირველი მოადგილე ანგარიშვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის წინაშე,¹¹⁸ ხოლო თავად პირველი მოადგილის წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, რომლებიც მის საკურატორო სფეროში შედის.

კანონის თანახმად, პირველ მოადგილეს აქვს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, დასაბუთებული წინადადებით მიმართოს პროკურორს დევნის დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობისა და მტკიცებულებათა ნუსხაში კონკრეტული მტკიცებულებების შეტანის შესახებ.¹¹⁹ ამგვარი რეგულირება ცხადყოფს, რომ ინსპექტორის სამსახურს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები არაერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანი გამონწვევაა ამ ინსტიტუტის ფუნქციური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს ინფორმაცია სხვა საგამოძიებო ორგანოს მხრიდან სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შესახებ, პირველი მოადგილე უფლებამოსილია, მოითხოვოს საქმის მასალების გაცნობა და ზედამხედველ პროკურორს მიმართოს წერილობით, დასაბუთებული წინადადებით სხვა საგამოძიებო ორგანოდან მისი საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული საქმის გამოსაძიებლად გადმოცემის შესახებ.¹²⁰

¹¹² „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-7 მუხლი.

¹¹³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁴ სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება N01/104 სახელმწიფო ინსპექტორის, სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილისა და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის საკურატორო სფეროების განსაზღვრის შესახებ. ბრძანების თანახმად, პირველი მოადგილის საკურატორო სფეროში ასევე შედის ეკონომიკური დეპარტამენტი.

¹¹⁵ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11¹ პუნქტი.

¹¹⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-7 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

¹¹⁷ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-12 პუნქტი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-6 მუხლის მეორე პუნქტი.

¹¹⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-7 მუხლის მესამე პუნქტი.

¹¹⁹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹²⁰ იქვე, მე-4 პუნქტი.

თუ არსებობს სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება,¹²¹ ზემოთ ხსენებულ უფლებამოსილებას სახელმწიფო ინსპექტორი ახორციელებს.¹²²

2020 წლის პირველი იანვრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით, ინსპექტორის უფლებამოსილი მოადგილე ორჯერ გაცნო სხვა საგამოძიებო უწყებაში სისხლის სამართლის საქმეს. ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო ზედამხედველ პროკურორს არ წარედგინა წინადადება ამ საქმეების გამოსაძიებლად გადმოცემის თაობაზე.¹²³

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის პირველმა მოადგილემ დასაბუთებული წინადადებით ზედამხედველი პროკურორისათვის მიმართვის უფლებამოსილება, ჯამში, 31-ჯერ გამოიყენა, გენერალურმა პროკურატურამ 30 მათგანი სრულად, ხოლო ერთი ნაწილობრივ გაითვალისწინა.¹²⁴

სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობით არ არის გარანტირებული დასაბუთებულ წინადადებაზე პროკურატურის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. დღეის მდგომარეობით, კანონი სასამართლო კონტროლის მექანიზმს არ ითვალისწინებს.¹²⁵ მნიშვნელოვანია, კანონი ითვალისწინებდეს უარის გასაჩივრების შესაძლებლობას. ამ პროცესზე სასამართლო კონტროლის დანესება გაზრდის ნდობას სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ.

4.7. საგამოძიებო დანაშაულის სტრუქტურა და ტერიტორიული დაზარალება

4.7.1. საგამოძიებო დანაშაულის სტრუქტურა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში არსებული 11 სტრუქტურული ერთეულიდან ერთ-ერთი არის საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც ინსპექტორის სამსახურს 2019 წელს რეფორმის შედეგად დაემატა.¹²⁶ დეპარტამენტი აერთიანებს ოთხ ქვედანაყოფს: აღმოსავლეთის, დასავლეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ოპერატიულ სამმართველოებს.¹²⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს 2021 წელს დაემატა.

¹²¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე, ნაფიცო მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო ხელმძღვანელი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

- ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული.
- ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
- ბ¹) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;
- გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
- დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
- დ¹) იყო მედიკოსი იმავე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
- ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

¹²² სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-8 პუნქტი.

¹²³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 25 დეკემბრის წერილი SIS52000021209.

¹²⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის წერილი SIS72100001356. წერილის თანახმად, 3 წინადადება შევსებოდა გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო 28 წინადადება - საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას. კერძოდ, 5 წინადადება საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩატარებას, ხოლო 23 წინადადება - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებას - დოკუმენტის/ინფორმაციის გამოთხოვას. ერთი წინადადება, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ეხებოდა ინფორმაციის გამოთხოვას.

¹²⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 142.

¹²⁶ იქვე, გვ.18.

¹²⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი.

დღეის მდგომარეობით, საგამოძიებო დანაყოფი არის ინსპექტორის აპარატის ყველაზე დიდი სტრუქტურული ერთეული. დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციას იკავებს დეპარტამენტის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორისა და შესაბამისი კურატორი მოადგილის წინაშე.¹²⁸ დეპარტამენტის უფროსი ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას და აკონტროლებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს.¹²⁹

საგამოძიებო დეპარტამენტის ამოცანა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებების გამოძიებაა.¹³⁰ ამ დეპარტამენტის ფუნქციად განსაზღვრულია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება. დაკისრებული ვალდებულებიდან გამომდინარე, დეპარტამენტი სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას, ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და საექსპერტო-კრიმინალისტიკურ საქმიანობას.¹³¹

დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის უფროსი.¹³² დეპარტამენტის უფროსს აუცილებელია, ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება (სასურველია მაგისტრის ხარისხი), მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის 5-წლიანი და ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.¹³³

დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთაგან ერთი კურიერებს აღმოსავლეთის, ხოლო მეორე - დასავლეთის სამმართველოს. მოადგილეების მთავარი მოვალეობა დეპარტამენტის უფროსის ხელშეწყობაა. ისინი მონაწილეობას იღებენ დეპარტამენტის საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვისა და რესურსების სწორად განაწილების პროცესში.¹³⁴ მოადგილე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ხელმძღვანელობს ან/და სრული მოცულობით უშუალოდ ატარებს გამოძიებას, საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, – ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

თითოეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს ჰყავს სამმართველოს უფროსი, რომელიც გეგმავს და წარმართავს სამმართველოს საქმიანობას, კომპეტენციის ფარგლებში ახდენს სიახლეების ინიცირებას, ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, მოტივაციის ამაღლებაზე, პროდუქტიულობის ზრდაზე, სამუშაო პროცესში აძლევს სამმართველოს თანამშრომლებს მითითებებს, დავალებებსა და უკუკავშირს.¹³⁵

4.7.2. ტერიტორიული დაყოფა

საგამოძიებო დეპარტამენტს ქვეყნის მასშტაბით აქვს სამი ოფისი: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. დეპარტამენტის ოთხი სამმართველოს თანამშრომლები სწორედ ამ ოფისებში არიან განაწილებული და ფარავს არა მარტო იმ მუნიციპალიტეტის არეალს, სადაც იმყოფებიან, არამედ გაცილებით დიდ მონაკვეთს, თბილისის შემთხვევაში - თითქმის ნახევარი ქვეყნის ტერიტორიას. სახელმწიფო ინსპექტორის

¹²⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹²⁹ იქვე, მეორე პუნქტის “ვ” ქვეპუნქტი.

¹³⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-13 მუხლის მეორე პუნქტი. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულები.

¹³¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მე-13 მუხლის მესამე პუნქტი.

¹³² იქვე, დებულების მე-20 მუხლის მეორე პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი.

¹³³ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის N01/115 ბრძანების დანართი 5.1.

¹³⁴ იქვე, ბრძანების დანართი 5.2.

¹³⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების 21-ე მუხლის მეორე პუნქტი.

ბრძანებით, დეტალურად არის გაწერილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამმართველოების სამოქმედო ტერიტორიაში შემავალი გეოგრაფიული ერთეულები.¹³⁶ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს დამატების შედეგად, გაიხსნა ბათუმის ოფისი,¹³⁷ რაც სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია.

საგამოძიებო დანაყოფის ოფისების არსებული რაოდენობა საკმარისი არ არის. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მიმართულების 2020-2021 წლების სტრატეგიის თანახმად, მომავალში სამსახური მიზნად ისახავს სტრუქტურული ერთეულების შექმნას სხვადასხვა რეგიონში, რომლის განხორციელებაც მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც კვლევის პროცესში არაერთხელ გამოიკვეთა სამსახურის ეს საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის დეკემბრის მონაცემებით, სისხლის სამართლის იმ საქმეების გამოსაძიებლად, რომლებიც დღეს სახელმწიფო ინსპექტორის მანდატს მიეკუთვნება, გენერალურ პროკურატურას გააჩნდა გაცილებით მეტი ადამიანური რესურსი, ვერძოდ, 68 გამოძიებელი და 23 პროკურორი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე.¹³⁸

ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოძიებლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ამ პირობებში ძალიან რთულია გამოძიების დროულად და ეფექტიანად ჩატარება. დღის ერთ მონაკვეთში დანაშაულის შესახებ შეტყობინება შეიძლება ერთდროულად შემოვიდეს სამცხე-ჯავახეთიდან, კახეთიდან და ხაშურიდან, გადაადგილებას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, შემოსულ შეტყობინებაზე სწრაფ რეაგირებას კი გამოძიებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.¹³⁹ დანაშაულის ადგილის დათვალიერება და მტკიცებულებების მოპოვება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, თითოეულ წუთს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის გახსნისათვის, მით უფრო მაშინ, როცა საქმე უკავშირდება თავად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს, რომელმაც, სავარაუდოდ, დანაშაული ჩაიდინა და კარგად იცის, თუ როგორ დამალოს კვალი.¹⁴⁰

პრობლემურია რეგიონებში მონმეთა დაკითხვაც, რადგან ისინი ან თავს იკავებენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფისში მისვლისგან ან გადაადგილების საშუალება არ აქვთ. ამასთან, ადამიანური, დროის ან ტექნიკური რესურსის ნაკლებობის გამო, გამოძიებლები ყოველთვის ვერ ახერხებენ მოწმის საცხოვრებელ ადგილზე მისვლას და თუ მივიდნენ, არ აქვთ სათანადო სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება გამოკითხვა, რის გამოც ხან ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართავენ თხოვნით, ხან - მეორეს.¹⁴¹ არასაკმარისი თანამშრომლების ფონზე, საქმეების დიდი რაოდენობა გამოძიებლების მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, რაც ადრე თუ გვიან გავლენას მოახდენს გამოძიების ეფექტიანობაზე.

ტერიტორიულ დაფარვასა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის წლიურ ანგარიშშიც.¹⁴² აღნიშნული ხარვეზები გავლენას ახდენს სამსახურის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი დროული აღმოფხვრა.

საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ბათუმის გარდა, დამატებით კიდევ გაიხსნას ოფისები, რომლებზეც ხელახლა

¹³⁶ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N01/271 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემავალი აღმოსავლეთის სამმართველოსა და დასავლეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ.

¹³⁷ ბათუმში ოფისის გახსნის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ.: <https://bit.ly/3ueV7W6> წვდომის თარიღი: 24.05.2021.

¹³⁸ გენერალური პროკურატურის 2021 წლის 15 თებერვლის წერილი N13/8219.

¹³⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

¹⁴⁰ იქვე.


¹⁴¹ იქვე.

¹⁴² სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 143.

გადანაწილდება სამოქმედო ტერიტორია, ეს კი თბილისისა და ქუთაისის ოფისების შედარებით განტვირთვას შეუწყობს ხელს. მხოლოდ დედაქალაქში 1.2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს,¹⁴³ რასაც ემატება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებთა რიცხვი, ეს კი ერთი ტერიტორიული ერთეულისთვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

მიზანშეწონილია, ქვეყნის რეგიონებში ეტაპობრივად დაემატოს ოფისები, თუმცა მთავარ პრიორიტეტად თბილისის ოფისის განტვირთვა უნდა განისაზღვროს, რამდენადაც 2020 წელს ინსპექტორის სამსახურში სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებებისა და საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკა ნათლად აჩვენებს, რომ აღმოსავლეთის სამმართველოს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე დასავლეთისას.

**სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში
2020 წელს შესულ შეტყობინებათა რაოდენობა**



**2020 წელს იმ საქმეთა რაოდენობა, რომლის საფუძველზეც
გამოძიება დაიწყო სამმართველოების მიხედვით**



¹⁴³ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ქალაქისა და დაბების მოსახლეობის რიცხოვნების შესახებ 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35wjDnF> წვდომის თარიღი: 26.01.2021.

მიზანშეწონილია, ყველა რეგიონში იყოს ერთი ცენტრალური ოფისი, რომელიც მთელს რეგიონს დაფარავს. რასაკვირველია, ამგვარი ცვლილება მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან არის დაკავშირებული და ამ რეფორმის ერთბაშად, მოკლე ვადაში განხორციელება შესაძლოა, არარეალისტური იყოს, თუმცა, სანციის ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ოფისის შედარებით განსატვირთად, საჭიროა თელავის ოფისის გახსნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს შექმნა და ბათუმის ოფისის დამატება, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია.

4.8. გაომოქიჯებულთა კვალიფიკაცია, შერჩევა და დანიშვნა

ნებისმიერი დანესებულების წარმატებული საქმიანობის მთავარი წინაპირობა მისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაა, რისთვისაც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი შერჩევის პროცესის არსებობა. ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამის პოზიციებზე გამოცდილი და კომპეტენტური თანამშრომლების დანიშვნა.

საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელი თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება თანამშრომლის ჰორიზონტალური¹⁴⁴ ან მობილობით გადაყვანა.¹⁴⁵ საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე დასანიშნ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონითა და ინსპექტორის სამართლებრივი აქტით¹⁴⁶ განისაზღვრება.

საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლის შესარჩევად და დასანიშნად ინსპექტორი ქმნის საკონკურსო კომისიას და ადგენს მისი საქმიანობის წესს.¹⁴⁷ ინსპექტორი განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით.¹⁴⁸ კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში აუცილებელია სისხლის სამართლის სფეროსა და ადამიანის უფლებათა სფეროს სპეციალისტების მინიჭება.¹⁴⁹ კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- ა) სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი მოსამსახურე.
- ბ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი ან/და მეორე რანგის გამომძიებელი.
- გ) სისხლის სამართლის სფეროს მონვეული სპეციალისტი.
- დ) ადამიანის უფლებათა სფეროს მონვეული სპეციალისტი.

¹⁴⁴ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი. დასაშვებია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში უკონკურსოდ გადაყვანა, რაც გულისხმობს მისთვის იმავე იერარქიული რანგისა და თანამდებობის შესაბამისი სხვა ან/და ფუნქციურად მსგავსი უფლებამოსილების მინიჭებას (ჰორიზონტალური გადაყვანა).

¹⁴⁵ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტი. დასაშვებია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის უკონკურსოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მობილობით ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით ჰორიზონტალური გადაყვანა.

¹⁴⁶ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁹ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ვ) სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განსაზღვრული სამსახურის სხვა თანამშრომლები.¹⁵⁰

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის ნასამართლევია, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება,¹⁵¹ საქმიანი თვისებები და მაღალი მორალური რეპუტაცია, იცის სამართალწარმოების ენა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარებული აქვს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა¹⁵² შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი, სასჯელაღსრულებითი სამართალი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები.¹⁵³ ეს არის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი უნდა აკმაყოფილებდეს. ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისათვის იურიდიული განათლების საკვალიფიკაციო მოთხოვნა დადებით შეფასებას იმსახურებს. სამწუხაროდ, მსგავსი მოთხოვნა ყველა საგამომძიებო უწყებისთვის სავალდებულო არ არის.

საკონკურსო კომისია კანდიდატს აფასებს ქულათა სისტემის საფუძველზე,¹⁵⁴ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, წერიტი/ზეპირი დავალებისა და გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით.¹⁵⁵ კონკურსის მონაწილე კანდიდატები მოწმდებიან სხვადასხვა კუთხით: განაცხადის ფორმალური შესაბამისობით დაწესებულ მოთხოვნებთან, ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით, პროფესიული ცოდნის, წერიტი და ზოგადი უნარების შემოწმებით, ზეპირი გასაუბრებით. კონკურსის დასკვნით ეტაპზე გადადიან მხოლოდ სათანადო უნარებისა და გამოცდილების მქონე კანდიდატები.

საკონკურსო კომისია, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, სახელმწიფო ინსპექტორს წარუდგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.¹⁵⁶ საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატს თანამდებობაზე ნიშნავს ინსპექტორი.¹⁵⁷ კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.¹⁵⁸ კონკურსანტს შესაძლებლობა აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს როგორც კონკურსის შედეგები, ისე კონკურსის პროცედურებისა და მიმდინარეობისას გამოვლენილი დარღვევები.¹⁵⁹

2019 წელს გამომძიებელთა შესარჩევ კონკურსში განაცხადი შეიტანა 190-მდე მსურველმა. საკონკურსო

¹⁵⁰ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამომძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-15 მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁵¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, სამუშაო გამოცდილებისთვის დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში პირის სტაჟორ-გამომძიებლად დანიშვნის შემთხვევაზე.

¹⁵² სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

¹⁵³ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁵⁴ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამომძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-17 მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁵⁵ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამომძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-17 მუხლის მეექვსე პუნქტი.

¹⁵⁶ იქვე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁷ იქვე, 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁸ იქვე, 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁹ იქვე, 25-ე მუხლი.

კომისიამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა 16 გამომძიებელი და 6 ოპერატიული მუშაკი შეარჩია. გამომძიებელთაგან 2 ადვოკატი იყო, 7 მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში, 5 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და 2 - ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურში.¹⁶⁰

სხვა საგამომძიებო უწყებებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისათვის სავალდებულოა უმაღლესი იურიდიული განათლება და სწორედ ამ კრიტერიუმის არსებობას უკავშირებენ ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას, განსაკუთრებით კი სამართლებრივი წერის კულტურას.¹⁶¹ გამომძიებლის სრულფასოვანი განათლება საგამომძიებო დანაყოფის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. კონკურსის ეტაპების სირთულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დანიშნული გამომძიებლებისგან ნაკლებად მოსალოდნელია იმ სამართლებრივი შეცდომების დაშვება, რომელთა შესახებაც ვენეციის კომისია საუბრობს 2019 წლის დასკვნაში პროკურორებისა და გამომძიებლების ურთიერთობის შესახებ.¹⁶²

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს არაერთგზის აღინიშნა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მოსახვედრად კონკურსანტებმა კომპლექსური შემონგება გაიარეს და შერჩეული კანდიდატები მაღალი კვალიფიკაციის მქონენი არიან.¹⁶³ ინსპექტორის სამსახურში დანერგილი კონკურსის ჩატარების პროცედურა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს გამომძიებლის პოზიციაზე კომპეტენტური კადრების შერჩევასა და დანიშვნას.

4.9. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული განახლება განიცადა. სამსახურის საგამომძიებო უფლებამოსილების დამატების პარალელურად, თანამშრომელთა რაოდენობა 53-დან 116 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა,¹⁶⁴ თუმცა, ამ გაფართოვების მიუხედავად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მაინც აქვს კადრების გაზრდის საჭიროება. საგამომძიებო დანაყოფს არ ჰყავს საკმარისი გამომძიებლები. კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში არაერთხელ აღინიშნა, რომ საგამომძიებო დანაყოფში დასაქმებული გამომძიებლების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება საქმეთა სიმრავლეს. გამომძიებელთა თქმით, საწყის ეტაპზე გამომძიებელთა რაოდენობა საკმარისი იყო, თუმცა, ამ ეტაპისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეთა რაოდენობა მუდმივად იმატებს, ადამიანური რესურსის სიმცირე სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. საგამომძიებო უწყება თავის ფუნქციას ასრულებს თანამშრომლების დიდი დატვირთვის ხარჯზე,¹⁶⁵ რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სამსახური საგამომძიებო მიმართულების ამოქმედებას ტექნიკურად მომზადებული შეხვდა: ორივე ოფისში აწყობილია

¹⁶⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 111.

¹⁶¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში გამომძიებლებთან ინდივიდუალურად ჩატარებულ ინტერვიუებს.

¹⁶² Venice Commission, on the concepts of the amendments to the Criminal Procedure Code of Georgia concerning the relationship between the prosecution and the investigators, Strasbourg, 18 March 2019, გვ. 9, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3obtuyv> წვდომის თარიღი: 26.01.2021.

¹⁶³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

¹⁶⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37set2f>, წვდომის თარიღი: 26.01.2021.

¹⁶⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურა; ოფისები აღჭურვილია კომპიუტერული და საოფისე ტექნიკით, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებით, ელექტრონული პროგრამებით (შიდა დოკუმენტბრუნვის პროგრამა, სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროგრამა).¹⁶⁶ თუმცა, მეორე მხრივ, ამავე ანგარიშში ვხვდებით ინფორმაციას ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის, გამოსაკითხ ოთახებთან), ტერიტორიულ დაფარვასთან, იჯარით აღებულ ოფისთან¹⁶⁷ დაკავშირებული პრობლემების შესახებ, რასაც ემატება არასაკმარისი სატრანსპორტო საშუალებები, რის შესახებაც ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებმა ისაუბრეს ინტერვიუების მიმდინარეობისას.¹⁶⁸

შემთხვევის ადგილის სწრაფ მოკვლევასა და დათვალიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს საგამომძიებო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. თანამედროვე სტანდარტულ საგამომძიებო პრაქტიკაში აუცილებელია გამოძიების, ეგრეთ წოდებული, „ოქროს საათის“ დაცვა, რაც გულისხმობს სასამართლო ექსპერტიზისთვის საჭირო მტკიცებულების დაცვის მიზნით დანაშაულის ადგილის შეძლებისდაგვარად ადრეულ მოკვლევას.¹⁶⁹

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო დანაყოფს ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ სამი¹⁷⁰ ოფისი აქვს, რეგიონებიდან შემოსულ შეტყობინებაზე ვერ ხერხდება ისეთივე სწრაფი რეაგირება, როგორც თბილისში ან ქუთაისში მომხდარ ფაქტზე, რადგან შეუძლებელია შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადება. დასაფარ მანძილთან ერთად, სიტუაციას ართულებს სატრანსპორტო საშუალებების არასაკმარისი რაოდენობა. სამსახურს სულ 11 ავტომობილი ჰყავს,¹⁷¹ რაც განაწილებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ოფისებში. გამომძიებლებს უწევთ თავისუფალი ავტომობილის ლოდინი, რათა შეძლონ დანიშნულების ადგილზე მისვლა და საჭირო საგამომძიებო მოქმედების ჩატარება.¹⁷²

პრაქტიკაში მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის შემთხვევები, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი ან/და გამოსაკითხი პირები ცხოვრობენ/მუშაობენ საგამომძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობიდან ტერიტორიულად დაშორებულ ადგილას, რაც, ერთი მხრივ, აფერხებს მოწმეების გამოცხადებას, ხოლო, მეორე მხრივ, ართულებს საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებას შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფში ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.¹⁷³

სხვა რესურსების არარსებობის გამო, თბილისსა და ქუთაისს გარეთ მომხდარ შემთხვევებზე საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება ხშირად პროკურატურის შესაბამის ტერიტორიულ ოფისში ხდება, რაც საქმის მონაწილე პირებში სამსახურის რეალური დამოუკიდებლობის თაობაზე სერიოზულ კითხვებს იწვევს და საგამომძიებო ორგანოსადმი ნდობის ხარისხს ამცირებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში მოცემული პრინციპების მიხედვით, გამოძიების წარმმართველ პირებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო

¹⁶⁶ იქვე, გვ. 110.

¹⁶⁷ საგამომძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველო დღემდე განთავსებულია იჯარით აღებულ ფართში, რისთვისაც სამსახურის (სახელმწიფო) ბიუჯეტიდან ყოველთვიურად სოლიდური თანხა იხარჯება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 142.

¹⁶⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 142-143. ინფორმაცია, ასევე, ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან პირად ინტერვიუებს.

¹⁶⁹ სტივენ ჰ. სავაუი, მსჯელობა დამოუკიდებლობაზე პოლიციის ანგარიშვალდებულების საკითხის წამოწევა საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების გზით, 2012, გვ. 16, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m9944G>, წვდომის თარიღი: 26.01.2021.

¹⁷⁰ 2021 წლის მაისიდან ასევე ბათუმის ოფისი.

¹⁷¹ ინფორმაცია ეფუძნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულ აღჭურვილობის, ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებების ნუსხას.

¹⁷² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან პირად ინტერვიუებს.

¹⁷³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 143.

ფულადი და ტექნიკური რესურსები.¹⁷⁴ იმისათვის, რომ ზედამხედველმა ორგანომ სათანადოდ შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია, აუცილებელია მისი ადეკვატური ოდენობის სახსრებით უზრუნველყოფა.¹⁷⁵

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის სათანადო დაფინანსების გამოყოფის პრობლემა უცხო ნამდვილად არ არის. სწორედ ფინანსური სახსრების დროულად ვერ მობილიზების გამო რამდენჯერმე გადაიდო სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედება.¹⁷⁶ მართალია, ამჟამად სამსახური დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს, მაგრამ ეს ხდება თანამშრომლების დიდი ძალისხმევით ხარჯზე. სახელმწიფო ვალდებულია, შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის გზით, უზრუნველყოს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება.

ფინანსური უზრუნველყოფა ნიშნავს როგორც სათანადო სახსრების არსებობას სამსახურის დაკომპლექტებისა და თანამშრომლების ყოველთვიური (სახელფასო) ხარჯებისათვის, ისე დამატებით რესურსს მათი გადამზადებისა და წვრთნისათვის. კანონის თანახმად, საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლის კვალიფიკაციის შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით, ინსპექტორის სამსახური პერიოდულად უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო პროგრამების დანერგვას,¹⁷⁷ ამასთან, 2020-2021 წლების საგამოძიებო მიმართულების სტრატეგიის მიხედვით, უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდება უცხოელი ექსპერტების მოწვევა და სასწავლო ვიზიტები. პროფესიული განვითარების მიზნით, სამსახურის პერსონალს უტარდება ტრენინგები, თუმცა, თითქმის ყველა ინტერვიუს ბოლოს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ისურვებდნენ დამატებით კვალიფიკაციის ამაღლებასა და საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწა-გამომუშავებას საგამოძიებო თემატიკაზე ტრენინგებისა და სასწავლო კურსების გავლის მეშვეობით.¹⁷⁸ აღნიშნული საჭიროებს როგორც ფინანსურ მხარდაჭერას, ისე დროის გამოთავისუფლებას, ეს უკანასკნელი კი შეზღუდული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით განსაკუთრებით პრობლემურია.

არასაკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამსახურის გამართულ ფუნქციონირებაზე. აპარატის ადეკვატური რესურსებით დროული უზრუნველყოფა, ასევე შესაფერისი მუდმივი შენობის გამოყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სამსახური სწრაფად გახდეს სანდო ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს ორი მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ის ასრულებს.¹⁷⁹

¹⁷⁴ UN “Principles on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment”, General Assembly resolution 55/89 of 4 December 2000, პარ. 3(a). ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UWh253>, წვდომის თარიღი: 26.01.2021.


¹⁷⁵ EPAC, Police Oversight Principles, November 2011.

¹⁷⁶ Maggie Nicholson, Implementation of the National Strategy for the Protection of Human Rights in Georgia 2014-2020, Progress, Challenges and Recommendations as to Future Approaches, October 2019, გვ. 29. ასევე იხ. EMC-ის განცხადება „პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედება მეოთხედ გადაავადა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39c84ZQ>, წვდომის თარიღი: 26.01.2021. ასევე იხ. სახალხო დამცველის 2019 წლის 26 ივნისის განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების გადავადების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/377gMWv>, წვდომის თარიღი: 26.01.2021.

¹⁷⁷ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მეშვიდე პუნქტი.

¹⁷⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

¹⁷⁹ Maggie Nicholson, Implementation of the National Strategy for the Protection of Human Rights in Georgia 2014-2020, Progress, Challenges and Recommendations as to Future Approaches, October 2019, გვ. 30.



5. სემსახურის სპეციფიკური ქვემდებარება



5.1. შესავალი

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონმა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მოქმედების სფერო დანაშაულთა სახეობებისა და დანაშაულთა სუბიექტების წინასწარი განსაზღვრით შემოფარგლა. სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის კომპეტენცია გავრცელდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენაზე.¹⁸⁰ საგამოძიებო დანაყოფის კომპეტენციაში შევიდა ამ სუბიექტების კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებები:

- შესაძლო წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა;
- უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების შემთხვევები, რომლებიც ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფით მოხდა;
- საგამოძიებო პროცესის მონაწილეზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული დანაშაულები;
- სამართალდამცავის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ნებისმიერი სხვა დანაშაული, რამაც სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დასახელებულ დანაშაულთა მიღმა არსებული ქმედებები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოიხატოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან მოქალაქეზე რაიმე სახის იძულებაში, უწყების ქვემდებარეობიდან ავტომატურად გამორიცხულია.¹⁸¹

წინამდებარე ქვეთავში მიმოხილულია სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის მანდატში მოქცეულ დანაშაულთა მატერიალური შემადგენლობები, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ამასთან დაკავშირებული გამოწვევები, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საჭიროებისა და საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა წრის ახლებურად მონესრიგების საკითხები.

5.2. სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის სუბიექტები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო კომპეტენცია შემოიფარგლება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული სუბიექტებით, რომელთა ჩამონათვალს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის მესამე მუხლი განსაზღვრავს. კანონის მიხედვით, საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება: 1. მოხელის; 2. მოხელესთან გათანაბრებული პირის; 3. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებზე.

მოხელის ცნების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, ამის სანაცვლოდ კი იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.¹⁸²

მოხელესთან გათანაბრებულ პირთა წრეს სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს როგორც უცხო

¹⁸⁰ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

¹⁸¹ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019, გვ. 18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rSTH2j>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

¹⁸² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი; „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), ასევე ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, აგრეთვე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ვალდებულებებს.¹⁸³

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კანონი თავადვე განსაზღვრავს სამართალდამცავი პირის დეფინიციას, რომელიც მოიცავს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, თავდაცვის ძალების სამართალდამცავი დანაყოფის, იუსტიციის და ტინანსთა სამინისტროების საგამოძიებო სამსახურების თანამშრომლებს. ამავე საკანონმდებლო დეფინიციის თანახმად, სამსახურის მანდატი არ ვრცელდება გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გამოძიებაზე.

პრობლემურია სამართალდამცავი ორგანოების უმაღლესი თანამდებობის პირების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გამორიცხვა სამსახურის უფლებამოსილებიდან. მართალია, რისკების დაბალანსება შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იმპიჩმენტის პროცედურით ხდება,¹⁸⁴ თუმცა კანონმდებლობა არ არის მკაფიო, მაგალითად, გენერალური პროკურორის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის შემდგომ გამოძიების წარმართვაზე უფლებამოსილი ორგანოს თაობაზე.

გარდაამისა, *სამართალდამცავი პირის* ცნებიდან გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ამოღება, შესაბამისად, უწყებრივი კომპეტენციიდან მათ მიმართ გამოძიების წარმოების გამორიცხვა კრიტიკული საკითხია, რადგან საქმე გვაქვს მაღალ იერარქიულ უწყებებთან. ხელმძღვანელი პირების ხელში ყველაზე მეტი ძალაუფლებაა კონცენტრირებული და უწყების რიგით თანამშრომელთა საქმიანობაზე, მათ შორის დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებებზე ხშირად სწორედ ეს პირები – გადაწყვეტილების მიმღებნი უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი. საქართველოს წარსული გამოცდილება¹⁸⁵ მიუთითებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელთა მიერ უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად და ბოროტად გამოყენებაზე რეაგირების არქონა, მათი დაუსჯელობა ამ უწყების მიმართ საზოგადოებრივი უნდობლობის ერთ-ერთი გადაწყვეტი მიზეზი გახდა.¹⁸⁶

ამდენად, ქვეყნის წარსული გამოცდილებების გათვალისწინებით, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, მიზანშეწონილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონით გათვალისწინებული დეფინიციის იმგვარად ფორმულირება, რომ იგი სუბიექტებად მოიცავდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელებსაც.

¹⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნა.

¹⁸⁴ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁸⁵ სანდრო გირგვლიანის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ინდივიდუალურთან ერთად, სახელმწიფოს განუსაზღვრა ზოგადი ღონისძიებებიც, რომლებიც სწორედ მაღალი თანამდებობის პირის შემთხვევაში გამოძიების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. დეტალურად იხ.: მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rWip1v>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

¹⁸⁶ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019, გვ. 18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OsUs4w>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

5.3. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წამების მექანა, დამამცირებელი და არა-ადამიანური მოპყრობა დანაშაულებრივ ქმედებად ჩაითვალა 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებით. მანამდე არსებული საკანონმდებლო რეგულაცია ამ დანაშაულთა სპეციალურ შემადგენლობებს არ იცნობდა. რაც შეეხება წამების დასჯადობას, იგი ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით, ცალკე ქმედებად იყო გათვალისწინებული და განიმარტებოდა, როგორც სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ შედეგად არ მოპყროლია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სისხლის სამართლის მატერიალურ კანონმდებლობაში ხსენებულ ნორმათა შემოტანა, ხოლო წამების დეფინიციის ახლებურად მოწესრიგება დაეფუძნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციას „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“, რომლის რატიფიცირება საქართველომ 1994 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა.¹⁸⁷

კონვენციით განისაზღვრა წამების დეფინიცია, რომლის თანახმად, წამება გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ფიზიკური ან სულიერი სახის ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა. კონვენციის მიხედვით, წამების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მსხვერპლის ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენამაც ეჭვმიტანილია. ქმედების მიზნად განსაზღვრულია ასევე მსხვერპლის ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ამასთან, ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული მოტივი, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, მისივე ნაქმედებით, მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.¹⁸⁸

წამების საწინააღმდეგო კონვენციის გარდა, საერთაშორისო აქტებს შორის მნიშვნელოვანია წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აბსოლუტურად აკრძალვის პოსტულატი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით არის დადგენილი. „წამების“ განმარტებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს გაეროს კონვენციით განსაზღვრულ დეფინიციას. მისი პრაქტიკით, წამებას უნდა ახლდეს მიზნობრიობის ელემენტი - ტკივილი ან სხვა სახის ტანჯვა ინფორმაციის მიღების, დასჯის ან დაშინების სურვილით.¹⁸⁹

5.3.1. წამება და წამების მუქარა

წამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით განსაზღვრული დებულებების იმპლემენტაცია სისხლის სამართლის კოდექსში 144¹-144³-ე მუხლების შემოღებით მოხდა.¹⁹⁰

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ასევე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ ხსენებულ დანაშაულებზე რეაგირება, თავდაპირველად, პროკურატურის საგამომიჯამო სამსახურის კომპეტენცია იყო, 2019 წლის პირველი ნოემბრიდან კი - დამოუკიდებელ საგამომიჯამო მექანიზმად

¹⁸⁷ იხ. UN Treaty Bodies Database, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mjRaNr>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

¹⁸⁸ წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლი.

¹⁸⁹ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2011, გვ.254.

¹⁹⁰ შხია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 1), 2011 გვ. 247.

ჩამოყალიბებულ სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიქებო სამსახურის უფლებამოსილება გახდა. ამ უკანასკნელს, 2020 წლის სტატისტიკით, წამებისა და წამების მუქარის შემადგენლობით გამოიძიება არ დაუწყია, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაცია კი გამოიძიების დაწყების ეტაპზე 26 საქმეს მიანიჭა.¹⁹¹

სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლის მიხედვით, წამება არის პირის ან მისი ახლო ნათესავის, ასევე მასზე მატერიალურად თუ სხვაგვარად დამოკიდებული პირისთვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას. წამების საკანონმდებლო შემადგენლობა თანხვედრაშია გაეროს და სხვა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ წამების დისპოზიციასთან, თუმცა სახელმწიფოს მიერ არჩეული მიდგომით, ქმედების ჩამდენ პირთა წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო მოხელეებით თუ ოფიციალური თანამდებობის პირთა ვიწრო ჩამონათვალთ. ის მოიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ ნებისმიერ შერაცხად სუბიექტს და ამგვარად, საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის ღირსების დაცვისკენ მიმართულ მოთხოვნებზე მაღალ სტანდარტს ანესებს.¹⁹²

მოქმედი კანონის მიხედვით, პირის წამება უნდა ხდებოდეს სპეციალური მიზნით, რაც ასევე განსაზღვრულია ნორმის დისპოზიციით: ქმედებას საფუძვლად უნდა ედოს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 144²-ე მუხლით, წამებასთან ერთად კრიმინალიზებულია წამების მუქარა, რაც ნორმის დისპოზიციის თანახმად, წამების პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარას გულისხმობს და მიზნად, წამების შემადგენლობის მსგავსად, მტკიცებულების, ინფორმაციის, აღიარების მოპოვებას ისახავს.¹⁹³

როგორც უკვე ითქვა, კანონმდებელი წამების სუბიექტად ნებისმიერ, 14 წელს მიღწეულ შერაცხად პირს მოიაზრებს, ქმედების ჩადენას სპეციალური სუბიექტის - საჯარო მოხელის მიერ კი დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრავს.¹⁹⁴ დამატებით, წამების მაკვალიფიცირებელ გარემოებათა შორისაა ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგმის, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშემღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ.¹⁹⁵

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ წამების მაკვალიფიცირებელ გარემოებათაგან ერთგვარ ბუნდოვანებას ქმნის სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილი. იგი მაკვალიფიცირებელ გარემოებებად ცალ-ცალკე, „ა“ ქვეპუნქტად განსაზღვრავს წამების ჩადენას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტში უთითებს ქმედების ჩადენაზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. კანონმდებლის მიერ ხსენებული დამამძიმებელი გარემოებების ორ

¹⁹¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 140, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R9QEWm>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

¹⁹² თამარ გვასალია, წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმი, ურნალში: სამართალი და მსოფლიო, 4/2016, გვ.128, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dzLjf9>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

¹⁹³ მზია ლეკვიძიანი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 1), 2011 გვ. 257.

¹⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები; მაკვალიფიცირებელ გარემოებებად განსაზღვრულია ასევე წამება შეკვეთით, მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით და თანასწორ-უფლებიანობის დარღვევით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღიარების იძულების ან მესამე პირის ცრუ დასმენის მიზნით. მესამე ნაწილით დასჯადია წამების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ასევე სექსუალური ხასიათის ძალადობით, დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე თანმდევი შედეგით.

სხვადასხვა ქვეპუნქტად დაყოფა იძლევა კანონის იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ მოხელის მიერ ჩადენილი წამება დამამძიმებელი გარემოება იქნება იმის მიუხედავად, ქმედება ებმის თუ არა მის სამსახურებრივ საქმიანობას.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, უნდა დაისაჯოს თუ არა მოხელე პირადი მიზნებით, მოხელის საქმიანობის მიღმა ჩადენილი ქმედებისთვის, მაგალითად, კონკრეტული ინფორმაციის მიღების მიზნით მეუღლის წამებისთვის უფრო მკაცრად, ვიდრე ეს სსკ-ის 144¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, ზოგადი სუბიექტისთვის დადგენილ ფარგლებშია შესაძლებელი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას საჯარო მოხელის სტატუსი აქვს. კანონმდებელმა წამების მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ გარემოებად მოხელის სტატუსი ამ სუბიექტის მიერ საჯარო ინტერესების წარმოდგენას დაუკავშირა. ამდენად, უსაფუძვლოა არასამსახურებრივი საქმიანობისას ჩადენილი ამ დანაშაულისთვის საჯარო მოხელის ისეთივე სიმკაცრით დასჯა, როგორც ეს ამავე სუბიექტის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებშია მიზანშეწონილი.

გარდა ამისა, სსკ-ის 144¹-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებაა წამება, ჩადენილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო, ასევე კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. ნორმის ფორმულირებასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა,¹⁹⁶ დასახელებულ გარემოებებში პირის წამების დროს მოითხოვება თუ არა სპეციალური მიზნის არსებობა, კერძოდ, მსხვერპლისგან ინფორმაციის, მტკიცებულების, აღიარების მიღება. სამწუხაროდ, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება არ განმარტავს, რატომ უნდა ჩაითვალოს მოცემულ ვითარებაში საკმარისად პირის წამება კონკრეტული მიზნის გარეშე. ამკარაა, რომ კოდექსი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით წამების ჩადენას, ყველა სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოების მსგავსად, პირდაპირ უკავშირებს წამების სპეციალურ მიზანს (რომელიც მოცემულია სსკ-ის 144¹-ე მუხლის პირველ ნაწილში) და განსხვავებულ მოწესრიგებას არ გვთავაზობს.

ქმედების წამებად კვალიფიცირებისას, პრაქტიკაში, ზოგიერთ შემთხვევაში, სირთულე წარმოიშობა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მსგავსი შემადგენლობის დებულებას, მოხელის მიერ სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით ან ამგვარი ძალადობის მუქარით ჩვენების, განმარტების მიცემის იძულების თაობაზე. ხსენებული ნორმისა და წამების ობიექტური შემადგენლობის ურთიერთგადაფარვის პრობლემურობა სსკ-ის 335-ე მუხლის ქვეთავში წარმოჩინდება.

კანონმდებლობის პარალელურად, პროექტის გუნდმა შეისწავლა წამებასთან დაკავშირებული სასამართლო განაჩენები. გადაწყვეტილებათა ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო პრაქტიკა წამებად მიიჩნევს სამართალდამცავთა მიერ ინტენსიურ ძალადობას პირზე - ინფორმაციის, აღიარების, მტკიცებულების მიღების მიზნით. ამ მხრივ, მოსამართლეთა მიდგომები საკმაოდ ერთგვაროვანია.

მოქმედი პრაქტიკით, წამებად კვალიფიცირდება ისეთი არაკანონიერი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მიზნად ისახავს თავისუფლებაღკვეთილი პირებისთვის მძიმე პირობების შექმნასა და მოპყრობას და თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით აყენებს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, რაც ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას იწვევს. განაჩენთა ანალიზით ირკვევა, რომ მსგავს შემთხვევებში მიზანი მსჯავრდებულთა დაშინება და იძულებაა, შეასრულონ ანდა თავი შეიკავონ ისეთი ქმედების შესრულებისაგან, რომლის განხორციელებაც მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენს. მათ შორისაა საჩივრების წარდგენა, წარდგენილ საჩივრებსა თუ სხვა სამართლებრივ პროცედურებზე უარის თქმა, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისთვის დასჯა.¹⁹⁷ სასამართლო პრაქტიკა განხილული მუხლის ქვეშ მოიაზრებს დაკავებულისთვის აღიარებითი ჩვენების მიღების სანაცვლოდ ცემას, თავისუფლებაშემ-

¹⁹⁶ შშია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 1), 2011, გვ. 253.

¹⁹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 იანვრის განაჩენი საქმეზე 1/ბ-214-14.

დუდულ პირზე სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის სასუნთქი ორგანოების გადაკეტვით, ძალადობას.¹⁹⁸

სასამართლო პრაქტიკისთვის გამოწვევაა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ქმედებათა ერთმანეთისგან გამოჩვენა. მაგალითისთვის, წამებიდან არაადამიანურ მოპყრობად გადაკვალიფიცირდა სასჯელ-აღსრულების დაწესებულების თანამშრომლების ძალადობრივი ქმედებები მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც რადიოს ხმამალალი ჩართვისთვის სჭიდნენ. სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის კვალიფიკაციას და წამებად არ მიიჩნია პატიმრების შიშველ მდგომარეობაში ე. წ. „ფუქსებში“ გადაყვანა, ნახევარი საათით მცირე ზომის ოთახში, ე. წ. „ბოქსში“ მოთავსება, სასჯელაღსრულების დაწესებულების რამდენიმე თანამშრომლის მიერ დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში ჯგუფურად ცემა და ორი დღის განმავლობაში, შიშველ მდგომარეობაში იმავე ე. წ. „ბოქსში“ დატოვება. სასამართლოს განმარტებით, პატიმრების მიმართ განხორციელებული ქმედებები აშკარად გაცდა სასჯელის მოხდასთან დაკავშირებულ თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს და გამოიწვია ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა, რამაც დაზარალებულები არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში ჩააყენა. თუმცა, ეროვნული სასამართლოს შეფასებით, ეს ქმედებები არ გაცილებია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით არაადამიანური მოპყრობისათვის დადგენილი კრიტერიუმის ფარგლებს, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა ცვლილებები და ქმედება არაადამიანურ მოპყრობად შეფასდა.¹⁹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოჩენისთვის ითვალისწინებს აკრძალული მოპყრობიდან გამომდინარე სისასტიკის ხარისხს. წამების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ძალიან მძიმე და სასტიკი ტანჯვა, ისევე როგორც წამების სპეციალური მიზანი - ინფორმაციის მიღება, დასჯის ან დაშინების მიღწევა. არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში კი, შედეგის სახით მოცემული უნდა იყოს ინტენსიური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა. ამასთან, ამგვარი განმარტებებისას, ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს კონვენციის თანდათანობით განვითარებადი ბუნებით და უშვებს შესაძლებლობას, რომ ის ქმედებები, რომლებიც ადრე კლასიფიცირდებოდა არაადამიანურ მოპყრობად და არა წამებად, დროთა განმავლობაში, დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტური ღირებულებების მეტი სიმტკიცით დაცვის მიზნით, წამებად შეფასდეს.²⁰⁰

5.3.2. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის საკანონმდებლო დისპოზიცია დასჯადად აცხადებს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. ქმედების დამამძიმებელი გარემოებები სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალოგიურადაა მოცემული. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, წამების შემადგენლობისგან განსხვავებით, არ არის მიზნით დეტერმინირებული ქმედება და პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დანაშაულის სუბიექტის კონკრეტული მიზნის არსებობას არ მოითხოვს.

როგორც ნორმა ცხადყოფს, შემადგენლობა ერთმანეთისგან განსხვავებს დამამცირებელ და არა-ადამიანურ მოპყრობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა სახეგა, როდესაც საქმიდან ინტენსიური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა ვლინდება. ამ შემთხვევაში მოპყრობა წინასწარ არის განზრახული, გრძელდება საათების განმავლობაში

¹⁹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენი საქმეზე 1/ბ-400-13; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 აგვისტოს განაჩენი საქმეზე 1/ბ-70-2014.

¹⁹⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 აგვისტოს საქმეზე 1/ბ-70-2014.

²⁰⁰ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2011, გვ. 254-255.

უნყვეტად და ინვეს რეალურ სხეულებრივ დაზიანებას ან ინტენსიურ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტანჯვას.²⁰¹

ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა გულისხმობს მოპყრობას, რომელიც მსხვერპლში ინვეს შიშის, მწუხარების ან არასრულფასოვნების განცდას, რასაც შეუძლია პირის შეურაცხყოფა და დამცირება და განაპირობებს მისი ფიზიკური ან მორალური მედეგობის გატეხვას. სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ის გარემოებაც, ხომ არ არის მიზანი მსხვერპლის შეურაცხყოფა ან დამცირება, ან ხომ არ მოუხდენია შედეგს უარყოფითი გავლენა პიროვნებაზე იმგვარად, რაც შეუთავსებელია კონვენციის მესამე მუხლთან. ამგვარი განმარტებების მიუხედავად, შეურაცხყოფის მიყენების ან დამცირების პოზიტიური განზრახვა არ არის აუცილებელი მოთხოვნა მესამე მუხლის დარღვევის დასადგენად და საკმარისი იქნება, რომ მსხვერპლი თავად აღიქვამდეს თავს შეურაცხყოფილად.²⁰²

დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან იძულების, ძალადობის შემთხვევებით, ეროვნული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია. კვლევის ფარგლებში დამუშავებული განაჩენების თანახმად, ხსენებული მუხლით დაკვალიფიცირდა პატიმრებზე სისტემატური ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობრივი ქმედებები. ამავე დანაშაულის ქვეშ მოექცა პატიმრების უკანონოდ გასეირნების, ჰიგიენის დაცვის, ექიმის ხელმისაწვდომობის და სხვა უფლებების შეზღუდვა ძალადობრივი, დამამცირებელი და არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, რომლის მიზანაც მსხვერპლში შიშის, ტკივილის და არასრულფასოვნების განცდის წარმოშობის, უსიტყვო მორჩილების მიღწევა იყო. არაადამიანურ ქმედებად მიიჩნია სასამართლომ ე. წ. „კარანტინის დაშლა,“ რაც გულისხმობდა პენიტენციური დაწესებულების დერეფანში პატიმრების გაყვანას, მათ ცემას ხელ-ფეხით და ხელკეტებით, დამცირებას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და შემდეგ საკნებში განაწილებას.²⁰³ არაადამიანურ მოპყრობად შეფასდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში „ნესრიგისა და მორჩილების“ დამყარების მიზნით ციხის ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულთა სისტემატური ფიზიკური ძალადობა, ნახევრად შიშველ მდგომარეობაში „სეირნობა“ დერეფანში, დამცირების მიზნით ცივი წყლის შესხმა, „პანდურებით“ ცემა.²⁰⁴

განხილულს არსობრივად ჰგავს მოხელის მიერ ძალადობით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების დანაშაული. განაჩენთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს არ აქვს ჩამოყალიბებული ნათელი კრიტერიუმები ამ ორი დანაშაულის განმასხვავებელი ნიშნების შესახებ. ეს საკითხი მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ქვეთავში დანვრილებით იქნება წარმოდგენილი.

5.4. უფლებამოსილების გადაეტება და ბოროტად გამოყენება დამამცირებელი ბარემოებების არარსებობის დროს

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო მანდატს მიეკუთვნება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების შემთხვევები, თუკი ქმედება ჩადენილია დამამცირებელ გარემოებაში - დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ძალადობით,

²⁰¹ იქვე.

²⁰² იქვე.

²⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 ნოემბრის განჩინება საქმეზე N330100117002024670.

²⁰⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის საქმე 1/ბ-135-2015.

ძალადობის მუქართ ან იარაღის გამოყენებით.²⁰⁵ მაკვალიფიცირებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში კი, დასახელებული დანაშაულები რჩება პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში.

ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციის შეზღუდვა ამგვარი დათქმით გამოიხატება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე გამოძიების წარმართვის უფლებამოსილებას, რომლებშიც იკვეთება სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის ნიშნები. აღნიშნული შეიძლება სამართალდამცავის მხრიდან დამამძიმებელი გარემოების გარეშე უფლებამოსილების გადამეტებასა თუ ბოროტად გამოყენებაში იყოს გამოხატული ანდა სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია, განზრახ უკანონო დაკავება და ა.შ.) კვალიფიკაციას მოითხოვდეს.

წარსულში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ მოექცა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელთა საერთო მახასიათებლები იყო გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარმართვა, ლეგიტიმური ეჭვები მტკიცებულებების მოპოვებისკენ მიმართული ქმედებების მიზანმიმართული გაჭიანურების, სავარაუდო მტკიცებულებების განადგურების, ფალსიფიკირების, საქმეზე პოლიტიკური ინტერესის მიხედვით გადანყვეტილების მიღების თაობაზე.

სამართალდამცავთა მიმართ არსებულ საჯარო ბრალდებებზე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფარგლებში რეაგირება და გამოძიების წარმართვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც არასათანადო მოპყრობის საქმეთა ეფექტიანი გამოძიება. საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს ამ ტიპის საქმეებზე პასუხისმგებელი უწყების - პროკურატურის არაეფექტიანობა და მიკერძოებულობა. მაგალითისთვის, თემირლან მაჩალიკაშვილის²⁰⁶ გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება, პროკურატურამ, დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის საფუძვლით შეწყვიტა, მაშინ როდესაც სახალხო დამცველი მიუთითებდა არაერთ საკითხზე, რომლებსაც გამოძიების მხრიდან პასუხი არ გასცემია.²⁰⁷ გენერალურ პროკურატურას გაუმჭვირვალე და დაუსაბუთებელი რეაგირება ჰქონდა კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე - ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობის გამოძიების დარღვევებით წარმართვასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის წინადადების შესრულების - სამოხელეო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების ნაცვლად, პროკურატურამ სამსახურებრივი შემონმების დაწყება ამჯობინა, რომლის შედეგები საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.²⁰⁸

ამდენად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენცია სცილდებოდეს სამართალდამცავთა ძალადობრივ ქმედებებზე რეაგირებას და მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდეს სამართალდამცავი პირების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების თუ ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევებზე, რომლებშიც ვლინდება გამოძიების პროცესის მიზანმიმართული არაეფექტიანი წარმართვა, ანდა იმ ტიპის დარღვევები, რომლებმაც გავლენა იქონია სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე, ბრალეულ პირთა იდენტიფიცირების, საჭირო მტკიცებულებათა მოპოვების პროცესზე.

²⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

²⁰⁶ იხ. თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შეჯამება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Q2wRYU>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁰⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წ., გვ. 36, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sVQqAv>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁰⁸ იქვე, გვ. 37.

5.4.1. უზღაბომოსილავის გადამეტებისა და განზარაბ უკანონო დაკავების გამოიქვნა

როგორც აღინიშნა, მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტება, მაკვალიფიცირებელი გარემოებების არსებობის გარეშე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების შემდგომაც, დარ-ჩა პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარებაში. ამ დანაშაულის გაყოფასთან დაკავშირებით თავიდანვე არსებობდა კითხვები, რამდენად შეძლებდა საგამოძიებო სამსახური სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ ყველა ძალადობრივ დანაშაულზე რეაგირებას და ორ უწყებას შორის საგამოძიებო კომპეტენციის განაწილება ხომ არ გამოიწვევდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განსჯად საქმეებზე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გვერდის ავლით გამოძიების წარმოებას.

პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ხშირად, როდესაც დაზარალებული მოხელის მიერ ძალადობაზე საუბრობს, მას ამავდროულად უკანონო დაკავებაზეც აქვს პრეტენზია. ინტერვიუების ფარგლებში, ამ საკითხზე გამოძიებულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ დამამძიმებელი გარემოების გარეშე უფლებამოსილების გადამეტების გამორიცხვა უწყებრივი კომპეტენციიდან ქმნის მცირე პრობლემებს, თუკი განმცხადებელი არა (მხოლოდ) სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ ძალადობრივ ქმედებას, არამედ მის დაკავების კანონიერებასაც ხდის სადავოდ. ასეთ დროს, უწყების გამოცდილებით, მოხელის მიერ შირის უკანონო დაკავების, ანუ ძალადობის გარეშე უფლებამოსილების გადამეტების, ეპიზოდის შესაფასებლად საქმე პროკურატურას ეგზავნება და, თუ განმცხადებელი უკანონო დაკავებასთან ერთად მის მიმართ ძალადობაზეც აცხადებს პრეტენზიას, საქმეზე გამოძიებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური განაგრძობს, რაც გამოძიების ეფექტიანად და სწრაფად წარმართვის, ადამიანური და მატერიალური რესურსების დამოგვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილიც არის.

ამის მიუხედავად, პრობლემურად შეიძლება შეფასდეს მოქალაქის უკანონო დაკავების დაკვალიფიცირება მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტებად, მაშინ, როდესაც კანონმდებლობა იცნობს სპეციალურ ნორმას - სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით დასჯადია შირის განზრახ უკანონო დაკავება, რისთვისაც სასჯელის სახით 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, არათანმიმდევრულია სასამართლო პრაქტიკაც. არსებობს გადანყვეტილებები, ადმინისტრაციული წესით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლისა და მტკიცებულებების გარეშე შირის უკანონოდ დაკავებისთვის მოხელის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე. ერთ-ერთ მსგავს საქმეზე სასამართლოს განმარტებით, განზრახ უკანონო დაკავების შემადგენლობა მოცემულია იმ შემთხვევაშიც, თუ სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ არსებობდა შირის დაკავების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული საფუძველი. დაკავების უკანონობისას მოხელის განზრახვასთან დაკავშირებით კი სასამართლოს შეფასებით, პოლიციის თანამშრომლებმა იცოდნენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლები, ასევე ის, თუ რა შემთხვევაში ჰქონდათ შირის დაკავების უფლება, ისინი აცნობიერებდნენ იმ კონკრეტულ შემთხვევაში დაკავების საფუძვლის არარსებობას, თუმცა სურდათ შირის დაკავება და განზრახ დააკავეს იგი.²⁰⁹ სააპელაციო სასამართლომ მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტებად შეაფასა მსგავსი შემთხვევა, სადაც დაზარალებული სათანადო საფუძვლის გარეშე ადმინისტრაციული წესით იქნა დაკავებული.²¹⁰

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიის არსებობისას, მათ შორის, მოხელის, სამართალდამცავი შირის ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ნორმების გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ ინკრიმინირებული ქმედებისთვის დამახასიათებელი გარემოებები ისე აისახოს ბრალდებაში, რომ იგი ზუსტად აღინეროს და არ დადგეს სხვა დანაშაულის შემადგენლობით გადაფარვის საფრთხე. აღნიშნულზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმდენად,

²⁰⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის საქმე 1/ბ-46-2015.

²¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენი.

რამდენადაც სასამართლოს უფლებამოსილება, წარდგენილი ბრალდების სისწორეზე მსჯელობისას ქმედება გადააკვალიფიციროს სხვა, მატერიალური კანონმდებლობით მოცემული უფრო რეგულაციური მუხლით, შეზღუდულია ბრალდების უცვლელობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

ამ პრინციპის თანახმად, თუკი გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების და ანალიზის შედეგად სასამართლო ვერ დაინახავს კავშირს ბრალდებულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, მისი უფლებამოსილება, შეხედულებისამებრ შეცვალოს ბრალდება კანონმდებლობით მოცემული სხვა, უფრო შესაფერისი მუხლით, შეზღუდულია. შეზღუდვა გამომდინარეობს ვალდებულებიდან, რომ ბრალდებულს სათანადოდ და სრულად ეცნობოს ბრალდების შესახებ, ცვლილების ჩათვლით. ასეთ ვითარებაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ ბრალდების გადაკვალიფიცირებისას ბრალდებულს სათანადო დრო და საშუალება მიეცეს მასზე რეაგირებისთვის. ეს კი, სასამართლო განხილვის ეტაპზე სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლის შემთხვევაში, შესაძლოა, დაგვიანებული იყოს.

ევროპული სასამართლოს მიდგომით, ქმედების გადაკვალიფიცირება დაცვის უფლების დარღვევად არ მიიჩნევა ისეთ შემთხვევაში, თუკი დაცვისთვის წინასწარ განჭვრეტადია, რომ შეცვლილი კვალიფიკაცია შინაარსობრივად ბრალდების ორგანული შემადგენელი ელემენტია.²¹¹ ქართული სასამართლო პრაქტიკა წარდგენილი ბრალდების ცვლილებასთან მიმართებით, ფრთხილია და ბრალდებიდან გადახრის შემთხვევებში, თუკი სასამართლო ბრალდების სამართლებრივ კვალიფიკაციას არაზუსტად მიიჩნევს, განხილული სტანდარტის დაცვის მიზნით, მეტწილად, დანაშაულის გადაკვალიფიცირების თავიდან აცილებისა და პირდაპირ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისკენ იხრება.²¹² ამდენად, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვა საქმეზე საბოლოო შედეგის დადგომისთვის არსებით როლს თამაშობს.

5.5. უზღუდვების ბოროტად გამოყენება კლავიკით და ღიაკლავის კირადი ღირსების შეურაცხყოფით

სამოხელეო დანაშაულის თავით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ ქმედებათაგან სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.²¹³

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მინიჭებული უფლებებით საჯარო ინტერესების სანინააღმდეგოდ, საკუთარი ან სხვისი ინტერესების, გამორჩენის, უპირატესობის მიღების მიზნით სარგებლობა, რასაც შედეგად ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა მოჰყვება.

ნორმა არსობრივად პრობლემურია და ამაზე მეტყველებს ასევე ამ დანაშაულზე არსებული მწირი

²¹¹ მჭედლიძე ნანა, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, გვ. 136-137, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168070a54c>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²¹² ლავრენტი მალაქველიძე, ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017, გვ. 75, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31NtWpn>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²¹³ ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

საგამომიჯამო და სასამართლო პრაქტიკაც. სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის ამოქმედებიდან დღემდე, ხსენებული კვალიფიკაციით, არც ერთ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.²¹⁴

როგორც ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ითვლება ისეთი ქმედება, რომელიც მოხელის სამსახურებრივი საქმიანობიდან, დაკავებული პოზიციიდან მართლზომიერად გამომდინარეობს და შესაბამისი, ნორმატიული აქტებით წინასწარ არის განსაზღვრული.²¹⁵ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი უფლებამოსილების ძალადობით ბოროტად გამოყენებად მაშინ მიიჩნევს, როდესაც მოხელე დაზარალებულზე ფსიქიკური ან ფიზიკური იძულებით, ცემით, ფიზიკური ტკივილის მიყენებით, ჯანმრთელობის დაზიანებით ცდილობს, ჩაადენინოს მას უკანონო მოქმედება ან შეაწყვეტინოს მართლზომიერი საქმიანობა, მოხელის მართლსაწინააღმდეგო ინტერესიდან გამომდინარე.²¹⁶

კომენტარის თანახმად, იარაღის გამოყენება გულისხმობს მისი გამანადგურებელი თვისების ფაქტობრივ გამოყენებას ან იარაღის დემონსტრირებას, მისი გამოყენების მუქარას, რაც დაზარალებულს რეალური საფრთხის განცდას უჩენს.²¹⁷ კომენტარში განხილული არ არის დანაშაულთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ან კონკრეტული მაგალითები მოხელის მიერ დასახელებული ქმედების ჩადენის შესახებ.

როგორც უკვე ითქვა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მთავარი ნიშანი, სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მინიჭებული მართლზომიერი საშუალებების და ბერკეტების კერძო თუ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, პირადი მოტივებით ან სხვა პირთათვის სარგებლის მიღების სანაცვლოდ ჩადენაა. იარაღის, ძალადობისა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფის გზით თანამდებობრივი, მართლზომიერად მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება ქმედებას ავტომატურად უფლებამოსილების გადამეტებად აქცევს, რადგან საჯარო მოხელეს, მათ შორის მას, ვისთვისაც სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, იძულების ღონისძიებების თუ იარაღის გამოყენება ნებადართულია, აღნიშნული, კანონმდებლობით მკაცრად განვრილ შემთხვევებში, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის, აუცილებლობის და პროპორციულობის დაცვით შეუძლია. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისას, საჯარო მოხელე იარაღის თუ იძულების (ძალადობრივი) ღონისძიების გამოყენებისას, სცდება საკუთარ სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ამეტებს მას. ინტერვიუების ფარგლებში საგამომიჯამო სამსახურის გამომიჯამებელთა მიერ გამოთქმული შეხედულებებით, რთული წარმოსადგენია მათი მანდატის ფარგლებში ხსენებული მუხლით გამოძიების და, მით უმეტეს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რადგან ნორმის დისპოზიციიში აღწერილი შემადგენლობის არსებობისას მოხელე უკვე უფლებამოსილების გადამეტებას ჩადის.²¹⁸

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც დამატებით ცხადყოფს ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის და არაერთგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის განაჩენით,²¹⁹ სასამართლომ დამნაშავედ ცნო სამართალდამცავი ორგანოს ორი წარმო-

²¹⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 141, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uBYZ47>, წვდომის თარიღი: 03.04.2021; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020 წ., გვ.125, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dzj1oW>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²¹⁵ მზია ლევკვიციანი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 1), 2011, გვ. 137.

²¹⁶ იქვე, გვ. 138.

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯამებელთა ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის საქმე N 1ბ/259-19.

მადგენელი, რომელთაც ბრალად შეერაცხათ მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

განაჩენის თანახმად, პასუხისგებაში მიცემულმა მოხელეებმა შეიტყვეს, რომ მათი კოლეგა პატრულ-პოლიციელის მიერ რამდენიმე პირის დაკავების ღონისძიების დროს გაუფრთხილებელ გასროლას მოჰყვა ერთ-ერთი დაკავებულის გარდაცვალება. ამის შემდეგ, საპატრულო პოლიციის იმიჯის შენარჩუნებისა და პატრულ-ინსპექტორისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში დახმარების მიზნით, დაკავებულები და გარდაცვლილი პირი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაადანაშაულებს პოლიციელებზე შეირადებულ თავდასხმაში, ჩაუდეს ადგილზე მათ მიერ მოგვიანებით მიტანილი ცეცხლსასროლი იარაღები. გადანყვეტილების მიხედვით, პოლიციის მაღალჩინოსნებმა, დაკავებულების ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები ხელოვნურად შექმნეს, უკანონოდ დაკავებულ ახალგაზრდებს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ჩაუდეს და პროცესუალურ დოკუმენტებში მათი იმგვარად ასახვის ფაქტობრივი წინაპირობები შექმნეს, თითქოს აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ნივთები დაკავებისას იქნა ამოღებული, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ჩართულობით, წინასწარი ინსცენირების შემდეგ, გაშუქდა მედიასაშუალებებით.

აღნიშნული განაჩენი აღწერს პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნის, პროცესუალური დოკუმენტების, ნივთიერი მტკიცებულებების გაყალბების, ამ მტკიცებულებების საფუძველზე კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანმიმდევრულ პროცესს და საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, პოლიციელთა ქმედებას სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით აკვალიფიცირებს.

ხსენებულ გადანყვეტილებაში, პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცავების მიერ საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერად გამოყენების - მტკიცებულებათა გაყალბებისა და წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირების განზრახ უკანონო დაკავებისკენ მიმართული კონკრეტული ქმედებების აღწერის მიუხედავად, სასამართლომ არ იმსჯელა პოლიციელების ქმედებების სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმებით შეფასების საჭიროებაზე. მოცემულ შემთხვევაში, საუბარია სამართალდამცავი პირის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაზე,²²⁰ ასევე განზრახ უკანონო დაკავებაზე,²²¹ რამაც მძიმე შედეგი, სახელდობრ, სრულიად უსაფუძვლოდ, პოლიციელებზე თავდასხმისა და იარაღის უკანონო შეძენისა და გადაზიდვისთვის რამდენიმე ახალგაზრდის პასუხისგებაში მიცემა გამოიწვია.

მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და პირის განზრახ უკანონო დაკავების ქმედებები მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციალურ შემადგენლობას იძლევა, როდესაც მხოლოდ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელს ხელეწიფება სისხლის სამართლის საქმეზე ყალბი მტკიცებულებების შექმნა, პირის დაკავების თაობაზე გადანყვეტილების მიღება, საპროცესო დოკუმენტაციის ფალსიფიცირება.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების კვალიფიკაციისას ხდება სამოხელეო დანაშაულთა აღრევა. მაგალითისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში, სასამართლო ავითარებს მსჯელობას პოლიციის თანამშრომლის მიერ არასამსახურებრივად, მგზავრობის დროს იარაღის გამოყენებისა და რამდენიმე პირის ჯანმრთელობის დაზიანების სამართლებრივ კვალიფიკაციაზე, კერძოდ - სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ნიშნებზე. თუმცა, რეალურად, უფლებამოსილების ბოროტად

²²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹ მუხლი.

²²¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით მეორე ნაწილი.

გამოყენების დისპოზიციის შემადგენელი ელემენტების განმარტავს.²²²

განხილული დანაშაულის საკანონმდებლო დისპოზიციის ბუნდოვანების და სხვა სისხლისსამართლებრივ ნორმებთან კოლიზიურობის გამო, რჩება ფართო შესაძლებლობა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების, მოხელეების არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის ან უფრო მსუბუქად დასჯისთვის. აღნიშნულს არაერთგვაროვანი და მწირი სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს და აქედან გამომდინარე, აუცილებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების, მათ შორის, სსკ-ის 332-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებებიდან ძალადობის, პირადი ღირსების შეურაცხყოფის ამოღებაზე მსჯელობა.

5.6. უზღაგომოსილუის გელამეცხეა კელალოით დე დეჰაკელეულის ჰირადი ღირსეის შეურაცხყოფით

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის შეფასებისას, წლების განმავლობაში პრობლემად განიხილებოდა სამართალდამცავთა მიერ ძალადობის შემთხვევებზე გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვა სსკ-ის 333-ე მუხლით.²²³ კრიტიკის საგანი წამებისა და არასათანადო მოპყრობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციისგან თავის არიდება და გამოძიების შედარებით მსუბუქი მუხლებით წარმართვა იყო.

ხსენებული დანაშაული, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის მანდატის ქვეშ არის და სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე როგორც გამოძიების დაწყების, ისე სისხლის-სამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი სტატისტიკური მაჩვენებლით ხასიათდება - 2020 წლის განმავლობაში გამოძიებადანიყებული 270 საქმიდან, 202 შემთხვევა 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა, რაც ამ პერიოდში დაწყებული გამოძიებების დაახლოებით 75% პროცენტს შეადგენს.²²⁴

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა შორის, ხსენებული დანაშაული ერთ-ერთი პრობლემურია. ამის მიზეზია 1. უფლებამოსილების გადამეტების მატერიალური შემადგენლობისა და კოდექსის სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიური ურთიერთმიმართება; 2. კოლიზიური ნორმების მიმართ დადგენილი განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები 3. არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

მუხლის დისპოზიციას და სანქციებს, მისი შემოღებიდან დღემდე, არსებითი ცვლილება არ განუცდია. ხსენებული ნორმის მატერიალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, აკადემიურ სივრცეში მწირია სამეცნიერო ლიტერატურა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარში მოცემული განმარტებები არ პასუხობს პრაქტიკისთვის არსებით კითხვებს - თუ როგორ იმიჯნება უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისგან; რა კრიტერიუმებით განსხვავდება მსხვერპლის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტება დამამცირებელი მოპყრობისაგან.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ავტორთა მოსაზრებით, 333-ე მუხლში გათვალისწინებული

²²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენი საქმეზე n1ბ/580-2020წ.

²²³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წ., გვ.28, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Q1FRNy>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²²⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 140-141, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wrSQjp>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

დანაშაულის საფრთხე იმაში გამოიხატება, რომ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი განზრახ მიმართავს ისეთ მოქმედებას, რომელიც აშკარად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს და ინვესტს მოქალაქეთა უფლებების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების არსებით დარღვევას. ამავე კომენტარის თანახმად, საჭიროა მოხელის უფლებამოსილების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა შესაბამისი ნორმატიული აქტების მეშვეობით, ასევე უფლება-მოვალეობათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების განსაზღვრა და მათი სამართლებრივი შეფასება.²²⁵

უფლებამოსილების გადამეტების დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით, კომენტარის ავტორები უთითებენ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დამამძიმებელი გარემოებების (სსკ-ის 332-ე მუხლი) განმარტებაზე. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ძალადობად მიიჩნევა დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა. ავტორთა კოლექტივი მოხელის მიერ იარაღის გამოყენებას უკავშირებს დაზარალებულზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების მიზანს.²²⁶

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების შეხედულებითაც, გამოძიების წარმოებისას მოხელის მიერ უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, მოხელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტის არსებობა.

საგამომძიებო თუ საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, სამართალდამცავისთვის წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში, დასაშვებია მის მიერ იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.²²⁷ ანალოგიურად, საპოლიციო მოქმედებების გატარებისთვის პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობის ფარგლებში, რომელიც მას კანონიერი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას მისცემს.²²⁸ ამ ზოგადი უფლებამოსილების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთათვის კანონით ნებადართული იძულების ღონისძიებების სახეების, ფორმების, მეთოდების, ფიზიკური წინააღმდეგობის მოგერიების სათანადო ხერხების თაობაზე ერთიანი უწყებრივი დოკუმენტის არსებობა, რაც პოლიციის თანამშრომელთა ფუნქციების განხორციელებისას სიცხადის შეტანას უზრუნველყოფს. ეს საკითხი სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის თანამშრომელთა ინტერვიუების ფარგლებშიც პრობლემურად დასახელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის თანამშრომლები ძალის გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადება/გადამზადებას პოლიციის აკადემიაში გადიან,²²⁹ თუმცა, ერთიანი დოკუმენტი, დაკავების სტანდარტული პროცედურების, წინააღმდეგობის განწევისას სამოქმედო და ნებადართული ღონისძიებების თაობაზე, დღემდე არ არსებობს. გამონაკლისია შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლებს, მინისტრის კურატორი მოადგილის მიერ დამტკიცებული საბრძოლო მომზადების პროგრამის შესაბამისად, უტარდება სწავლებები და მეცადინეობები, მათ შორის დაკავების პროცედურების თუ წინააღმდეგობის განწევისას იძულების პროპორციული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.²³⁰

²²⁵ შხია ლეკვიძელი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კრძო ნაწილის კომენტარი, (წიგნი 2), 2009, გვ. 145.

²²⁶ იქვე.

²²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

²²⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი.

²²⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 16.02.2021 MIA 121 00366738 წერილი; EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019, გვ. 23, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cQfV0w>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²³⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 16.02.2021 MIA 121 00366738 წერილი.

5.6.1. მოხელის მიერ უზღავანო სილამის გაღამეფების გამიჯვნა არასამართლო მოწყობისგან

კოდექსში მსგავსი შინაარსის მქონე სპეციალური ნორმის არსებობის გამო, პრობლემურია დაზარალებული პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გაღამეფების შემადგენლობაც. ავტორთა კოლექტივის თანახმად, მასში იგულისხმება მოხელის ისეთი ქმედება, რომელიც პირის ღირსებას ამცირებს ისეთი ფორმით, როგორც ენინაღმდეგება თანაცხოვრების საზოგადოებაში დადგენილ წესს.²³¹

ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გაღამეფების დისპოზიციამ კითხვები განსაკუთრებით მას შემდეგ გააჩინა, რაც სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სპეციალური შემადგენლობები, გათვალისწინებული სსკ-ის 144¹-144³-ე მუხლებით. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, წამების და წამების შექარის გარდა, დასჯადობას დაეჭვმდებარე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, რომელთა სამართლებრივი შემადგენლობები განხილულია ზემოთ. სისხლის სამართლის კოდექსში ხსენებულ ნორმათა შემოტანის შემდეგ, რთულად იმიჯნება ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გაღამეფების და მოხელის მიერ დამამცირებელი მოპყრობის მუხლები. ამ მხრივ, საგამომიჯამო და სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვნად ჩამოყალიბდა.

საკანონმდებლო დეფინიციათა გათვალისწინებით, სსკ-ის 333-ე მუხლსა და სსკ-ის 144³-ე მუხლს შორის მთავარი განსხვავება ძალადობის დროს მსხვერპლში გამოწვეული ტკივილის, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტანჯვის ხარისხია. საგამომიჯამო უწყების გამომიჯამებულთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ მოხელის მიერ ძალადობით თუ დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გაღამეფებით ქმედების შეფასება მაშინ ხდება, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები, სამართალდამცავის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის ხარისხი, დაზარალებულის მიერ განცდილი ტანჯვა და დამცირება არ აღწევს დამამცირებელი მოპყრობისთვის აუცილებელი ტანჯვის მინიმალურ ხარისხს. ინტერვიუების ფარგლებში, მაგალითისთვის, დასახელდა პოლიციის თანამშრომლის მიერ მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირზე ერთჯერადი ძალადობის განხორციელება - სახეში ხელის გარტყმა, ასევე შედარებით მსუბუქი სახის ძალადობა, რომელიც არ იწვევს დამამცირებელი მოპყრობისთვის საჭირო სისასტიკის მინიმალურ დონეს - ფიზიკურ ტკივილს თუ ფსიქიკურ ტანჯვას.²³²

ძალადობით უფლებამოსილების გაღამეფებისა და დამამცირებელი მოპყრობის ამ ნიშნით გამიჯვნა მატერიალური და ფორმალური (შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებით) თვალსაზრისით ასევე რთულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მოპყრობა შეიძლება შეფასდეს დამამცირებლად, თუკი სახეზეა სისასტიკის მინიმალური დონე, რაც კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და მენტალურ ეფექტებზე დამოკიდებული²³³. მოპყრობა, რომელიც ინდივიდში აღძრავს შიშს, დაკნინების, დაუცველობის გრძობას, ტკივილს, განიხილება დამამცირებელ მოპყრობად. დადგენილი პრაქტიკით, საკმარისია, მსხვერპლი დამცირებულად გრძობდეს თავს, სხვათა შეხედულების მიუხედავად.²³⁴ პრეცედენტული სამართლით, ევროპულმა სასამართლომ დამამცირებელ მოპყრობად შეაფასა იმპულსურად, წინასწარი განზრახვის გარეშე პირისთვის სილის განვნა, რომელსაც რაიმე სახის სერიოზული ან გრძელვადიანი ეფექტი არ გამოუწვევია, იმ მიზეზით, რომ

²³¹ მზია ლეკვიძელი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 2), 2009, გვ. 143.

²³² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯამებულთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²³³ Ireland v. the United Kingdom, no. 5310/71, 18.01.1978, §162.

²³⁴ Vasyukov v. Russia, no. 2974/05, 05.04.2011 § 59; Đorđević v. Croatia, no. 41526/10, 24.07.2012, § 95 M.S.S. v. Belgium and Greece, no. 30696/09, 21.01.2011, §220, Bouyid v. Belgium, no. 23380/09, 28.09.2015, §87.

ქმედება სამართალდამცავი პირის მიერ იყო ჩადენილი.²³⁵ შესაბამისად, სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა პოლიციის მხრიდან ძალადობის სამართლებრივი შეფასებისთვის კოლიზიურ, ფართო დებულებებს შეიცავს, რაც ქმედების სწორ კვალიფიკაციას ართულებს და საგამომიჯამო ორგანოს ლავირების დიდ შესაძლებლობას უტოვებს.

რაც შეეხება განსახილველ დანაშაულზე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, განაჩენთა ანალიზი ცალსახად მიუთითებს მის არაერთგვაროვნებაზე. ერთი მხრივ, სასამართლო მრავალ გამამტყუნებელ განაჩენში იზიარებს მოხელის მიერ მსუბუქი ძალადობის სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირების მიდგომას და ემხრობა პირობითად, სამართალდამცავთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას დაკავებულზე ერთი დარტყმისთვის.²³⁶

თუმცა, ამავე საკითხზე სრულიად საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც საჯარო მოხელეს ბრალად ედებოდა ძალადობით უფლებამოსილების გადამეტება - გამოხატული სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ხელის ერთხელ დარტყმაში. საკასაციო პალატამ მოცემულ საქმეზე განმარტა, რომ ხელის ერთჯერადი დარტყმა არ წარმოადგენს მოხელის მიერ ძალადობის ჩადენით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. საკასაციო პალატის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური თვალსაზრისით სახეზე იყო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი - ძალადობა, პირის მიერ ხელის ერთჯერადი დარტყმა, რომელსაც არ მოჰყოლია დაზარალებულების რაიმე სახის დაზიანება და უშუალოდ ამ მოქმედებას არ გამოუწვევია დაზარალებულთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, ვერ იქნებოდა მიჩნეული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად, ძალადობით ჩადენილად, რადგან არ არსებობდა ამ დანაშაულის შემადგენლობის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების არსებითი დარღვევა. უზენაესმა სასამართლომ ეს ქმედება, ჯანმრთელობის რაიმე სახის დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგის არარსებობის მიზეზით, სხვაგვარ ძალადობად დააკვალიფიცირა, რასაც, განაჩენის მიღების დროისთვის, სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა.²³⁷

ამავე განაჩენში, საკასაციო პალატამ დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობიდან გამორიცხა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ მის დაქვემდებარებაში მყოფთათვის ბოთლის სროლა და სამხედრო მოსამსახურეების სიტყვიერი შეურაცხყოფა. სასამართლოს განმარტებით, ბოთლის სროლა, რომელიც არავის მოხვედრია, მართალია, მორალური თვალსაზრისით ცალსახად მიუღებელი და გასაკიცხია, მაგრამ ვერ შეფასდებოდა დაზარალებულის ღირსების იმ ხასიათის შეურაცხყოფად, რომელიც ფიზიკური პირის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას იწვევს. საკასაციო პალატამ ამის მიზეზად ხსენებული დანაშაულის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ნიშნის არარსებობა დაასახელა, როგორცაა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა - ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა. სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული ქმედება ზოგადმხედობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართულ უღირს საქციელად უნდა შეფასებულიყო, რაც დისციპლინურ გადაცდომას და არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენდა.²³⁸

განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევებიც,

²³⁵ Bouyid v. Belgium, no. 23380/09, 28.09.2015, §105-106.

²³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი.

²³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის N12აპ-14 განაჩენი.

²³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის N12აპ-14 განაჩენი.

როდესაც სასამართლო წამების, არაადამიანური მოპყრობის, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით თავისუფლებაზე გულუდულ პირზე განხორციელებულ ძალადობა ამავე მუხლით კვალიფიცირდება. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მოხელის მიერ ძალადობით, პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტებაზე გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანა დაკავშირებულია ისეთ შემთხვევებთან, როდესაც მოხელეებმა „დასჯის მიზნით, სამხედრო მოსამსახურეები ჩაკეტეს სამსახურებრივ ზედამხედველობასა და დაქვემდებარებაში მყოფი ბრიგადის აბანოში, სადაც მათ გამოურთეს გათბობა, არ მისცეს საკვები და ორი დღე ამყოფეს გაუსაძლის პირობებში, რამაც ჯარისკაცების ფსიქიკური და მორალური ტანჯვა გამოიწვია.“²³⁹ ძალადობით და პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტებად დააკვალიფიცირა სასამართლომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების ქმედებაც, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტოგრაფებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობით აღიარებითი ჩვენებების მიღებისკენ იყო მიმართული. ჯაშუშობაში მონაწილეობის შესახებ აღიარებითი ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში დაკავებულთა შვილებთან დაკავშირებული შანტაჟი, პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გასაჯაროების მუქარა, ღამით სასაფლაოზე ნიღბიანი პირების მიერ დაკავებულზე ფიზიკური ძალადობა იარაღის მუქარით, სასამართლომ განხილული ნორმის შემადგენლობაში მოაქცია იმ არგუმენტაციით, რომ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მოცემული მაკვალიფიცირებელი ნიშანი - ძალადობა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ იძულებას გულისხმობს. სასამართლოს განმარტებით, სწორედ ფსიქიკური იძულება იყო აღიარებითი ჩვენებების მიცემის მიზეზი. გადანყვეტილების თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. განსახილველ საქმეში, „დაზარალებულ ფოტოგრაფებს იძულებით აღიარებინეს საკუთარი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ჯაშუშობის ჩადენა, რაც ცალსახად ღირსების შემლახველი მოქმედებაა.“ პირადი ღირსების შეურაცხყოფად შეაფასა სასამართლომ დაკავებულის მიმართ პირადი ფოტოს გასაჯაროების მუქარა, ისევე როგორც მისი იძულება, კეფაზე ხელებდანყობილს და დაჩოქილს ევლო დროებითი მოთავსების იზოლატორისკენ.²⁴⁰ ცალსახაა, რომ განხილულ შემთხვევებში სასამართლომ დაზარალებულთა დასჯის, მათგან აღიარებითი ჩვენების მიღების სპეციალური მიზანი სრულიად უგულებელყო.

გამომძიებელთა შეფასებით, ძალადობით უფლებამოსილების გადამეტებასთან მიმართებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკის ფონზე, რომელიც ხშირად მოხელის ერთჯერად, მსუბუქ ძალადობას მოიაზრებს ნორმის შემადგენლობის ქვეშ, დამატებითი პრობლემაა სანქციის (5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა) არაპროპორციულობა.²⁴¹ მაგალითისთვის, საგამომიჯამო სამსახურმა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიციის თანამშრომლის მიმართ, რომელსაც ბრალად დაედო ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დაკავებულის მიმართ, რომელიც სამართალდამცავს რამდენიმე საათის განმავლობაში აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას დედის მისამართით. იმ პირობებში, როდესაც პოლიციელს დედა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, დაკავებულის მხრიდან ბილწსიტყვაობის აღკვეთის სურვილით, სამართალდამცავმა მას სახეში სილა გაანწა, რაც ძალადობით უფლებამოსილების გადამეტებად დააკვალიფიცირდა. შესაბამისად, სამართალდამცავის ქმედება 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისაჯა.

განხილულ დისკომფიციასა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სპეციალურ ნორმებს შორის დუბლირება პრობლემურია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი ხანდაზმულობის ვადების თვალსაზრისითაც. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსი ხანდაზმულობის

²³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის N12აპ-14 განაჩენი.

²⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 იანვრის განაჩენი საქმეზე N 1/ბ-779-17.

²⁴¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ვადას არ ავრცელებს წამების და არასათანადო მოპყრობის ქმედებებზე (სსკ-ის 144¹⁻³ მუხლები),²⁴² მაშინ, როდესაც სამოხელეო დანაშაულებზე²⁴³ (სსკ-ის 332-342^{1-ე} მუხლები) ხანდაზმულობის ვადა 15 წელია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტებასა და დამამცირებელ მოპყრობას შორის ნათელი სამართლებრივი მიჯნა არც კანონმდებლობით და არც სასამართლო პრაქტიკით გავლენიანი არ არის. ეს პრაქტიკაში არასათანადო მოპყრობის ქმედებებზე ნორმათა ურთიერთგადაფარვის, გამოძიების სწორად წარმართვის და პასუხისმგებლობის ზომის ადეკვატურად განსაზღვრის პრობლემებს წარმოშობს და, შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს.

5.7. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის კომპეტენცია ვრცელდება განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულებაზე, რაც სსკ-ის 335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. ნორმის ობიექტური შემადგენლობით, დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემის, ანდა ექსპერტის იძულება დასკვნის მიცემის მიზნით.

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები ხსენებულ დანაშაულს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სპეციალურ სახედ მოიხსენიებს. დანაშაულის ობიექტი ხელისუფლების ორგანოების ნორმალური საქმიანობა, საგამომიჯამო საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა, დამატებითი ობიექტი კი ადამიანის და მოქალაქის კანონიერი ინტერესებია.²⁴⁴

ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება განმარტების, ჩვენების, დასკვნის მიცემის იძულებაში, დანაშაულის ჩადენის ხერხს კანონმდებელი თავად განსაზღვრავს და ეს შეიძლება იყოს მუქარა, მოტყუება, შანტაჟი, სხვა უკანონო მეთოდი.

ნორმის დისკომიციდიან ნათელია, რომ დასჯად ქმედებათა ჩამონათვალში, ჩვენების (განმარტების) მიცემასთან ერთად არ გვხვდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება, რაც საგამომიჯამო პრაქტიკაში პრობლემურია. კერძოდ, ამ მუხლით დაცული სფეროს გარეთ იქნება ვითარება, როდესაც გამომძიებელი მოქალაქისგან მოითხოვს, არ მისცეს, პირობითად ბრალდებულის სასარგებლო ჩვენება. საგამომიჯამო უწყებას, მოხელის ამ ტიპის უკანონო ქმედებაზე სათანადო რეაგირებისთვის, თეორიულად, გამოძიების დაწყება შეუძლია სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულებას მოიცავს, თუმცა მუხლი გამოსადეგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი მოხელემ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისგან მოითხოვა. სხვა შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების გარეთ მყოფ მონმზე, გამოსაკითხ პირზე ამ სახის ზემოქმედება არც სსკ-ის 335-ე და არც სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილით ობიექტური შემადგენლობის ელემენტი არ არის.

მოხელის მხრიდან მოქალაქისადმი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულებასთან დაკავშირებით, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან რელევანტური შეიძლება იყოს მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ დანაშაულთა თავში მოცემული სსკ-ის 372-ე მუხლი. ნორმით, სხვა ქმედებებთან ერთად, კრიმინალიზებულია გამოსაკითხი პირისადმი, მონმისადმი, დაზარალებულისადმი,

²⁴² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-5¹ მუხლი.

²⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ¹“ მუხლი.

²⁴⁴ მზია ლევკვიციანი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 2), 2009, გვ. 150.

ექსპერტისადმი ინფორმაციის მიწოდებას ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის მიმართვა ან დაყოლიება. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებული საგამომიჯამო და სასამართლო პრაქტიკა, ისევე როგორც კანონმდებლის მიერ სსკ-ის 372-ე მუხლის არასამოხელეო დანაშაულთა თავში განთავსება, იმაზე მეტყველებს, რომ ქმედების სუბიექტი არა მოხელე, არამედ კერძო პირია, რომელიც პირადი ინტერესით სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეზე ზემოქმედებას ცდილობს.²⁴⁵ ამდენად, აღნიშნული დებულებაც ვერ იქნება მხედველობაში მიღებული.

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურს განხილულ დანაშაულზე გამოძიების წარმოების პრაქტიკა აქვს. ამ მუხლით პასუხისგებაში მიეცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც, ქურდობასთან დაკავშირებით მოქალაქის განცხადებაზე რეაგირების თავიდან აცილების მიზნით, დაარწმუნა იგი, ქურდობის ნაცვლად განცხადების შინაარსი იმგვარად შეეცვალა, თითქოს განმცხადებელი არა დანაშაულზე რეაგირებას, არამედ მამამისის მიერ გაჩუქებული ნივთების უკან დაბრუნებას ითხოვდა. ამგვარად პოლიციის თანამშრომელი გამოძიების დაწყების ვალდებულების წინაშე არ დადგებოდა, ხოლო განმცხადებელს იგი დაკარგულ ნივთებს მაინც დაუბრუნებდა. უწყებამ ქმედება განმარტების მიცემის იძულებად დააკვალიფიცირა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად აკვალიფიცირებს.²⁴⁶ მოცემულ შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენიც სსკ-ის 335-ე მუხლით იქნა გამოტანილი. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა საქმიანობის ფარგლებში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის პრევენციის მიღწევისთვის, სწორად უნდა შეფასდეს განხილულ შემთხვევაზე საგამომიჯამო უწყების მიერ საქმის გამოძიების გადაწყვეტილება.

სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილით დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება. ნორმის დისპოზიცია წამების სისხლის-სამართლებრივი შემადგენლობის მსგავსია. ამ შემთხვევაში, ქმედების ობიექტური შემადგენლობა, ერთი მხრივ, წამების დეფინიციის იდენტურად, მიზნით დეტერმინირებულია. მეორე მხრივ, აქაც მიზნის მისაღწევად (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) საჭიროა ძალადობრივი მეთოდების გამოყენება – სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა.

ორივე დებულება შინაარსობრივად ერთნაირად აღწერს ქმედების შემადგენლობას, განსაზღვრავს ძალადობის მსგავს მეთოდებს და დანაშაულებრივი ქმედების იდენტურ მიზანს - პირისგან ინფორმაციის, განმარტების, ჩვენების მიღებას. მუხლებს შორის განსხვავება მხოლოდ გრამატიკულ-ენობრივი სახეცვლილებაა, რამაც ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების, ქმედების კვალიფიკაციისა და მოხელის პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით, შეიძლება პრობლემები შექმნას.²⁴⁷

განხილული მუხლების ობიექტური შემადგენლობების მსგავსების ფონზე, ყურადღებას იქცევს ამ დანაშაულთათვის დაწესებული სანქციების მკვეთრი სხვაობა, კერძოდ, მოხელის მიერ პირის იძულება სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით განმარტების მიცემის თაობაზე, სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირების შემთხვევაში, 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას იწვევს, ამავე ქმედების წამებად შეფასებისას კი, მოხელეს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდება.

²⁴⁵ ქეთევან ჩომახაშვილი, სალომე ოსუფაშვილი, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 2017 წ., გვ. 75, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sTXU6X>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁴⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენი.

²⁴⁷ გიორგი ბურჯანაძე, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა საქართველოს მატერიალური და საპროცესო სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ჟურნალში: თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 2013, N1, გვ. 75, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sTR7Kz>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

ამდენად, ნორმათა გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე საგამომიჯამო და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვანი ჩამოყალიბებისთვის, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუქმება და მასში აღწერილი ობიექტური შემადგენლობის არსებობისას, ქმედებისთვის, ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის მიცემა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, განხილული დანაშაულის დისკომიციას, ქმედებათა ჩამონათვალში უნდა დაემატოს „ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება.“

5.8. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის მანდატშია მოქცეული პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება - ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით.²⁴⁸ ამავგვაროვანად, დასჯადია მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით.

განსახილველი დანაშაულის დამოუკიდებელი საგამომიჯამო მექანიზმის კომპეტენციის ქვეშ მოქცევა კითხვებს ბადებს მუხლის მთლიანი შემადგენლობის სისტემური აგებულების გათვალისწინებით და შესაფასებელია, რამდენად არის ამ დანაშაულის სუბიექტი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლი მოქცეულია სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში და დასათაურებელია, როგორც პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია. ნორმის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რასაც თან ახლავს მისი ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ანდა დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის სხვაგვარად შეშლა, საქმიანობის დეზორგანიზაცია. ქმედებისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი პატიმრობისა და პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება, დამატებითი ობიექტი კი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების, დაწესებულებაში მოთავსებული პირების უსაფრთხოება, პირადი ხელშეუხებლობა და ჯანმრთელობაა.²⁴⁹

პირველი ნაწილისგან განსხვავებული დანაშაულებრივი ქმედებაა მოცემული სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილში - კერძოდ, დასჯადია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ ძალადობა, რათა მან 1. შეცვალოს ჩვენება; 2. უარი თქვას ჩვენების მიცემაზე 3. მსჯავრდებულის იძულება, რათა მას ხელი შეეშალოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში. მუხლის მესამე ნაწილი სასჯელს ანგებს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის სხვა ადგილას გადაყვანის დროს მისი მხრიდან დაწესებულების თანამშრომელზე თავდასხმასა და სხვა ნებისმიერი სახის ძალადობაზე.

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის მიერ ამ დანაშაულის გამოძიების წინაპირობაა მისი ჩადენა მოხელის, მოხელესთან გათანაბრებული პირის ან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ. სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის განმარტებით, ქმედების სუბიექტი სპეციალურია – პატიმრობაში მყოფი ან პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი.²⁵⁰ მუხლის სტრუქტურული აგებულება და ლოგიკა, მიმართული

²⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁴⁹ მზია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 2), 2009 წ., გვ. 317.

²⁵⁰ მზია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, (ნიგნი 2), 2009 წ., გვ. 320.

დანესებულების ნორმალური ფუნქციონირებისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვისკენ პირველი და მესამე ნაწილებით, საეჭვოს ხდის მუხლის მეორე ნაწილში სუბიექტად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის თუ მოხელის შემოყვანას. გასათვალისწინებელია ასევე ზოგადად სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო ტექნიკაც, რის მიხედვითაც ცალკეულ დანაშაულთა სპეციალურ სუბიექტად მოხელე (მასთან გათანაბრებული პირი) ექსპლიციტურად არის დასახელებული. კვლევის ფარგლებში გამოძიებლებთან ინტერვიუების ანალიზით, აღნიშნული მუხლი მათ საგამომიჯამო პრაქტიკაში უმოქმედოა და სავარაუდოდ, ნორმის სუბიექტიც პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსებული პირია.

განსახილველ დანაშაულთან მიმართებით, პრობლემაა ისიც, რომ ნორმით კრიმინალიზებულია პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსებული პირის იძულება, შეცვალოს ჩვენება ან უარი თქვას მის მიცემაზე. ამავე მუხლის ობიექტური შემადგენლობის ნაწილი არ არის დანესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების მიცემაზე.

გარდა ამისა, სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილით დასჯადია მსჯავრდებულის იძულება, მიმართული მისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების ხელშეშლისაკენ. განმარტებას საჭიროებს, ერთი მხრივ, რა მოიაზრება *მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში* და, მეორე მხრივ, რატომ არის ამ შემთხვევაში დასჯადი პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის იძულება, ხოლო უგულებელყოფილია ბრალდებულის სტატუსის მქონე პირზე ზემოქმედება.

მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების საკანონმდებლო დეფინიცია სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული არ არის, იგი არ გვხვდება კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულთა დისპოზიციებშიც. თუმცა, მოქალაქეობრივი თუ საზოგადოებრივი მოვალეობის შინაარსობრივი განმარტებით, ის კონსტიტუციით თუ სხვა აქტით მოქალაქისთვის დაკისრებული ისეთი ვალდებულებების შესრულებას გულისხმობს, როგორებიც შეიძლება იყოს მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის აღკვეთა, ხელისუფლების ორგანოებისთვის დანაშაულის შეტყობინება, დანაშაულში მონაწილე პირთა მხილება, გამოძიების/სასამართლოს წინაშე მონაწილის სახით წარდგენა. *მოქალაქეობრივ მოვალეობად* შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში მონაწილეობაც. ეს უკანასკნელი განსახილველი ნორმის ობიექტური შემადგენლობის ნაწილი არ იყო სისხლის სამართლის კოდექსის მიღებიდან 2012 წლის 9 იანვარს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანამდე, რადგან კონსტიტუცია პენიტენციურ დანესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს საარჩევნო უფლებას საერთოდ არ ანიჭებდა. კონსტიტუციაში 2012 და 2017 წელს შესული ცვლილებებით, ჯერ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს მიენიჭათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მოგვიანებით კი - მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებსაც.²⁵¹

ამდენად, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელშეშლად საარჩევნო უფლებით ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებულთა დაბრკოლებაც შეიძლება მოიაზრებოდეს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გაუგებარი რჩება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების ხელშეშლისგან მხოლოდ მსჯავრდებულთა დაცვა და საკანონმდებლო დისპოზიციიდან ბრალდებულთა გამოტოვების ლოგიკა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 378-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციის განხილული ხარვეზები ცვლილებებს საჭიროებს. კერძოდ, უნდა დაკონკრეტდეს პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ ძალადობის სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დანესებულებაში მოთავსებული ბრალდებული ან მსჯავრდებული, ისე დანესებულებაში მყოფი საჯარო მოხელე. აქედან გამომდინარე, განხილულ ნორმას სპეციალურ სუბიექტად უნდა დაემატოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. გარდა ამისა, ქმედების ობიექტურ შემადგენლობას ჩვენების შეცვლისა და

²⁵¹ საქართველოს კონსტიტუციის 23.03.2018 და 09.01.2012 საკანონმდებლო ცვლილებები, მუხლი 28 და 24.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გარდა, უნდა დაემატოს დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება, მისცეს ჩვენება. ასევე, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის იძულების გარდა, დასჯადობას უნდა დაექვემდებაროს ბრალდებულის სტატუსის მქონე პირზე მსგავსი ტიპის ზემოქმედება.

5.9. სახელმწიფოს უზენაესი კონსტიტუციური კანონის ქვე მოთხრობის მიხედვით ჩადენილი სხვა დანაშაულები

განხილულ დანაშაულთა გარდა, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, რასაც შედეგად პირის გარდაცვალება მოჰყვა.²⁵² კანონი განმარტავს სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის დეფინიციას, რაც გულისხმობს დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდულ პირს, ასევე ნებისმიერ ადამიანს, რომლის გადაადგილების თავისუფლება და ადგილსამყოფლის საკუთარი ნების შესაბამისად დატოვების უფლება ფაქტობრივად შეზღუდულია მოხელის მიერ, მიუხედავად იმისა, იმყოფება პირი საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ.²⁵³

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებამდე, სამსახურის საგამოძიებო მანდატთან დაკავშირებით, სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობდა კრიტიკა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიმართ საგამოძიებო კომპეტენციის თაობაზე და მიეთითებოდა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ პირის ყოფნა გამოძიების ფარგლებში დასადგენი ფაქტობრივი საკითხია და ქვემდებარეობის კრიტერიუმად აღნიშნული არ გამოდგებოდა.²⁵⁴

საგამოძიებო სამსახურის დღემდე არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 2020 წელს გამოძიება 15 საქმეზე დაინციო.²⁵⁵ ყველა შემთხვევა შეეხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.²⁵⁶

უწყების გამომძიებლებთან ინტერვიუების დროს, საგამოძიებო ქვემდებარეობის ხსენებულ დებულებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გამოძიების დაწყება მეტწილად პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის (მსჯავრდებული, ბრალდებული) გარდაცვალებას უკავშირდება.

პრაქტიკაში ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიაღგება სიცოცხლისთვის საშიში დამიანება, თუმცა გარდაცვალების ფაქტი სხვაგან, მაგალითად, კერძო სამედიცინო დაწესებულებაში დგება.²⁵⁷ ასეთ შემთხვევაში, საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის აუცილებელი მოთხოვნა - სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გარდაცვალება პირდაპირ მოცემული არ არის, ასევე ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთება სამსახურის მანდატის სპეციალური სუბიექტების - სამართალდამცავის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის დანაშაულებრივი ქმედება, არამედ შესაძლოა, პირის გარდაცვალების მიზეზი კერძო კლინიკის სამედიცინო პერსონალის მიერ განეული არასათანადო მკურ-

²⁵² „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

²⁵³ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

²⁵⁴ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 14 თებერვალი, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3umUWbr>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁵⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 142, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fGhRKL>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილი.

²⁵⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ნალობა იყოს, თუმცა საგამოძიებო უწყება მსგავს შემთხვევებში გამოძიებას მაინც თავად იწყებს იმ არგუმენტზე მითითებით, რომ შესაძლოა პირს დაზიანება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ ყოფნის დროს მიადგა.

ინტერვიუების ფარგლებში გამოძიებელთა მიერ ქვემდებარეობის ხსენებული ზოგადი დებულების შეფასებისას, პრობლემად დასახელდა ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის მნიშვნელობის ბუნდოვანება. კერძოდ, მსჯელობას საჭიროებს შემთხვევები, როდესაც პირი არ იმყოფება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში (დროებითი მოთავსების იზოლაციური, პენიტენციური დაწესებულება) ან სამართალდამცავთა სამუშაო ადგილზე. ეფექტური კონტროლის არსებობა უნდა დადგინდეს ისეთ სიტუაციებში, როდესაც სამართალდამცავს, მოხელეს მოქალაქესთან კომუნიკაცია დაწყებული აქვს, თუმცა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამოკვეთილი არ არის მოქალაქის ნების/ გადაადგილების თავისუფლება. მაგალითად, როდესაც სამართალდამცავები გამოძახების შემდეგ კონკრეტულ ადგილზე გამოცხადდნენ, მოქალაქესთან კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა, რის შემდეგაც პირმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამ შემთხვევაზე რეაგირებისთვის შეფასებას საჭიროებდა საკითხი, მოქალაქის გარდაცვალება სამართალდამცავთა ეფექტური კონტროლის ქვეშ მოხდა თუ არა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად ცხადი არ იყო, გამოძიება ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურმა წარმართა.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის საკანონმდებლო დეფინიცია ვერ მოაწესრიგებს პრაქტიკაში წარმოშობილ ყველა კაზუსტიკურ შემთხვევას. არამედ, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურმა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემოღების მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესად უნდა გამოიძიოს ყველა საქმე, სადაც ეჭვი წარმოიშობა მოხელის, სამართალდამცავის მხრიდან უკანონო ქმედებაზე, რასაც პირის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

5.10. საგამოძიებო სამსახურის მანდატის გაფართოება

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებამდე, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა საგამოძიებო სამსახურის მანდატი და ხაზგასმით აღინიშნებოდა უწყების ქვემდებარეობაში იმ ტიპის დანაშაულთა მოქცევის აუცილებლობა, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობდა და სამართალდამცავთა საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ბრალდებებს უკავშირდებოდა.²⁵⁸ საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით მომზადებული იყო სხვადასხვა მოდელი, რომელიც მიმართული იყო ადამიანის უფლებათა დარღვევების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველყოფისკენ ყოველთვის, როცა გაჩნდებოდა ეჭვი, რომ ასეთ ქმედებებში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოები.²⁵⁹

საბოლოოდ მიღებული ვარიანტით, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური სამართალდამცავ სისტემაში ძალადობის აღმოფხვრისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმად ჩამოყალიბდა. საგამოძიებო სამსახურის მანდატს მიღმა დარჩა ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით გავრცელებული ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა მტკიცებულების ფალსიფიკაცია, განზრახ უკანონო დაკავება, გამოძიების პროცესში ჩადენილი დანაშაულები და საქმეები, რომელთა მიმართ იკვეთებოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი. დასახელებულ შემთხვევებზე საგამოძიებო სამსახურის მანდატის გავრცელება კვლავაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია - შეზღუდული საგამოძიებო

²⁵⁸ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ განცხადება, 14 თებერვალი, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rR2iSY>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁵⁹ თომას ჰამარბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში - ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში, 2013 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39LmeAx>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

ქვემდებარეობის პირობებში დამოუკიდებელი საგამომიჯამო მექანიზმი უნდა სარგებლობდეს მაღალი საჯარო ინტერესის სისხლის სამართლის საქმეებზე უპირატესი იურისდიქციის უფლებამოსილებით.

5.10.1. საპროცესუალური ორგანო/პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა

საგამომიჯამო უწყების ერთნაირი გამოცდილებაზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო მოქმედ საგამომიჯამო შეფასებები უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუების ფარგლებში პირდაპირ ითქვა, რომ სამსახურის საგამომიჯამო ქვემდებარეობის გაფართოება არაერთ დანაშაულთან მიმართებით მიზანშეწონილი და საგამომიჯამო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით, გამართლებულია, თუმცა ამის წინაპირობა მხოლოდ სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსების შექმნა უნდა იყოს. ამგვარი დათქმით, ინტერვიუების ფარგლებში, პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდა სამსახურის მანდატის ქვეშ სსკ-ის 353-ე და 353-ე პრიმა მუხლების მოქცევაზე.

ხსენებული დანაშაულებით კრიმინალიზებულია თავდასხმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელსა თუ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელზე სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას. საგამომიჯამოების განმარტებით, ამ ტიპის სისხლის სამართლის საქმეების სპეციფიკა ერთგვაროვანია და ხშირად ხასიათდება სამართალდამცავსა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირ(ებ)ს შორის ურთიერთბრალდებებით, სადაც ორივე მხარე თავდასხმასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მიუთითებს. ამ ტიპის საქმეებს სხვადასხვა საგამომიჯამო ორგანო²⁶⁰ ერთმანეთის პარალელურად აწარმოებს, მაშინ, როდესაც საქმეზე ჩასატარებელი საგამომიჯამო მოქმედებები სრულიად იდენტურია. ეს ქმნის, ერთი მხრივ, ტექნიკურ პრობლემას, რადგან ერთი და იგივე მოწმე ერთსა და იმავე ფაქტზე რამდენჯერმე უნდა გამოიკითხოს სხვადასხვა საგამომიჯამო სამსახურში, მეორე მხრივ კი, იხარჯება ორმაგი ადამიანური რესურსი სახელმწიფოს მხრიდან.

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიჯამო სამსახურის გამოცდილებით, სსკ-ის 353-ე მუხლთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის არსებობის შესახებ მათთვის მხოლოდ განმცხადებლისგან შეიძლება გახდეს ცნობილი და სხვაგვარად ინფორმაციას ამ საკითხზე ვერ იღებენ, მაშინ, როდესაც ასეთი ფაქტის ცოდნის შემთხვევაში მათ მოუხდენიათ შესაბამისი რეაგირება და სსკ-ის 353-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეზე ძალადობისთვის, თავის მხრივ, პოლიციის თანამშრომლის მიმართ დაუწყიათ სისხლისსამართლებრივი დევნა.

5.10.2. გამოიჯამოს პროცესში ჩაღწეული დანაშაულები

დამოუკიდებელი საგამომიჯამო მექანიზმის კომპეტენცია შეიძლება გავრცელდეს მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებზე, როგორც არის მტკიცებულების განადგურება და ფალსიფიკაცია (სსკ-ის 368-ე და 369-ე პრიმა მუხლები), განზრახ უკანონო დაკავება და დაპატიმრება (სსკ-ის 147-ე მუხლი), უდანაშაულო პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში განზრახ მიცემა (სსკ-ის 148-ე მუხლი).

ქვეყნის წარსული გამოცდილებაც და სასამართლო პრაქტიკაც მიუთითებს ამ ტიპის დანაშაულთა მჭიდრო კავშირზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ძალადობრივ ქმედებებთან და მართლ-

²⁶⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოქალაქის მიმართ შესაძლო ძალადობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის შემთხვევებს, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია პენიტენციური სამსახურის თანამშრომელზე ძალადობის საქმეებს იძიებს.

მსაჯულების განხორციელებისას მოქალაქეთა უფლებების მასშტაბურ დარღვევებთან. ამ ტიპის დანაშაულებზე მაღალია საზოგადოებრივი ინტერესიც და განსაკუთრებული მოლოდინი არსებობს გამოძიების დამოუკიდებლად, გამჭვირვალედ და ობიექტურად წარმოების მიმართ.

ინტერვიუების ფარგლებში, საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის სამომავლო ცვლილებებზე საუბრისას გამოიხატა ასევე მოსაზრება, რომ სამსახურის უფლებამოსილების ქვეშ მოექცეს სისხლის სამართლის იმ საქმეთა ხელახალი გამოძიება, რომელთა შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა და სახელმწიფოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ხელახალი გამოძიების წარმოების ვალდებულება დაეკისრება.²⁶¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოძიების ჩატარებას დღეს საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს. 2017 წლამდე, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, პროკურატურას დაევალა ღონისძიებების გატარება 42 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. საქმეები უმეტესწილად შეეხებოდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების არსებით და პროცედურულ დარღვევებს.²⁶²

დასახელებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეხებოდა 2013 წლამდე ჩადენილ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, ამ შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნა კი 2013 წლის შემდგომ, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად დაიწყო, რასაც საბოლოოდ 15 პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოჰყვა.²⁶³

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით, პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის ხსენებულ საქმეებზე დაწყებული თუ განახლებული გამოძიების პროცესი აღსანიშნავი იმ მხრივ არის, რომ ამავე საქმეებზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის დადგენამდე, ობიექტურად და ეფექტიანად გამოძიების (არასათანადო მოპყრობის საქმეებზე) ან გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ვალდებულება ამ უწყებასვე ეკისრებოდა. ევროპული სასამართლოს მიერ საქმეებზე უფლებრივი დარღვევების დადგენის შემდგომი რეაგირებაც პროკურატურის პასუხისმგებლობად შენარჩუნდა და, ფაქტობრივად, კონკრეტულ საქმეებზე გამოძიების ობიექტურად წარმართვის ვალდებულების არშესრულების შემდგომ, დაშვებული პროცედურული შეცდომების გამოსწორება ისევ ამ უწყების უფლებამოსილებად დარჩა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდებოდა კითხვები, პროკურატურისთვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შემდგომ მისი მხრიდან შეცდომების აღიარების მზაობისა და ნების თაობაზე.

შესაბამისად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, შესაძლოა, გამართლებული იყოს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომპეტენციის გავრცელება გამოძიების ხელახალ წარმოებაზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ უწყებისთვის მინიჭებული მანდატი პირდაპირ მიემართება ევროპული კონვენციის მესამე მუხლით დადგენილი უფლების დაცვას - ჰიპოთეტურად, ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიების არასათანადოდ წარმართვისა და ევროპული სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ამავე ორგანოს მიერ საქმეზე ხელახალი გამოძიების წარმოება ასევე ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. გამოსავალი, შესაძლოა, ასეთი საქმეებზე საგამოძიებო კომპეტენციის, თავის მხრივ, პროკურატურისთვის მინიჭებაში იყოს.

²⁶¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁶² პროკურატურის მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წ., გვ. 37, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31NkAG>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁶³ იქვე, გვ. 39.

5.10.3. პირადი ცხოვრების ხელშეხებლობასთან დაკავშირებული დანაშაულები

საგამოძიებო სამსახურის გამოძიებლების მიერ ასევე გამოითქვა მოსაზრება, სამსახურის ქვემდებარებაში სსკ-ის 157-159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების - პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, პერსონალური მონაცემების, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის საქმეების მოქცევაზე.²⁶⁴

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოქმედი ფუნქციური მოწყობით, იგი პასუხისმგებელია საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლზე.²⁶⁵ ამ მიზნით, სამსახური მიმართავს პრევენციულ ღონისძიებებს და ასევე რეაგირებს გამოვლენილ სამართალდარღვევებზე, თუმცა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სამართალდარღვევაზე რეაგირების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის დარღვევის თაობაზე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, საქმე რეაგირებისთვის შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ეგზავნება. თუ რამდენად შეიძლება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, პერსონალური, საიდუმლო ინფორმაციის უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმეების ამავე უწყების მანდატის ქვეშ მოქცევა, შეფასებას საჭიროებს ინტერესთა კონფლიქტის, საგამოძიებო სამსახურის მიზნებისა და რესურსების ჭრილში.

ქვეყნის ბოლო წლების გამოცდილებამ გვაჩვენა, სამართალდამცავ სისტემაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პირთა აბსოლუტური დაუსჯელობის გარდა, სისტემურ გამოწვევას წარმოადგენდა ფარული თვალთვალი და მიყურადება, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით მოქალაქეებზე გენოლა. აღნიშნული, განსაკუთრებული სიმწვავეთ წარმოჩინდა 2013 წლის გაზაფხულზე, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია 2005-2012 წლებში პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის მასობრივი დარღვევის, ათასობით ფარული და უკანონო აუდიო და ვიდეოჩანაწერის არსებობის შესახებ.²⁶⁶

ეს საკითხი არც შემდგომ წლებში გამხდარა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო პოლიტიკური ან სამართლებრივი შეფასების საგანი, პასუხისმგებლობა არ დაკისრებია ფარული მასალების შემქმნელ თანამდებობის პირებს. პოლიტიკოსთა მიმართ პირადი ცხოვრების ჩანაწერების უკანონო გავრცელება პერიოდულად გაგრძელდა ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც,²⁶⁷ რის გამოც დღემდე არსებობს ამ საკითხით მანიპულირებისა და საზოგადოების მიზანმიმართული დაშინაქების ბერკეტად გამოყენების რისკები. საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კანონპროექტით,²⁶⁸ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საგამოძიებო კომპეტენციაში შედიოდა იმ ტიპის დანაშაულთა გამოძიება, რომელთა მიმართ ხელისუფლების ინტერესები იკვეთებოდა.

პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პოლიტიკური მიზნებით გამოყენებისა და ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მის ეფექტიან გამოძიებაზე საზოგადოების მაღალი მოლოდინი არსებობს. შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურის მანდატის გაზრდა, არა მხოლოდ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებზე კონცენტრირება, თავიდანვე იყო სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების მხარდამჭერ ჯგუფებს შორის დისკუსიის საგანი.

²⁶⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.


²⁶⁵ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

²⁶⁶ მიხეილ შარაშიძე, საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი ანალიზი, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014, გვ. 212, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RaQvIV>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁶⁷ კამპანია „ეს შენ გეხებას“ განცხადება, 04.03.2016, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wp4RPT>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

²⁶⁸ იქვე.

შესაძლოა, საკითხის გადაწყვეტისთვის ამოსავალი წერტილი იყოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უპირატესი იურისდიქციის შემოღება ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებით, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ გამოძიების პროცესში წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. უპირატესი იურისდიქცია საშუალებას მისცემს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, განსაკუთრებით სენსიტიური საქმეები, რომლებიც მისი ექსკლუზიური იურისდიქციის მიღმა რჩება, თუმცა აჩენს ინტერესთა კონფლიქტის და, შესაბამისად, არაეფექტური გამოძიების წარმოების რისკებს, დაეჭვებდებაროს სამსახურის საგამომიჯბო მანდატს.



**6. სსელები იწვევს ინსპექტორის შემსახურის
უზღებამოსილებები გემოქიების სვაროვი**



6.1. გამომიყვის დაწყება

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიყვო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ შემთხვევებზე გამომიყვის სწრაფად დაწყება საქმეზე საბოლოო შედეგის დადგომის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.²⁶⁹ ამ დანაშაულების სრულყოფილი გამომიყვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირთა დროულად გამოკითხვასა და მტკიცებულებების მყისიერ მოპოვებას.²⁷⁰ გამომიყვის დასაწყისში სწრაფი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია, რადგან ამ პერიოდში მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დამალვის ან მოწმეებზე/დაზარალებულზე ზემოქმედების შემთხვევაში, გამომიყვის სრულყოფილად და ეფექტიანად წარმართვა რთული და ხშირად შეუძლებელიც კი ხდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეფექტიანი გამომიყვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრინციპია სისწრაფე. კანონის უზენაესობისადმი ნდობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ გამომიყვა დაუყოვნებლივ და სწრაფად ჩატარდეს.²⁷¹

დამოუკიდებელი საგამომიყვო ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გამომიყვის დაწყებასთან დაკავშირებული სამართლებრივი თუ პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მომდევნო ქვეთავები მოქმედი კანონმდებლობისა და გამომიყვლებთან/პროკურორებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, გამომიყვის დაწყების პროცესში არსებულ გამოწვევებს განიხილავს.

6.1.1. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეტყობინება

კანონმდებლობის თანახმად, გამომიყველი ან პროკურორი ვალდებულია, გამომიყვა დაიწყოს, თუ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიანოდეს, გამოქვეყნდა მასმედიაში ან გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას.²⁷² გამომიყვის დაწყება აგრეთვე შესაძლებელია ანონიმური შეტყობინების საფუძველზე.²⁷³ შეტყობინებათა დაუყოვნებლივ მიღების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფუნქციონირებს 24-საათიანი ცხელი ხაზი და შეტყობინების მართვის ელექტრონული სისტემა.²⁷⁴ ინსპექტორის სამსახურს დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების შესახებ შეტყობინების ან სხვა ინფორმაციის რეგისტრაციის წესი შემუშავებული/დამტკიცებული არ აქვს.²⁷⁵

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიყვო დეპარტამენტში სულ 2622 შეტყობი-

²⁶⁹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშშიც ხაზგასმულია გამომიყვის დაუყოვნებლივ დაწყებისა და საგამომიყვო მოქმედებების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების მნიშვნელობა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 121-122, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sXnYOV>, წვდომის თარიღი: 02.04.2021.

²⁷⁰ მაგალითად, როცა სავარაუდო მსხვერპლს ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება, გარკვეული პერიოდის შემდეგ ექსპერტიზით მისი დადგენა რთულდება, ამასთან, დაყოვნებამ შესაძლოა, დრო მისცეს დამნაშავე სამართალდამცავებს, დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელონ და ხელი აღდებინონ მას დამოუკიდებელ საგამომიყვო მექანიზმთან თანამშრომლობაზე, ასევე არსებობს არასათანადო მოპყრობის ამსახველი ვიდეოჩანაწერების გაქრობის საფრთხე.

²⁷¹ Jonny Byrne, William Priestly, Police Oversight Mechanisms in the Council OF Europe Member States, გვ. 5, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LjAzvb>, წვდომის თარიღი: 13.01.2021.

²⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.


²⁷³ იქვე, მე-3 პუნქტი.

²⁷⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 113-114; ცხელი ხაზის ოპერატორები უზრუნველყოფილი არიან მობილური ტელეფონებით, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო უწყება შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით ტექსტურ შეტყობინებებს აგზავნის.

²⁷⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 30 დეკემბრის NSIS02000021592 წერილი.

ნება შევიდა.²⁷⁶ შეტყობინებათა უმრავლესობის ავტორი შსს-ს დროებითი მოთავსების იმპლაცტორია, საიდან გაგზავნილი შეტყობინებებიც ყველა სხვა დანარჩენს ერთად აღემატება. ქვემოთ გამოსახულია საგამომცემო დეპარტამენტში 2020 წელს შესულ შეტყობინებათა რაოდენობა²⁷⁷ შეტყობინების ავტორის მითითებით:

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომცემო დეპარტამენტში 2020 წელს შესული შეტყობინებები



მოქალაქეები სამსახურს, ძირითადად, ცხელი ხაზის მეშვეობით უკავშირდებიან, თუმცა მათი მხრიდან შეტყობინებები ხშირი არ არის.²⁷⁸ ეს შესაძლოა საზოგადოებაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ ნაკლებ ინფორმირებულობას უკავშირდებოდეს. ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის აპარატი სავარაუდოდ დანაშაულის შესახებ სამსახურს, ძირითადად, წერილობითი სახით ატყობინებენ.²⁷⁹ სახალხო დამცველის აპარატიდან ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზეც შედის შეტყობინებები.²⁸⁰

²⁷⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.
²⁷⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემოსული შეტყობინებების ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსული შეტყობინებების საერთო რაოდენობას.
²⁷⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომცემლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.
²⁷⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომცემლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.
²⁸⁰ როგორც გამომცემლებთან ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოირკვა, წერილობითი სახით შეტყობინება იგზავნება იმ შემთხვევებში, როცა პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლო დამარაღებული გასაუბრებისას სახალხო დამცველის წარმომადგენელს გაანდობს, რომ მის მიმართ არასათანადო მოპყრობა განხორციელდა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა სახალხო დამცველის წარმომადგენელი არასათანადო მოპყრობის ფაქტს შეესწრო და ინსპექტორის სამსახურს შეატყობინა.

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინებებს იქ დასაქმებული ექიმები ან დანესებულების ხელმძღვანელი პირები აგზავნიან.²⁸¹ ექიმი შეტყობინებას აგზავნის იმ შემთხვევაში, როცა დაკავებულს სხეულზე დაზიანებები ან ახლად მიყენებული ძალადობის კვალი აღენიშნება და მას დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე ეჭვი უჩნდება; ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პირი თავად უთითებს სამართალდამცავის მხრიდან ძალადობის ფაქტს.²⁸² ექიმი სამსახურს დანაშაულის შესახებ საკმაოდ სწრაფად, ტექსტური შეტყობინების სახით, „უოთსაპის“ ან „ვაიბერის“ მეშვეობით ატყობინებს, ხოლო შემდგომ დამატებით საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტურ მასალებს აგზავნის.²⁸³ ამგვარი პრაქტიკა შეესაბამება სტამბოლის პროტოკოლს, თუმცა, სამ-წუხაროდ, ეს ნორმატიულად მოწესრიგებული არ არის. დროებითი მოთავსების იზოლატორსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შორის ტექსტური შეტყობინების სახით ინფორმირებაზე მხოლოდ გეპირსიტყვიერი შეთანხმება არსებობს.²⁸⁴

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების ტიპური იზოლატორების დებულება იზოლატორის უფროსს, განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულებას უდგენს, თუმცა შეტყობინების კონკრეტულ სახესა და ვადას აქტი არ უთითებს, რაც მას გარკვეულ დისკრეციას ანიჭებს. კერძოდ, დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, იზოლატორის უფროსი ვალდებულია, ინსპექტორის სამსახურს წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით დაუყოვნებლივ შეატყობინოს,²⁸⁵ რაც საკმარისად კონკრეტული ფორმულირება არ არის.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შსს-ს გენერალური ინსპექციიდან შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრსა (112) და გენერალურ ინსპექციაში (126) შესული შეტყობინებები იგზავნება.²⁸⁶ მოქალაქეთა უმრავლესობა არასათანადო მოპყრობის ფაქტების შეტყობინებისთვის, ძირითადად, შსს-ს გენერალურ ინსპექციაში რეკავს.²⁸⁷ სამინისტროს სხვა დეპარტამენტები (დროებითი მოთავსების იზოლატორების გარდა) შეტყობინებებს ჯერ გენერალურ ინსპექციაში აგზავნიან, ეს უკანასკნელი კი შეტყობინებებს ინსპექტორის სამსახურში ამისამართებს.²⁸⁸

პრობლემურია, რომ შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრსა და შსს-ს დეპარტამენტებში (დროებითი მოთავსების იზოლატორის გარდა) შესული შეტყობინებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გენერალური ინსპექციის გავლით ხვდება. გენერალური ინსპექცია ინსპექტორის სამსახურს დაუყოვნებლივ ატყობინებს, თუმცა ამგვარი პროცესი მაინც დროში დაყოვნებას იწვევს. ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გამოძიების ეფექტურად ჩატარებისთვის, რადგან შეტყობინების დაგვიანებით გადაგზავნასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, დანაშაულის ჩამდენ სამართალდამცავს შეუძლია გაიგოს, რომ მის წინააღმდეგ შესულია შეტყობინება.²⁸⁹ როდესაც მოქალაქე 112-ში რეკავს, საზოგადოებრივი

²⁸¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸² სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 118.

²⁸³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების მე-7 მუხლის კ.ა, კ.ბ, კ.გ, კ.დ, კ.ე ქვეპუნქტები.

²⁸⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁸⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

უსაფრთხოების მართვის ცენტრი მას პოლიციის რაიონულ განყოფილებაში ამისამართებს, ეს უკანასკნელი კი გენერალურ ინსპექციას ატყობინებს.²⁹⁰ შესაბამისად, იქ მომუშავე სამართალდამცავმა, რომლის წინააღმდეგაც არის შესული შეტყობინება, შესაძლოა დანაშაულის დასაფარად გარკვეული მოქმედებები განახორციელოს - შეუთანხმდეს დაზარალებულს, დაემუქროს ან გამოძიების ჩატარებას სხვა მხრივ შეუშალოს ხელი.

ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანია, ინსპექტორის სამსახურს შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან და შსს-ს ყველა დეპარტამენტიდან პირდაპირი გზით ეცნობოს. თუ საჭიროა დისციპლინურ გადაცდომამც რეაგირება, შესაძლებელია დაინერგოს პარალელური რეჟიმი და შეტყობინება ერთდროულად დაუყოვნებლივ გაეგზავნოს როგორც გენერალურ ინსპექციას, ისე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

პროკურატურიდან ძირითადად შეტყობინებები იგზავნება, თუ პირველი წარდგენის, წინასასამართლო ან არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებული განაცხადებს, რომ მის მიმართ ჩადენილ იქნა ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე რომელიმე დანაშაული,²⁹¹ ასევე, როცა მოქალაქის განცხადება შედის პროკურატურაში.²⁹² საგამომიებო სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულებას გენერალური პროკურორის შიდა ბრძანება ადგენს, რომელიც ამისთვის განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, კერძოდ, 24 საათს არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან.²⁹³ მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის მსგავსად, ყველა უწყებისთვის ნორმატიულ დონეზე გაიწეროს შეტყობინების კონკრეტულ (უმოკლეს) ვადაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გაგზავნის ვალდებულება.

პენიტენციური დაწესებულებებიდან შეტყობინებებს იქ დასაქმებული ექიმი ან იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია აგზავნის, როცა ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაზიანება აღენიშნება და ექიმს წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე ეჭვი უჩნდება ან თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უთითებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის ფაქტს (დაზიანების არსებობის მიუხედავად).²⁹⁴ ამ შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების ექიმი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, სატელეფონო გზით, ხოლო პირველი შესაძლებლობისთანავე - ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.²⁹⁵ მხოლოდ დაზიანების არსებობისას (როცა პაციენტი არ აცხადებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე და არც ექიმს უჩნდება ეჭვი არასათანადო მოპყრობაზე) დაწესებულების ექიმი ვალდებულია, შეატყობინოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.²⁹⁶ პენიტენციურ დაწესებულებაში პირის გარდაცვალებისას ან ინციდენტის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს სატელეფონო ზარის მეშვეობით დაუყოვნებლივ ატყობინებენ.²⁹⁷ თუმცა, ბრალდებული/მსჯავრდებული პირების განცხადებების გადაგზავნა შედარებით გვიან, იმავე ან მეორე დღეს ხდება.²⁹⁸

²⁹⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁹¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 119.

²⁹² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁹³ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 5 ნოემბრის N159-გ ბრძანება.

²⁹⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 118.

²⁹⁵ „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის სამინისტროს 30.11.2020 წლის N663 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

²⁹⁶ იქვე, მეორე პუნქტი.

²⁹⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

²⁹⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ინსპექტორის სამსახურში, იშვიათ შემთხვევებში, სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიიდან შეტყობინებები წერილობითი სახით შედის, რაც, ძირითადად, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პირებს შეეხება.²⁹⁹ არის შემთხვევები, როცა სამსახურში პროკურორი აგზავნის შეტყობინებას, ხოლო მოსამართლე - არა.³⁰⁰

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება³⁰¹, დაემატა 191¹-ე მუხლი, რითაც მოსამართლეს არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე შესაბამისი საგამომიყებო ორგანოსათვის მიმართვის ვალდებულება დაეკისრა: თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამომიყების ორგანოს.³⁰²

რაც შეეხება ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებულებს, ინსპექტორის სამსახურში სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მხრიდან შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინების რიცხვი დაბალია.³⁰³ ეს შესაძლოა გამოწვეული იმით, რომ ინსპექტორის სამსახურში ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინების მიღებისას, გამომიყებლები მათ, ძირითადად, სასამართლო პროცესზე მიყვანამდე ხვდებიან.³⁰⁴ შესაბამისად, შესაძლოა, მოსამართლე სასამართლო პროცესზე ინფორმირებულია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა რეაგირება უკვე განახორციელა. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშის თანახმად, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის იზოლატორიდან „გაცილებით მაღალია ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებზე შეტყობინების მაჩვენებელი“.³⁰⁵ სახალხო დამცველი კი უკანასკნელ წლებში სამართალდამცავთა მხრიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენციაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს.³⁰⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს არასათანადო მოპყრობის თაობაზე შესაბამისი ორგანოსათვის მიმართვის ვალდებულება კანონმდებლობით არ აკისრიათ. მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი მოსამართლისთვისაც გაიწეროს ვალდებულება, რეაგირებისთვის მიმართოს გამომიყების შესაბამის ორგანოს, თუ მას გაუჩნდა ეჭვი, რომ პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა ან თუ ამის შესახებ სასამართლოს თავად ეს პირი განუცხადებს.

²⁹⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიყებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁰⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიყებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁰¹ ამოქმედდა 2019 წლის 10 მაისიდან.

³⁰² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191¹ მუხლი.

³⁰³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 130, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cJB9x1>, წვდომის თარიღი: 02.04.2021.

³⁰⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიყებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁰⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 127.

³⁰⁶ სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 59, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fC4vzs>, წვდომის თარიღი: 02.04.2021.

6.1.2. შესაქლო არასათანადო მოპყროგის შესახებ შეტყობინების მიღების დრო

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონვევად შეტყობინებათა ნაწილის დაგვიანებით, სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ შესვლას ასახელებს, რაც მტკიცებულებათა მოპოვებასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენას არსებითად აყოვნებს, მოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელს ხდის.³⁰⁷

როგორც გამომძიებლები აღნიშნავენ, პროკურატურიდან და სახალხო დამცველის აპარატიდან შეტყობინებები, ძირითადად, მალევე იგზავნება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც შეტყობინებებს დღეები აგვიანდება. დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის მოთავსებიდან მალევე, როდესაც დაზიანებებისა და პრეტენზიების შესახებ შესაბამისი ფორმები შეივსება, ინსპექტორის სამსახურს ცხელი ხაზის მეშვეობით ატყობინებენ.³⁰⁸ შეტყობინების შესვლიდან დაუყოვნებლივ მოქმედებს შსს-ს გენერალური ინსპექცია, თუმცა სისწრაფის კუთხით ყველაზე სერიოზული პრობლემაა 112-ში შესული შეტყობინებებისა და შსს-ს დეპარტამენტებიდან (დროებითი მოთავსების იზოლატორის გარდა) ნამოსული შეტყობინებების მიღების დრო.³⁰⁹ თუ 112-დან ან შსს-ს სხვა დეპარტამენტებიდან გენერალურ ინსპექციაში შეტყობინება პარასკევს შევიდა, ინსპექტორის სამსახურამდე მის მისვლას შესაძლოა, 2-3 დღეც კი დააგვიანდეს.³¹⁰

შეტყობინების დაგვიანების გამო ხშირად მნიშვნელოვანი მტკიცებულებები იკარგება, შესაძლოა გართულდეს ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება, ინფორმაციის მოპოვება, დაზიანებების სათანადოდ ასახვა, მოწმესთან კომუნიკაცია და ა.შ.³¹¹ ასევე, გამომძიების პროცესში ეფექტიანი შედეგის მისაღწევად, გადამწყვეტია გამომძიებლისა და სავარაუდო მსხვერპლის სწრაფად შეხვედრა.

ამჟამად, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ტექსტური შეტყობინებით გაგზავნის წესი მხოლოდ პრაქტიკით არის დადგენილი და გარკვეულწილად ხელმძღვანელის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რა ფორმით გაიგზავნება შეტყობინება.³¹² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების ტიპური იზოლატორების დებულებით დადგენილი შეტყობინების „დაუყოვნებლივ“ და წერილობით ან/და სხვა ფორმით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გადაგზავნის ვალდებულება ვერ ქმნის სათანადო გარანტიას, რომ არსებული პრაქტიკა შენარჩუნდება. დროებითი მოთავსების იზოლატორის ინსპექტორის სამსახურთან ტექსტური შეტყობინებით კომუნიკაციის მოქმედი პრაქტიკის ცვლილების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ გამომძიებლები იზოლატორში მყოფ პირს დროულად ვერ ნახავენ.³¹³

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სახელმწიფო უწყებების მიერ ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნის კონკრეტული ვადებისა და ფორმების ნორმატიული რეგულირება. ამასთან, აუცილებელია, შსს-ს ყველა დეპარტამენტს დაეკისროს პირდაპირ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შეტყობინების ვალდებულება.

³⁰⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 121.

³⁰⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁰⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

6.1.3. განმცხადებლის მიერ პოზიციის შეცვლა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევა განმცხადებელთა მიერ პოზიციის შეცვლა.³¹⁴ ძირითადად, ეს პრობლემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან შესულ შეტყობინებებთან დაკავშირებით არსებობს.³¹⁵ როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლები აღნიშნავენ, ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს დაკავების პროცესში განხორციელებული ძალის გამოყენების არასწორად აღქმას ან შეტყობინებისას მათ არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნას.³¹⁶

მიზეზთა შორის ასევე დასახელდა ის გარემოება, რომ განმცხადებლები ხშირად სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები არიან, ჯერ აღკვეთის ღონისძიება არ შეფარდებით ან/და ჯერჯერობით არ გამართულა ადმინისტრაციული პროცესი, სადაც პირის ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხი უნდა გადაწყდეს და მათში შესაძლოა არსებობდეს გარკვეული მოლოდინი, რომ ინსპექტორის სამსახურთან თანამშრომლობა ამ პროცესებზე უარყოფით გავლენას მოახდენს.³¹⁷ იგივე შეიძლება ითქვას შემთხვევებზე, როდესაც სავარაუდო მსხვერპლს საპროცესო შეთანხმების გაფორმება სურს. როგორც ერთ-ერთი გამომძიებელი აღნიშნავს, „შესაძლოა, პოლიციელების მხრიდან დაპირებებს ჰქონდეს ადგილი, რომ ადმინისტრაციულ პროცესზე არ მოვიტხოვთ პატიმრობას, შენიშვნას გამოგიცხადებს მოსამართლე, საპროცესო შეთანხმებას გავაფორმებინებთ, რაც განაპირობებს იმას, რომ ამ დაპირებების გამო განმცხადებლები პოზიციას ცვლიან.“

აღსანიშნავია, რომ რაიონებში სამართალდამცავთა მიმართ შიში უფრო ხშირად არის პოზიციის ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორი.³¹⁸ ამავე დროს, შესაძლოა დაზარალებულების დამოკიდებულების ცვლილებაში მნიშვნელოვანი წვლილი გამოძიების პროცესისადმი უნდობლობას შეაქვს.

განმცხადებლის პოზიციის ცვლილების შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი მოსხენებით ბარათს წერს, რის შემდეგაც გამოძიება იწყება, თუმცა მისი ჩატარება მნიშვნელოვნად რთულდება.³¹⁹ გამომძიებელთა თქმით, როცა მსხვერპლი დეტალებზე არ საუბრობს და არც ექსპერტიზაზე თანახმა, ვიდეოჩანაწერები რჩება ერთადერთ მტკიცებულებად, რომელთა საფუძველზეც საქმეზე შეიძლება შედეგი დადგეს.

³¹⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³¹⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

6.1.4. მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და გასაუბრება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილება და ვალდებულებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებზე ვრცელდება.³²⁰ გამომძიებლები და პროკურორები ვალდებული არიან, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყონ გამოძიება.³²¹ კანონმდებლობით განსაზღვრულია **გამომძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან შეწყვეტის საფუძვლები. გამომძიების არდანყების საფუძვლებს** კანონი არ ითვალისწინებს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონის იმპერატიულ დანაწესზე - გამოძიება უნდა დაიწყოს ინფორმაციის მიღებისთანავე.³²²

მიუხედავად ამისა, დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღება ყოველთვის საკმარისი არ არის გამოძიების დასაწყებად – „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი საგამომძიებლო ორგანოებს წინასაგამომძიებლო მოქმედებების ჩატარების საშუალებას აძლევს.³²³ იგივე ვითარებაა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომძიებლო დანაყოფშიც. კანონმდებლობაში არსებული პარალელური და ურთიერთგამომრიცხავი რეგულაციები ცუდ პრაქტიკას ამკვიდრებს სისტემაში, რადგან ისინი გამომძიებლებს მარტივ, კოდექსის ვალდებულების განთავისუფალ სივრცეში მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში ვერ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს, ოპერატიული მუშაკებისა და გამომძიებლების სათანადო კონტროლი. შეიძლება ითქვას, რომ ოპერატიული საქმიანობის დღეს არსებული რეგულირება საპოლიციო საქმიანობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასა და დემოკრატიულ პრინციპებს არ შეესაბამება.³²⁴ მნიშვნელოვანია, რომ საგამომძიებლო სისტემის რეფორმასთან ერთად, სახელმწიფომ დაიწყო ოპერატიული საქმიანობის ძირეული გარდაქმნა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზეც გავრცელდება.

ამდენად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიება დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ყოველთვის ავტომატურად არ იწყება. შეტყობინებათა ნაწილი, როგორც წესი, გასაუბრების ფილტრს გადის.³²⁵ უნდა აღინიშნოს, რომ შეტყობინებათა გასაუბრებით გაფილტვრა სადავო საკითხია, რადგან, ერთი მხრივ, გამოძიების დაწყება გამომძიებლის აღქმასა და შეფასებაზე ხდება დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა შეტყობინებაზე გამოძიების დაწყება მნიშვნელოვან ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან არის დაკავშირებული და შესაძლოა, სამსახურის გადატვირთვა გამოიწვიოს. როგორც გამომძიებლები აღნიშნავენ, არარსებულ ფაქტზე გამოძიების დაწყების თავიდან ასაცილებლად, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ამოწმებენ/ამუსტებენ ინფორმაციას, ასევე არკვევენ შეტყობინებაში არსებულ ბუნდოვან გარემოებებს.³²⁶ შესაძლებელია, რომ განმცხადებელი დანაშაულზე უთითებდეს, ხოლო ფაქტობრივი გარემოებები სხვა რამეზე შეტყვევებდეს³²⁷ ან შეტყობინება არამიზნობრივი³²⁸ იყოს.

³²⁰ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³²¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

³²² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლის-სამართლებრივი დევნის არდანყების ან შეწყვეტის საფუძვლებს.

³²³ EMC, საგამომძიებლო სისტემის ანალიზი, გვ. 31, 2018, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37eyDfm>, წვდომის თარიღი: 14.01.2021.

³²⁴ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019 წ., გვ. 15, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38oxEto>, წვდომის თარიღი: 09.03.2020.

³²⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³²⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³²⁷ მაგალითად, შესაძლოა განმცხადებელი ამბობდეს, რომ სამართალდამცავებმა პირი მოიტაცეს, თუმცა, სინამდვილეში, პირი დაკავებული იყოს განჩინების საფუძველზე.

³²⁸ არამიზნობრივ შეტყობინებათა ნაწილი უკავშირდება სამართალდამცავთა მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომძიებლო ფუნქციის ამოქმედებამდე - 2019 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილ ან იმ დანაშაულებს, რომლებიც სამსახურის ქვემდებარე არ არის.

ამდენად, საქმის გარემოებებისა და დეტალების გამოსარკვევად, გასაუბრების ჩატარება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მიღებული წესია.³²⁹

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დროებითი მოთავსების იზოლაციურიდან დაზიანებების შესახებ შეტყობინების შესვლისას, ნებისმიერ შემთხვევაში ხდება გამომძიებლების შესაძლო დაზარალებულთან გასაუბრება.³³⁰ დროებითი მოთავსების იზოლაციურიდან ღამით მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით გამომძიებლები ცდილობენ, დილის 10 საათამდე გაესაუბრონ დაკავებულებს, რადგან ამ დროისთვის ისინი სასამართლოში გადაჰყავთ.³³¹ როდესაც შეტყობინებები რეგიონების დროებითი მოთავსების იზოლაციურებში განთავსებულ პირებს შეეხება, გამომძიებლები ხშირად ვერ ასწრებენ შესაძლო დაზარალებულის ნახვას.³³² თუ 10 საათამდე შესაძლო დაზარალებულთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, გამომძიებელთა თქმით, შემდგომ შესაძლოა, მისი პოვნა მნიშვნელოვნად გართულდეს. თუმცა, პანდემიის პირობებში, დაინერგა დისტანციური გასაუბრების პრაქტიკა, რასაც გამომძიებლები რეგიონებში დაკავებულ პირებთან მიმართებით იყენებენ.³³³ გამომძიების დაწყების საკითხი გასაუბრების შინაარსის შეფასების საფუძველზე წყდება.³³⁴ როცა პირი აცხადებს, რომ მან დაკავებამდე მიიღო დაზიანება და არ აქვს პრეტენზია, არსებული პრაქტიკით, მხედველობაში მიიღება შესაძლო დაზარალებულის ახსნა-განმარტების ადეკვატურობა/შესაბამისობა მიყენებულ დაზიანებებსა და მის წარმომავლობასთან.³³⁵

ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებთან დაკავშირებით გასაუბრება დაუყოვნებლივ ხორციელდება სატელეფონო ზარის მეშვეობით ან იმ ადგილზე გასვლით, რომელსაც პირი უთითებს, რათა დაზუსტდეს გარემოებები, საქმის კვალიფიკაცია და შემდგომ დაიწყოს გამოძიება.³³⁶ პენიტენციური დაწესებულებების შემთხვევაში, გამომძიებლისთვის დამაბრკოლებელი გარემოება შესვლის ნებართვის საჭიროებაა, რის მოპოვებასაც შედარებით დიდი დრო მიაქვს - შესაძლოა, გამომძიებლებმა ნებართვა ერთი დღის დაგვიანებით მიიღონ.³³⁷

ამ პრობლემას ხაზს უსვამს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, რომლის თანახმად, გამომძიებლებისთვის დროებითი მოთავსების იზოლაციურსა და პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთვის სპეციალური ნებართვის მიღების საჭიროება გავლენას ახდენს გამომძიების ეფექტიანად ჩატარებაზე.³³⁸ მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას და ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებს კანონმდებლობით მიენიჭოთ პენიტენციურ დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლაციურში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება, რაც პოტენციურ მსხვერპლებთან მათ შეხვედრას დააჩქარებდა და აღმოფხვრიდა მტკიცებულებების განადგურების რისკებს.

³²⁹ გამომძიებელთა აზრით, გასაუბრების გარეშე გამოძიების დაწყება გამოძიებას გარკვეულ სირთულეებს შეუქმნიდა.

³³⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსს.

³³⁶ როცა მოქალაქე მიმართავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, განცხადების შემოსვლის დღესვე ხდება მათთან დაკავშირება და გასაუბრება.

³³⁷ ნებართვის მისაღებად გამომძიებელმა შესაბამის პენიტენციურ სამსახურს უნდა მიმართოს და მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდგომ შეუძლია კონკრეტულ დაწესებულებაში შესვლა.

³³⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 193.

გამომიქებლების მიერ გასაუბრების დასრულების შემდგომ დგება გასაუბრების ოქმი.³³⁹ თუ გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეტყობინება მიზნობრივია და იკვეთება დანაშაულის ნიშნები, შეტყობინებისა და გასაუბრების ოქმის საფუძველზე იწყება გამოიქება.³⁴⁰

შეტყობინების მიღებისას, როცა გასაუბრების საჭიროება არსებობს, საქმე ელექტრონულ პროგრამაში წინასაგამოიქებო საქმედ რეგისტრირდება და შემდგომ, თუ ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს, ხდება მისი პროგრამულად ჩამონერა, რისთვისაც საჭიროა პროკურორის ელექტრონული თანხმობა.³⁴¹ მხოლოდ ამგვარად შეუძლია პროკურორს გამოიქებლის მიერ განხორციელებული იმ ქმედებების ნახვა, რომლებზეც გამოიქება არ დაწყებულა. იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება სხვისი ქვემდებარე დანაშაული ან დისციპლინური გადაცდომა, საქმე ეგზავნება შესაბამის უწყებას.³⁴² სამსახურად, საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო მოხელეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დადასტურებისას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის არ არის დადგენილი შესაბამისი უწყების გენერალური ინსპექციის შეტყობინების ვალდებულება, თანმდევნი პროცედურები და წესები.³⁴³ შედეგად, როცა ინსპექტორის სამსახური დისციპლინურ საქმეებს შესაბამის უწყებებს უგზავნის, მათი შედეგების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება არ გააჩნია.

6.1.5. გამომიქების დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოიქებლები ჩართული არიან სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც საქმეების ელექტრონულად წარმოების - გამოიქების დაწყების, საქმისთვის ნომრის მინიჭების, საგამოიქებო მოქმედების ჩატარებისა და აღრიცხვის საშუალებას იძლევა.³⁴⁴

გამოიქების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას გამოიქებლები დამოუკიდებლად იღებენ და თავად განსაზღვრავენ, რა რეაგირება უნდა მოჰყვეს შეტყობინებას.³⁴⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, თუ გამოიქებელი გამოიქების დაწყების გადაწყვეტილებას მიიღებს, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს.³⁴⁶ ამასთან, შეტყობინების ავტორს უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.³⁴⁷ საქმეზე სისხლის სამართლის კვალიფიკაციასაც გამოიქებლები განსაზღვრავენ, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მენეჯერებთან შეთანხმებით.³⁴⁸ უფლებამოსილ პროკურორს გამოიქების დაწყებისა და საქმის კვალიფიკაციის შესახებ სატელეფონო ზარის, ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით გადაწყვეტილების მიღების დღესვე ეცნობება.³⁴⁹

³³⁹ გასაუბრების ოქმი ელექტრონულად იტვირთება და შესაბამის პროკურორს მასზე წვდომა ამ ფორმით აქვს.

³⁴⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოიქებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁴¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოიქებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁴² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოიქებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁴³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 142.

³⁴⁴ იქვე, გვ. 114.

³⁴⁵ გამოიქებლები ყველა საქმეს ელექტრონულად წინასაგამოიქებო საქმედ არეგისტრირებენ, რაც პროკურატურისთვისაც არის ხელმისაწვდომი და მათ ამ გზით შეუძლიათ ელექტრონულ პროგრამაში გამოიქების დაწყებამდე არსებული მასალების ნახვა.

³⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.


³⁴⁷ იქვე, 101-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი.

³⁴⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოიქებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁴⁹ გამოიქების დაწყებამდე გამოიქებლებს პროკურატურასთან კომუნიკაცია არ აქვთ.


სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მონოდებული ინფორმაციით, შეტყობინებათა დიდი ნაწილი, რომლებზეც გამოძიება დაიწყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან შევიდა.³⁵⁰ ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია იმ შეტყობინებათა რაოდენობა, რომლებზეც გამოძიება დაიწყო შეტყობინებათა ავტორების მითითებით:

შეტყობინებაები, რომლებზეც გამოძიება დაიწყო შეტყობინებაების ავტორების მიხედვით



2020 წელს, უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებებზე გამოძიება შეტყობინების შემოსვლის ან მეორე დღეს დაიწყო:

სისხლის საპართლის საქმეები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების შესვლიდან გამოძიების დაწყებამდე არსებული დროის მიხედვით



³⁵⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მონოდებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის შემდგომ გამოძიება დაიწყო ისეთ შეტყობინებებზე, რომლებიდანაც არ ირკვეოდა დანაშაულის გარემოებები და საჭირო იყო განმცხადებელთან გადამონმება. ასეთ შემთხვევებში, გამოძიება დაიწყო განმცხადებელთან გარემოებების დაზუსტებისთანავე.³⁵¹

როგორც გამოძიების დანყების, ისე არდანიყების შესახებ გადანიყვეტილებას გამომძიებელი იღებს. ამ პროცესში შესაძლებელია გამომძიებელმა ხელმძღვანიელთან კონსულტაცია გაიაროს, თუმცა გადანიყვეტილების მიღება უშუალოდ გამომძიებლის პასუხისმგებლობაა.³⁵²

ქვემოთ დიაგრამაზე გამოსახულია, თუ რა რეაგირება მოჰყვა 2020 წელს საგამომძიებო დეპარტამენტში მიღებულ შეტყობინებებს მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით:

სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობა 2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შესული შეტყობინებებზე რეაგირების ფორმის მიხედვით



შესაბამისად, 2020 წელს 1763 სავარაუდო მსხვერპლის საქმეზე გამოძიება არ დაიწყო იმ საფუძვლით, რომ ის დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა.³⁵³ გამოძიება მხოლოდ 289 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ქმედების ფაქტზე დაიწყო.

გამომძიებლის მიერ გამოძიების არდანიყება შესაძლოა რამდენიმე ფაქტორით³⁵⁴ იყოს განპირობებული:

- თუ შეტყობინება მხოლოდ დისციპლინურ გადაცდომას შეეხება;
- თუ შეტყობინებაში მოცემულია ინფორმაცია იმ ქმედების შესახებ, რომელიც არც დანაშაულს და არც დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს, თუმცა მოქალაქე პოლიციელის ქმედებას ასეთად აღიქვამს;

³⁵¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.
³⁵² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.
³⁵³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილის თანახმად, 2020 წელს მიღებული 2622 შეტყობინება შეეხებოდა 2690 პირის მიმართ განხორციელებულ ქმედებას.
³⁵⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

- დაზიანებების საფუძველზე ინსპექტორის სამსახურში შედის შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინება, თუმცა გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პირს პრეტენზია არ აქვს და აცხადებს, რომ დაზიანებები დაკავებამდე მიიღო.

იმ შემთხვევაში, თუ დაზიანების ხარისხიდან, მისი ადგილმდებარეობიდან ან სხვა გარემოებიდან გამომდინარე, გამომძიებლებს ეჭვი უჩნდებათ, რომ პირი ცრუობს, გამოძიება მაინც იწყება.³⁵⁵

გამომძიების არდაწყებასთან დაკავშირებით არსებობს მცირე ტექნიკური ხარვეზი: როდესაც წინასაგამომძიებო საქმე რეგისტრირდება ელექტრონულ პროგრამაში და შემდგომ ირკვევა, რომ დანაშაულის ნიშნები სახეზე არ არის, დგება პროგრამული ცნობა გამოძიების არდაწყების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.³⁵⁶ საქმის ჩამონერისთვის საჭიროა პროკურორის თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე არ ჩამოიწერება და მიმდინარე საქმის სტატუსს ინარჩუნებს.³⁵⁷ იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიების დაწყებაზე/არდაწყებაზე პასუხისმგებელია გამომძიებელი, უმჯობესია, ელექტრონულ პროგრამაში საქმის ჩამონერა პროკურორის თანხმობაზე არ იყოს დამოკიდებული.

6.2. ოპერატიული საქმიანობა

საქართველოში ოპერატიული საქმიანობის, როგორც გამოძიების პარალელური მექანიზმის არსებობა მთლიანი საგამომძიებო სისტემის უმწვავესი პრობლემაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა საგამომძიებო ორგანოს აქვს ოპერატიული საქმიანობის განხორციელების უფლება, ბუნებრივია, რომ ამ მანდატით ინსპექტორის სამსახურაც სარგებლობს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 2019 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საგამომძიებო დეპარტამენტის მუშაობის ეფექტიანობისთვის შეიქმნა ოპერატიული სამმართველო.³⁵⁸ სამმართველოს ჰყავს უფროსი და 7 ოპერატიული მუშაკი,³⁵⁹ რომლებიც გადანაწილებული არიან თბილისისა და ქუთაისის ოფისებში.³⁶⁰ ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, დადგენილი წესით, სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება და განხორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მის საგამომძიებო მანდატს მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.³⁶¹ სამსახურის საგამომძიებო დანაყოფის თანამშრომლებზე ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვალეობები და ისინი ოპერატიული საქმიანობის განხორციელებისას ამ კანონით უნდა ხელმძღვანელობდნენ.³⁶²

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ოპერატიული სამმართველოს შექმნითა და მისთვის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებით, სტრუქტურული დაყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. საგამომძიებო და ოპერატიული საქმიანობების ამგვარ-

³⁵⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁵⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁵⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁵⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 106.

³⁵⁹ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის N01/103 ბრძანების მე-8 დანართი.

³⁶⁰ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ გამომძიებლების რაოდენობის მსგავსად, ოპერატიული მუშაკების რაოდენობაც გაზრდას საჭიროებს.

³⁶¹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი.

³⁶² იქვე, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

რი გამიყვნა დადებით შეფასებას იმსახურებს და მიზანშეწონილია, სხვა უწყებებმაც დანერგონ მსგავსი პრაქტიკა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიული მუშაკის თანახმად, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან ბევრს არ იყენებენ, რადგან ამის საჭიროება არ არის.³⁶³ სამსახურის ოპერატიული მუშაკების მხრიდან ყველაზე ხშირად განხორციელებული ღონისძიებებია გამოკითხვა და ცნობების შეგროვება. რაც შეეხება კონტროლირებად მიწოდებას, საკონტროლო შესყიდვას, კონსპირაციული ორგანიზაციების შექმნასა და კონფიდენცის გამოყენებას, მსგავსი ღონისძიებები არ გამოიყენება.³⁶⁴

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიული მუშაკები ოპერატიული საქმიანობის მთავარ მიზნად გამოძიების ეფექტურად წარმართვას მიიჩნევენ.³⁶⁵ ამ მიზნის განსახორციელებლად ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლები მიდიან დანაშაულის ადგილზე სხვადასხვა სახის მტკიცებულების მოსაპოვებლად, მოწმეთა ნუსხის შესადგენად, გამოკითხვის ჩასატარებლად, გამოძიებისთვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად და სხვა.³⁶⁶ ოპერატიული მუშაკების ჩართულობის მთავარ ამოცანად მტკიცებულებების განადგურების თავიდან აცილება სახელდება.³⁶⁷

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამოძიებლის შესაბამისი დავლება მის/მათ წარმობაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე,³⁶⁸ რაც მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამოძიება უკვე დაწყებულია და რეაგირება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში უნდა წარმართოს.³⁶⁹ კანონში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაზე ისევე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაზე, დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას. სხვა სახელმწიფო სტრუქტურაზე ერთგვარი მიჯაჭვულობა კი ვერ უზრუნველყოფს სამსახურის სრულ დამოუკიდებლობას.³⁷⁰

ოპერატიული მუშაკების განცხადებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიული სამმართველო საქმეში ერთვება გამოძიების დაწყების შემდეგ.³⁷¹ სამსახურის გამოძიებელი და ოპერატიული მუშაკი მოქმედებენ კოორდინირებულად, რაც უზრუნველყოფს გამოძიებლის დროის რესურსის ოპტიმალურ ხარჯვას. მაგალითად, მოწმეთა იდენტიფიცირებისა და მტკიცებულებების აღმოჩენის მიზნით ოპერატიული მუშაკები აღრიცხავენ შემთხვევის ადგილზე არსებულ ვიდეოკამერებს, ადგენენ მათ მესაკუთრეებს, აგროვებენ ინფორმაციას როგორც ჩამწერ მოწყობილობაში არსებული ჩანაწერების არსებობასთან, ისე ჩანაწერის შენახვის ვადებთან დაკავშირებით, ჩანაწერების მიღების შემდეგ უყურებენ ვიდეო კადრებს, აწარმოებენ თვითმხილველთა გამოკითხვას და ა.შ.³⁷² ოპერატიული მუშაკი, გამოძიებელთან შეთანხმებით, შემოსულ შეტყობინებაზე სწრაფად რეაგირებს, აგროვებს საჭირო ინფორ-

³⁶³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁶⁴ იქვე.

³⁶⁵ იქვე.

³⁶⁶ იქვე.

³⁶⁷ იქვე.

³⁶⁸ იქვე, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁶⁹ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 37, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KAKxHw>, წვდომის თარიღი: 13.01.2021.

³⁷⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 141, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37set2f>, წვდომის თარიღი: 13.01.2021.

³⁷¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუსებს.

³⁷² იქვე.

მაცისა და ხელს უწყობს საგამოძიებო მოქმედებების წარმატებით წარმართვას.³⁷³

ოპერატიული საქმიანობის შედეგები საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების, დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის ღონისძიებების მოსამზადებლად და განსახორციელებლად გამოიყენება.³⁷⁴ საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი პირების მიერ განხორციელებული ოპერატიული საქმიანობა არ ატარებს პრევენციულ ხასიათს, რაც განპირობებულია ამ უწყების საგამოძიებო მანდატს მიკუთვნებული დანაშაულთა სპეციფიკით. მაგალითად, ისინი წინასწარ ვერ განსაზღვრავენ სამართალდამცავის მიერ ძალადობის განხორციელების ფაქტს და, შესაბამისად, ვერც დანაშაულის აღკვეთისთვის მიიღებენ ზომებს. ოპერატიულ მუშაკებთან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ ისინი მხოლოდ შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ იწყებენ საქმიანობას და არ ახორციელებენ პრევენციულ საქმიანობას.³⁷⁵ პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ მოცემულ ეტაპზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას აქვს გამოძიების დამხმარე მექანიზმის დანიშნულება.³⁷⁶

მეცხერი მოქმედება ოპერატიული საქმიანობის ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, ამიტომ ოპერატიული მუშაკების ჩართულობა, ძირითადად, გამოძიების დაწყებიდან უახლოესი 12 საათის განმავლობაში ხდება. სამმართველოს ოპერატიული საქმიანობის ვადის გაგრძელების თხოვნით პროკურატურისთვის პრაქტიკულად არ მიუმართავენ.³⁷⁷

როგორც თავად ოპერატიული მუშაკები აღნიშნავენ, ისინი საგამოძიებო მოქმედებებში მუდმივად არიან ჩართული,³⁷⁸ რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასა და საგამოძიებო მოქმედებებს შორის არ არსებობს მკაფიო ზღვარი. შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებელსა და ოპერატიულ მუშაკს შორის უფლებამოსილებას არასწორად, პირველ რიგში, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი ანაწილებს და აქედან გამომდინარეობს პრაქტიკაში არსებული გამიჯვნის პრობლემაც.³⁷⁹ თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიული მუშაკები კლასიკური გაგებით საგამოძიებო მოქმედებებს არ ახორციელებენ, მათი ძირითადი ფუნქცია საქმეზე სავარაუდო მტკიცებულებათა იდენტიფიცირებაა.³⁸⁰

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე.³⁸¹ გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ასევე ამონიშნავენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას.³⁸² ინტერვიუების ფარგლებში აღი-

³⁷³ იქვე.

³⁷⁴ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁷⁵ ინფორმაცია ეფუძნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁷⁶ მსგავსი შინაარსის ჩანაწერი გვხვდება სახელმწიფო ინსპექტორის წლიურ ანგარიშში: „ოპერატიული მუშაკები გამოძიებულს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარების პროცესში ეხმარებიან.“ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 112.

³⁷⁷ ინფორმაცია ეფუძნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით დამატებით იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება.

³⁷⁸ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუების დროს ოპერატიულმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ მონაწილეობას იღებენ ძირითად საგამოძიებო მოქმედებებში, როგორც არის მაგალითად, ჩხრეკა.

³⁷⁹ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 48, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KAKxHw>, წვდომის თარიღი: 13.01.2021

³⁸⁰ მაგალითად, დამონტაჟებული კამერების იდენტიფიცირების მიზნით, შემთხვევის ადგილზე გასვლა და ტერიტორიის დათვალიერება, რათა აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიებულმა შუამდგომლობა მოაშალოს და განჩინებით შეძლოს კამერ(ებ)ის ამოღება.

³⁸¹ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁸² იქვე.

ნიშნა, რომ საპროკურორო მეთვალყურეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.³⁸³ ოპერატიულ მუშაკებს პროკურორთან კომუნიკაცია პრაქტიკულად არ აქვთ. პროკურორი გამომიყვის მიერ ინფორმირებულია ოპერატიული საქმიანობის შესახებ, თუმცა გამოკითხვისა და ცნობების შეგროვების ღონისძიებები, რომლებსაც ოპერატიული მუშაკები იყენებენ, მათი მოსაზრებით, განსაკუთრებულ ზედამხედველობას არ საჭიროებს.³⁸⁴ (საპროკურორო ზედამხედველობის თაობაზე დეტალურად იხილეთ კვლევის მე-8 თავი).

ოპერატიული მუშაკების პოზიციით, უმჯობესია, არსებული კონტროლის მოდელი ჩანაცვლდეს უწყებრივი ზედამხედველობის მექანიზმით, რადგან ორგანოს ხელმძღვანელი მუდმივად ინფორმირებულია მიმდინარე საქმიანობის შესახებ და კონტროლიც უფრო ქმედითი იქნება.³⁸⁵ პრაქტიკაში ოპერატიულ საქმიანობაზე ზედამხედველობის არსებულ მოდელს შორის ყველაზე ეფექტიან მექანიზმად სწორედ უწყებრივი კონტროლის მეთოდი მიიჩნევა. თუმცა, გარე კონტროლის მექანიზმის გარეშე რთულია ზედამხედველობის ამ ფორმისადმი ნდობის შენარჩუნება, რადგან ღონისძიების მარეგულირებელი აქტების გამოცემის, საქმიანობის დაგეგმვის, სტრატეგიის განსაზღვრისა და მისი უშუალო აღსრულების ფუნქცია ერთი უწყების, ხშირად კი ერთი კონკრეტული ადამიანის პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა.³⁸⁶

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გამონვევად რჩება ოპერატიული სამმართველოს დებულებისა და უფლებამოსილების განხორციელების შესაბამისი ინსტრუქციის გარეშე საქმიანობა. სამმართველოს შექმნიდან ერთი წლის შემდეგაც არ არსებობს დებულება, რომლის მიხედვითაც სამმართველოს თანამშრომლები იხელმძღვანელებენ.³⁸⁷ დღეის მდგომარეობით, სამსახური დებულების შემუშავების პროცესშია და როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვგატყობინებს, ეს დოკუმენტი უმოკლეს ვადაში იქნება ხელმისაწვდომი ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებისათვის.

მართალია, დამოუკიდებელ უწყებაში არ იყენებენ უფლებაში ჩარევის მაღალი რისკის მქონე ოპერატიული ღონისძიების სახეებს, მაგრამ როგორც სხვა უწყებებში, ისე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიული საქმიანობის ფარგლებშიც გამონვევად რჩება ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განპირობებულია არსებული საკანონმდებლო რეგულირებით. ოპერატიული საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებებს, რაც საგამოძიებო რეფორმის თანმდევი პროცესი უნდა გახდეს. არსებითი მნიშვნელობისაა, ოპერატიული საქმიანობისა ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა არა მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, არამედ ამ უფლებამოსილების განმახორციელებელ ნებისმიერ უწყებაში. რეფორმის განხორციელებამდე საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობა, გადაიხედოს ოპერატიული ღონისძიების განხორციელების საფუძვლები, მკაცრად უნდა შეიზღუდოს უფლებაში ჩარევის მაღალი რისკის მქონე ოპერატიული ღონისძიებების გამოყენება და განისაზღვროს იმ დანაშაულთა წრე, რომლებზეც შესაძლებელი იქნება ამ ღონისძიებათა გამოყენება, ასევე უნდა შეიქმნას ოპერატიულ საქმიანობაზე ზედამხედველობის მყარი გარანტიები.

³⁸³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁸⁴ იქვე.

³⁸⁵ იქვე.

³⁸⁶ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 74, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KAKxHw>, წვდომის თარიღი: 14.01.2021.

³⁸⁷ დებულებით უნდა მოწესრიგდეს კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, ფარგლები და წესი. მაგალითად, ვიზუალური კონტროლის განხორციელების მიზნებისთვის ოპერატიული მუშაკები სასამართლოს ნებართვის გარეშე ვერ იყენებენ ტექნიკურ საშუალებას, რაც ქმნის ერთგვარ გაურკვევლობას. ხსენებული საკითხების შიდა სამართლებრივი აქტით მოწესრიგების შემთხვევაში კი ოპერატიული სამმართველოს უფლებამოსილება უფრო მკაფიო იქნება და ოპერატიულ მუშაკებს გაუადვილებს საქმიანობას.

ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

6.3. ფარული და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარება

ფარული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამომიჯისათვის. გამომიჯის პროცესისადმი უნდობლობის თუ სამართალდამცავთა მხრიდან ზენოლის ან მანიპულირების შედეგად, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლებს დამოუკიდებელ ორგანოსთან ურთიერთობა და გამომიჯებაში მათი დახმარება ხშირად არ სურთ.³⁸⁸ ფარული ან/და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარება, მსხვერპლის/დაზარალებულის თანამშრომლობის გარეშე წარმოებული გამომიჯის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ფარული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარებას ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს.³⁸⁹ კონტროლის უფლებამოსილების ინსპექტორის სამსახურის სფეროდან გასვლა და მისი ზედამხედველი მოსამართლისთვის მინიჭება დადებით შეფასებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარების პრინციპები და სტანდარტი კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარებაზეც ვრცელდება, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს.³⁹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიმართოს სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციისა და დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.³⁹¹ ასევე, პროკურორის დადგენილების საფუძველზე შესაძლებელი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კომპიუტერული მონაცემების საჯარო თუ კერძო უწყებებიდან გამოთხოვა.³⁹²

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებმა კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიჯო მოქმედებების ჩატარებლად, ჯერ პროკურორებს უნდა მიმართონ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ პროკურორის დადგენილების საფუძველზე შეუძლიათ მათ ამ მონაცემების მოპოვება. როდესაც არსებობს საჯარო უწყების, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს კომპიუტერში არსებული ვიდეოჩანანერების განადგურების საფრთხე და საჭიროა გადაუდებელი აუცილებლობით საგამომიჯო მოქმედების ჩატარება, პროკურორისადმი მიმართვა ამ მტკიცებულებების სწრაფად მოპოვებას მნიშვნელოვნად აფერხებს.³⁹³ გარდა ამისა, პრაქტიკაში პროკურორები ერიდებიან საჯარო უწყებებთან მიმართებით ამგვარი დადგენილების გამოტანას.³⁹⁴ ამასთან, შესაძლებელია, რომ გადაუდებელი აუცილებლობით საგამომიჯო მოქმედების ჩატარება საჭირო იყოს იმ დროს, როცა პროკურორი არ იმყოფება სამსახურში, რადგან მისი სამუშაო დღე დასრულებულია, რაც დამატებით დაბრკოლებას უქმნის გამომიჯებლებს დადგენილების დროულად მიღებასა და მტკიცე-

³⁸⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁸⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 32¹ ნაწილი.

³⁹⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები.

³⁹² იქვე, 143³-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

³⁹³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁹⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიჯებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ბულების სწრაფად მოპოვებაში.³⁹⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიებლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება საჯარო თუ კერძო უწყებების კომპიუტერში არსებული ვიდეოჩანანერებია, რომელთა სწრაფად განადგურების რისკი ყოველთვის არსებობს და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამომიებო მოქმედებებზე ფარული საგამომიებო მოქმედებების სტანდარტის გავრცელება ამ რისკს ზრდის.³⁹⁶

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2020 წელს საგამომიებო დეპარტამენტში არსებულ საქმეებზე პროკურორების მიერ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შევიდა 610, ხოლო ფარული საგამომიებო მოქმედების - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის თაობაზე 6 (ამ შუამდგომლობებიდან 3 შეეხებოდა მიმდინარე ფარული საგამომიებო მოქმედების ვადის გაგრძელებას) შუამდგომლობა, რომლებიც სასამართლომ დააკმაყოფილა.³⁹⁷ ამავე პერიოდში, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვის კანონიერად ცნობის შუამდგომლობით პროკურორმა მხოლოდ 4 შუამდგომლობით მიმართა (მათ შორის, 2020 წელს მხოლოდ ერთხელ),³⁹⁸ ხოლო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში არ წარდგენილა.³⁹⁹

სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ აღრიცხავს, რამდენ შემთხვევაში მიმართეს გამომიებლებმა პროკურორს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის ან ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დადგენილების გამოტანის მოთხოვნით, რადგან გამომიებელსა და პროკურორს შორის კომუნიკაცია სიტყვიერია.⁴⁰⁰ ეს კი შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რამდენ შემთხვევაში არ გაიზიარა პროკურორმა გამომიებლის მოსაზრებები ამ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე ზოგიერთი დანაშაული არ ხვდება იმ დანაშაულთა ჩამონათვალში,⁴⁰¹ რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების წინაპირობად აწესებს. ეს დანაშაულებია წამების მუქარა⁴⁰² და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით,⁴⁰³ რომლებიც არ მიეკუთვნება მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ან იმ დანაშაულებს, რომლებზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შესაძლებელია ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება. ამდენად, ამ ორი დანაშაულის გამოძიების პროცესში კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება დაშვებული არ არის, რადგან კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებით ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების წესი ვრცელდება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო კომპეტენციის სპეციფიკური ხასიათიდან და მნიშვნე-

³⁹⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁹⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

³⁹⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

³⁹⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

³⁹⁹ იქვე.

⁴⁰⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.


⁴⁰¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁰² სისხლის სამართლის კოდექსის 143³ მუხლი.

⁴⁰³ იქვე, 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ლობიდან გამომდინარე, მიზანშენილია, სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება, მის წარმობაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დამოუკიდებლად მიიღოს გადანყვეტილებები კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ.

ამასთან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იმ დობითა და ხარისხით, რომ მათზე ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის დამახასიათებელი მაღალი სტანდარტი გავრცელდეს და დანაშაულის კატეგორიებით იყოს შეზღუდული. შესაბამისად, მიზანშენილია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვები გახდეს ყველა კატეგორიის დანაშაულის გამოძიებისას.



**7. სავაჭრო პროცესში არსებული
ძირითადი დაბრკოლებების ანალიზი**



7.1. შესავალი

მოქალაქესა და სამართალდამცავს შორის ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, გამოძიების პროცესში მთავარი გამოწვევა მომხდარის თაობაზე ნეიტრალური მონმის თუ მტკიცებულების მოპოვებაა. ნეიტრალურია ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს მიკერძოების ან სუბიექტურობის ყოველგვარ ელემენტს და ობიექტურად ადასტურებს ან უარყოფს ფაქტის არსებობას.⁴⁰⁴ ამგვარი მტკიცებულებების სიმწირეს განაპირობებს არასათანადო მოპყრობის საქმეებზე მიუკერძოებელ მონმეთა ობიექტური არარსებობა ან მათი მხრიდან საგამომიებო ორგანოსთან თანამშრომლობის დაბალი მზაობა. სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის მანდატის ქვეშ მოქცეულ დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენას ართულებს მოქალაქესთან სამართალდამცავის კომუნიკაციის აუდიო ან ვიდეო დოკუმენტირების არასავალდებულოობაც.

წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილდება გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების, საჯარო დანესებულებებისა და სხვა უწყებებიდან გამოძიებისთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღების კუთხით არსებულ საკანონმდებლო და პრაქტიკულ გამოწვევებზე, გაანალიზდება პირის დაზარებულად ცნობასთან და სათანადო პროცედურული გარანტიებით აღჭურვასთან, ასევე, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები და დაბრკოლებები.

7.2. მსჯილბულების მოპოვება

7.2.1. მოქალაქესთან სამართალდამცავთა კომუნიკაცია ტექნიკური სუბულებით

სამართალდამცავ უწყებათაგან, მინიჭებული ფართე პრევენციული, საპოლიციო, საგამომიებო და ოპერატიული ფუნქციების გათვალისწინებით, მოქალაქესთან ყველაზე ინტენსიური კონტაქტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აქვთ.⁴⁰⁵ არასათანადო მოპყრობის ბრალდებებიც, მეტწილად, ამ უწყების წარმომადგენლებს მიემართებათ.⁴⁰⁶ შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლებსა და მოქალაქესთან კონტაქტის ტექნიკური აღჭურვილობით ფიქსაციაც, საქმეთა ეფექტიანად გამოძიებისთვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მოქმედი კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადგენს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის მოქალაქებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღებით აღბეჭდვის ვალდებულებას. ნორმატიულ დონეზე ასევე არ არის განსაზღვრული სამართალდამცავი ორგანოს ვალდებულება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გამოკითხვის დროს აუდიო ან ვიდეოგადაღების წარმოების თაობაზე, რაც არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით სახალხო დამცველის ერთ-ერთი, დღემდე შეუსრულებელი რეკომენდაციაა.⁴⁰⁷

მოქალაქესთან პოლიციის ურთიერთობის სამხრე ვიდეოკამერით აღბეჭდვის საგამონაკლისო წესი მოქმედებს მხოლოდ სპეციალური საპოლიციო კონტროლის, ე.წ. რეიდის ჩატარებისას.⁴⁰⁸ მოქალაქეს-

⁴⁰⁴ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019 წ., გვ. 18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uY07PB>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁰⁵ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 38, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁰⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020 წ., გვ. 148, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3svWDST>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁰⁷ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2019 წ., გვ. 10, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3swwwC5y>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁰⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

თან სხვა ნებისმიერი სახის კონტაქტი საპოლიციო, ოპერატიული თუ საგამომიებო მოქმედების განხორციელების დროს, ტექნიკური საშუალების გამოყენების გვერდის ავლით დაიშვება.⁴⁰⁹

სამართალდამცავ უწყებაში სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილია მხოლოდ საპატრულო პოლიცია. სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, მოქალაქეებთან შემხებლობა აქვთ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებსაც, თუმცა მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს ისინი ტექნიკურ საშუალებებს არ იყენებენ, ასეთი სავალდებულო წესის არარსებობის გამო.

რაც შეეხება პატრულ-პოლიციელს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის მიზნით, საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოსაკვლევადა, პატრულირების ფარგლებში უფლება აქვს, აწარმოოს ვიდეოაუდიოგადაღება.⁴¹⁰ შესაბამისად, სამსახურებრივ ფორმაზე დამაგრებული ტექნიკური საშუალების ჩართვა, საპატრულო პოლიციის ნებაზეა დამოკიდებული. აღნიშნული ტექნიკური საშუალებით ვიდეოგადაღების წარმოება 12 საათის განმავლობაში უწყვეტად არის შესაძლებელი და ვიდეო გამოსახულება აღბეჭდავს გადაღების თარიღსა და დროს.⁴¹¹ პატრულირების დროს სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული მონაცემები სპეციალურ სერვერზე 30 დღის ვადით ინახება.⁴¹²

ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, გამონვევა კამერების არარსებობა სამართალდამცავთა ავტომანქანებშიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, სამმართველოებისა და განყოფილებების სარგებლობაში გადაცემულ ავტომანქანებს ამგვარი ტექნიკური მოწყობილობები არ გააჩნია. გამონაკლისია საპატრულო პოლიციის ავტომობილები, რომელთა ბორტზე დამაგრებულია კამერები.⁴¹³ მათი ხედვის არეალი მოიცავს გარე პერიმეტრს, არ აფიქსირებს ავტომობილის შიგნით არსებულ ვითარებას.

ავტომანქანაში ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობასთან ერთად, პრობლემაა მოქმედი კანონიც, რომელიც სამართალდამცავისგან არ მოითხოვს, დაკავების ადგილიდან პირი დროებითი მოთავსების იზოლატორში დაუყოვნებლივ გადაიყვანოს. ნორმატიულად მხოლოდ სისხლისსამართლებრივად ან ადმინისტრაციულად დაკავებულის პოლიციის უახლოეს დანესებულებაში (ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში) მიყვანის ვალდებულებაა გათვალისწინებული. აღნიშნული ხარვეზები, საბოლოოდ, ბოროტად გამოიყენება დაკავებულთა ავტომანქანებში დაყოვნებისა და არასათანადო მოპყრობის კუთხით.⁴¹⁴ ამას ადასტურებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სტატისტიკაც, რომლის თანახმად, 2019 წელს სავარაუდო დანაშაულთა 30%-ის ჩადენის ადგილად დასახელებულია პოლიციის ავტომანქანა.⁴¹⁵

პოლიციის განყოფილებების გარე და შიდა სივრცეების ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა

⁴⁰⁹ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 38, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴¹⁰ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N1310, მუხლი 14.

⁴¹¹ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 39, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴¹² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N1310, მუხლი 12¹.

⁴¹³ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 40, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴¹⁴ იქვე, გვ. 32.

⁴¹⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019 წ., გვ. 140, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3stl8Qj>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

არასათანადო მოპყრობის პრევენციის კიდევ ერთი ქმედითი ინსტრუმენტია, რომელიც არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდების შემთხვევაში, გამოძიების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ჩამწერ მონაცემობაზე მონაცემების შენახვის ვადა ამავ ტექნიკური საშუალებების მახასიათებლებზეა დამოკიდებული, თუმცა ისინი არანაკლებ 14 დღის ვადით და არა უმეტეს სამი წლით შეიძლება შეინახოს.⁴¹⁶

წლების განმავლობაში არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით, სახალხო დამცველის და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების კრიტიკის საგანი იყო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. პოლიციის შენობათა შიდა სივრცეების ტექნიკური საშუალებების გამოყენების დროსაც პრობლემად რჩება ის, რომ ვიდეოკამერები განთავსებული არ არის მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციის (გამოკითხვის, დაკითხვის ოთახები) ტერიტორიებზე და იგი, მეტწილად, მხოლოდ შენობის შესასვლელ ტერიტორიას აფიქსირებს.⁴¹⁷ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი პირზე ძალადობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისთვის ეს საკითხები დღემდე მნიშვნელობას არ კარგავს და გავლენას ახდენს დამოუკიდებელი საგამომიგომ მექანიზმის მუშაობაზე.

7.2.2. ვიზუალური კონტროლის წესი პენიტენციურ დაწესებულებაში

არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური (ან/და ელექტრონული) საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება და ჩანაწერების სათანადო ვადით შენახვა.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, სხვა პირთა მიმართ ძალადობის, სხვა სამართალ-დარღვევის თავიდან ასაცილებლად პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით.⁴¹⁸ როგორც წესი, ამგვარი კონტროლი მუდმივი ხასიათისაა დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე,⁴¹⁹ ხოლო ელექტრონული კონტროლისგან თავისუფალია დაწესებულებაში მოთავსებულთა პირადი ჰიგიენის, საერთო სარგებლობის სივრცეები, ისევე როგორც ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახები.⁴²⁰

ვიდეოჩანაწერზე აღებჭდვილი ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში 30 დღის ვადით ინახება.⁴²¹ დაწესებულებაში მოთავსებული პირის გარდაცვალების, სავარაუდოდ დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში კი, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე,⁴²² გათვალისწინებულია გადაღე-

⁴¹⁶ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 43, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴¹⁷ იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2017-2019 წლების ანგარიშები, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ap8Vpj>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴¹⁸ „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება, მუხლი 2.

⁴¹⁹ იქვე, მუხლი 3.

⁴²⁰ იქვე, მუხლი 3, მე-2 ნაწილი.

⁴²¹ იქვე, მუხლი 15.

⁴²² იქვე, მუხლი 15, მე-2 ნაწილი.

ბული ვიდეომახასიათის 120 საათით დაარქივების შესაძლებლობა.⁴²³

ამდენად, საგამომიებო დეპარტამენტს პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ჩანაწერთა მოპოვების ერთთვიანი ვადა აქვს, განჩინების მიღებამდე კი, დაწესებულება მათ შენახვას საგამომიებლის მიმართვის ან დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული გადანაცვებების საფუძველზე,⁴²⁴ 120 საათით უზრუნველყოფს. ამგვარი ნორმატიული რეგულაციის პირობებში, საგამომიებო ორგანოს ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე მიუწვდება ხელი დაწესებულებაში განთავსებულ ვიდეო კადრებზე, რაზეც საგამომიებელთა პრაქტიკაც მიუთითებს.⁴²⁵

7.2.3. სხელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის ფაქტობრივი ვიდეოჩანაწერების

ვიდეომტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახური არაერთი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ბარიერის წინაშეა. მათ შორისაა ვიდეოჩანაწერების არსებობის თაობაზე შესაბამისი უწყებისგან ინფორმაციის დაგვიანებული ან არასრული სახით მიღება, ჩანაწერების ფრაგმენტულობა, სასამართლო განჩინების მოპოვებამდე ვიდეოჩანაწერის წაშლის თავიდან აცილების მიზნით სისტემაში მის შენახვაზე (დაარქივებაზე) უწყების უარი და სხვა.

საგამომიებელთა განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებიდან უმოკლეს ვადაში იგზავნება წერილი შესაბამისი უწყებაში, სამართალდამცავის/პოლიციის შენობის თუ მოქალაქეზე სავარაუდო ძალადობის ადგილზე ვიდეოგადაღების წარმოების, თანამშრომელთა სამხრე კამერებით აღჭურვის, საპოლიციო შენობაში ვიდეოკამერების განთავსების ადგილების თაობაზე ინფორმაციის მონოდედასთან დაკავშირებით. ამ ტიპის წერილებზე, პრაქტიკაში პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაგვიანებული პასუხები, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეოჩანაწერის (14-დღიანი ან 30-დღიანი) შენახვის ვადის გასვლა და მისი წაშლაც გამოუწვევია.⁴²⁶ ეს პრობლემა განსაკუთრებით დგას სამხრე კამერების ჩანაწერების გამოთხოვის დროს, რადგან საგამომიებო დეპარტამენტს, ამ შემთხვევაში, შუამდგომლობის მომზადებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სჭირდება დაზუსტებული მონაცემები კონკრეტული პატრულ-პოლიციელის სამხრე კამერის სპეციალური ნომრის თაობაზე. ანალოგიური წერილები, საპატრულო პოლიციის გარდა, ზოგადად ვიდეოგადაღების წარმოების თაობაზე იგზავნება სხვა საპოლიციო დანაყოფებშიც. საგამომიებელთა განმარტებით, ამგვარ მიმართვებზე ხშირად პასუხი ისე გვიანდება, რომ მონაცემების შენახვის ვადის გასვლის გამო ის იშლება მყარი დისკიდან.⁴²⁷

საგამომიებლისთვის ხელშემშლელია ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს შაბლონური პასუხები, რომლითაც უწყება, ერთი მხრივ, მიუთითებს ტექნიკური მიზეზით მყარ დისკზე ვიდეოჩანაწერების არარსებობაზე, მეორე მხრივ, არ აკონკრეტებს ტექნიკური ხარვეზის მიზეზს. იმის გამო, რომ ჩანაწერების გამოთხოვა ხდება იმ უწყებებიდან, რომელთა თანამშრომლებიც შესაძლოა მხილებულნი იყვნენ კანონსაწინააღმ-

⁴²³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N403 ბრძანება, „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებამი ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 3.

⁴²⁴ „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება, მუხლი 15, მე-3 ნაწილი.

⁴²⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის საგამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴²⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის საგამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴²⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის საგამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

დეგო ქმედებაში, ჩანაწერების მიუწოდებლობა და საკითხზე მწირი, დაუსაბუთებელი ინფორმაციის გაცემა აჩენს კითხვის ნიშნებს, მით უფრო, როცა ჩანაწერები მოითხოვება დანაშაულის შესაძლო ჩადენიდან დაუყოვნებლივ, რამდენიმე დღეში.⁴²⁸

ვიდეო მტკიცებულებების მოპოვებისას საგამომიებო დეპარტამენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კეთილსინდისიერებაზე, რამდენადაც სამინისტროს აქვს სრული და ექსკლუზიური წვდომა სისტემაში არსებულ ნებისმიერი ტიპის ვიდეოჩანაწერზე. შესაბამისად, საგამომიებო დეპარტამენტს ხელი არ მიუწვდება ვიდეოჩანაწერების თაობაზე მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებაზე. გამომიებელთა განმარტებით, გამოძიების პროცესში ვიდეო მტკიცებულებათა ამოღება დროს მოითხოვს, რაც შუამდგომლობის მომზადების და სასამართლოს მიერ განჩინების გაცემისთვის არის საჭირო. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვიდეოჩანაწერების წაშლის/განადგურების თავიდან აცილებისთვის, საგამომიებო დეპარტამენტი უწყებას განჩინების წარდგენამდე მონაცემების შენახვის - დაარქივების თხოვნით მიმართავს. სამინისტრო აღნიშნულს არ ითვალისწინებს და ეყრდნობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონს, რამდენადაც სასამართლო განჩინების წარდგენამდე ვიდეოჩანაწერების წინასწარ შენახვას მონაცემთა უკანონო დამუშავებად განმარტავს, რაც სამართლებრივ საფუძველს მოკლებული არ არის.⁴²⁹

ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოძიებისთვის გადამწყვეტი როლის მქონე ვიდეო მტკიცებულებების დაარქივების ნორმატიულ დონეზე მონესრიგება, რაც გამორიცხავს დაარქივების პერსონალურ მონაცემთა დარღვევად განმარტებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონი მონაცემთა დამუშავების განსხვავებულ წესებს ადგენს, როდესაც მონაცემთა დამუშავება დანაშაულის გამოძიების მიზნით ხდება. თუმცა, ამის წინაპირობად, კანონმდებლობაში კონკრეტული საკითხის პირდაპირ და სპეციალურ რეგულირებას მოითხოვს.⁴³⁰ მაგალითისთვის, გადაღებული ვიდეომასალის დაარქივების საკითხს პირდაპირ ითვალისწინებს პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეო მეთვალყურეობის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტი, რაც საგამომიებო ორგანოს, პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარ შესაძლო დანაშაულზე რეაგირების ფარგლებში, ვიდეოჩანაწერების გამოთხოვამდე მათი დაარქივების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს უქმნის.⁴³¹ შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, ნორმატიულად მსგავს შესაძლებლობას არ უშვებს. ამდენად, მიზანშეწონილია, გამოძიების პროცესში, განჩინების მოპოვებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვიდეოჩანაწერების დაარქივების წესი ნორმატიულად გაიწეროს.

სისხლის სამართლის საქმეზე ტექნიკური საშუალებით აღბეჭდილი ინფორმაციის მოპოვების კუთხით, დამატებითი პრობლემაა პოლიციის თანამშრომელთა მიერ წარმოებული ვიდეოგადაღების წყვეტილი ხასიათი. საგამომიებო დეპარტამენტის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც არასათანადო მოწყობის თაობაზე განმცხადებელი მიუთითებს სამართალდამცავთა მიერ სამხრე კამერების პერიოდულად გამორთვაზე საკუთარი გადაცდომების ვიდეოფირზე აღბეჭდვის თავიდან აცილების მიზნით და ფრაგმენტულად, მხოლოდ იმ მომენტებში კამერის ჩართვაზე, როცა განმცხადებელი იყო აგრესიული.⁴³²

გამომიებისთვის გამოწვევაა სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებსა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერთა დაბალი ხარისხიც. ეს ართულებს მათზე აღბეჭდილ პირთა იდენტიფიცირებას და მათი ქმედებების გარჩევას. ასევე, როგორც აღინიშნა, პოლიციის

⁴²⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴²⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴³⁰ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

⁴³¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N403 ბრძანება, მუხლი 3.

⁴³² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

შენობებში ვიდეოკამერების არეალი არ ფარავს ყველა იმ ადგილს, სადაც პროცესის მონაწილეები გადაადგილდებიან. პრაქტიკა კი მიუთითებს, რომ მოქალაქეებზე ძალადობა სწორედ ამგვარ სივრცეებშია გავრცელებული.⁴³³

ამდენად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებები სამხრე კამერებით ვიდეოგადაღების უწყვეტ რეჟიმში წარმოების სავალდებულო წესის თაობაზე, მეორე მხრივ კი, საგამომიებო დეპარტამენტისთვის შესაბამისი ინფორმაციის უმოკლეს ვადებში მიწოდების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო საქმიანობის ეფექტიანობისთვის სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები საგამომიებო დეპარტამენტის მიმართვის შემთხვევაში, მათ სისტემაში დაცული ვიდეოჩანანერების წაშლის გამოსარიცხად, რისი მიღწევაც საკითხის ნორმატიულ დონეზე განერით არის შესაძლებელი. ასევე აუცილებელია სამართალდამცავთა სამუშაო ადმინისტრაციულ შენობებში მოქალაქის გადაადგილებისა და მასთან კომუნიკაციის ყველა სივრცეში ვიდეოკამერის განთავსება. პოლიციის ავტომატები უნდა აღიჭურვოს კამერებით და უნდა დაიწყოს მრუნვა პოლიციის შენობათა შიდა და გარე პერიმეტრის ტერიტორიაზე ხარისხიანი კამერების განთავსებისთვის.

7.2.4. საგამომიებო დეპარტამენტთან სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობა

გამომიების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის მონაწილეთაგან და საჯარო/კერძო დაწესებულებებიდან გამომიებისთვის საინტერესო ინფორმაციის დროულად მიღებაზე. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შეფასდა ამ კუთხით სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომწვევებიც.

საგამომიებო სამსახურში დანაშაულის ნიშნებზე შეტყობინების მიღების ქმედითი მექანიზმის დანერგვის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა გამომიებლებს პენიტენციურ დაწესებულებებში დაუყოვნებლივი შესვლის შესაძლებლობას არ აძლევს. ეს პრობლემა კანონის დონეზე მოწესრიგებას საჭიროებს, რამდენადაც საგამომიებო დეპარტამენტის მანდატს მიეკუთვნება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებზე ძალადობის, მათი გარდაცვალების საქმეთა გამომიება და სწრაფ რეაგირებას პენიტენციური დაწესებულების ნებართვა არ უნდა აბრკოლებდეს.

მოქმედი პატიმრობის კოდექსი პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის ორგვარ რეჟიმს იცნობს. იგი განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც დაწესებულებაში ვიზიტი სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლიათ, მათ შორის არიან პროკურატურის სისტემის უფლებამოსილი პირები, სახალხო დამცველი, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, თუმცა ჩამონათვალში არ გვხვდება სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის წარმომადგენელი.⁴³⁴ სპეციალური ნებართვის არმქონე პირების პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესი კი განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი პირი (პენიტენციური დაწესებულების და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების გარდა) ექვემდებარება დაწესებულების დირექტორის ან დირექტორის მოადგილის სპეციალურ საშვს, რომელიც ერთჯერადად კონკრეტული ვითარებისთვის გაიცემა. გამომიებლები პენიტენციურ დაწესებულებაში დაიშვებიან სამსახურებრივი მონაწილისა და საშვის საფუძველზე.⁴³⁵

საგამომიებო დეპარტამენტის გამომიებლების განმარტებით, დაწესებულებიდან შეტყობინების მიღებაზე სწრაფი რეაგირება და ვიზიტისთვის საჭირო საშვის მოკლე ვადებში მოპოვება პრაქტიკაში პენიტენციურ

⁴³³ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 30, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RN7lrp>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴³⁴ პატიმრობის კოდექსი, მუხლი 60.

⁴³⁵ იხ. მაგალითისთვის, N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 58.

სამსახურთან თანამშრომლობითი ურთიერთობის მეშვეობით პრობლემას არ წარმოადგენს.⁴³⁶ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკის მიღმა საკითხს კანონი ანესრიგებდეს და გამომძიებლებს დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებას ანიჭებდეს.

მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით ინსპექტორის საგამომიებო სამსახურთან სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის ნაწილში, საინტერესო ასევე საგამომიებო მოქმედებების ჩატარება იმ ორგანოში, რომლის თანამშრომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს. საგამომიებო დეპარტამენტის პრაქტიკა იცნობს, მაგალითისთვის, პოლიციის განყოფილების დათვალიერების, გადაუდებელი აუცილებლობით „112“-დან ვიდეოჩანანერის გამოთხოვის შემთხვევებს, თუმცა ინტერვიუებში კვლავაც ხაზი გაესვა ასეთ ვითარებაში საგამომიებო მოქმედებების განხორციელებისას პროკურორის ნების მნიშვნელობას, რამდენადაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში, ზოგიერთ შემთხვევაში გამომძიებელი საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე პროკურატურისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ იღებს.⁴³⁷ სამსახურის პრაქტიკის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაუბრკოლებლად ხდება სისხლის სამართლის საქმეზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის მიწოდება (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, დაკავების ოქმები, სამართალდამცავთა საშტატო ნუსხა და სხვა), გარდა ვიდეოჩანანერებთან დაკავშირებული ინფორმაციისა.

7.2.5. საპროცესო საგამომიებო პროცესი

გამომიების პროცესში სპეციფიკურია მონმის სახით საგამომიებო სტრუქტურაში დასაქმებულ პირთა გამოკითხვა და მათგან გამომიებისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება.

ნეიტრალურ მონმეთაგან განსხვავებით, საგამომიებო ორგანოში გამოცხადების და ჩვენების მიცემის კუთხით დაბრკოლებებს არ ქმნიან მოხელეები, რომელთა წინააღმდეგაც განმცხადებელს პრეტენზია გააჩნია ან რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ. ინსპექტორის სამსახურის დამკვიდრებული საგამომიებო სტრატეგიით, უპირატესობა ენიჭება სამართალდამცავთა გამოკითხვას სისხლის სამართლის საქმეზე სხვა რელევანტურ მტკიცებულებათა მოპოვების შემდგომ. ეს მიდგომა მიმართულია საქმეზე მაქსიმალურად მეტი ინფორმაციის თავმოყრის შემდგომ მოხელეების კრიტიკული გამოკითხვისკენ, რადგან საგამომიებო ორგანოს არ აქვს იმ პირისგან თანამშრომლობის მოლოდინი, რომელიც შესაძლოა დანაშაულის ჩადენაში იყოს მხილებული.⁴³⁸

გამომიებელთა განმარტებით, რიგითი მოქალაქეებისგან ინფორმაციის მიღებისგან განსხვავდება სამართალდამცავთა გამოკითხვის პროცესი, რადგან ამ პირებს პროფესიული გამოცდილება, იურიდიული განათლება, მათ წინააღმდეგ განმცხადებლის ბრალდებები ჩვენების მიცემისას სიფრთხილისკენ განაწყობს.⁴³⁹ საკუთარი კოლეგების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი ფაქტორი სამართალდამცავებში ხშირად საკუთარი როლის შესახებ სამუშაო პრაქტიკაში შექმნილი აღქმებია, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებს მაღალი ნდობით აღჭურვილ, შინაურად მიღებულ თანამშრომლებს (Insider) სამსახურს გარეთ მყოფი საზოგადოების წევრებისგან (Outsider), რომელთაც

⁴³⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴³⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴³⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴³⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

სამართალდამცავები პრინციპულად უნდობლობით ეკიდებიან.⁴⁴⁰ ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით თვალშისაცემია პოლიციელთა სამუშაო კულტურაში, რადგან მათი ყოველდღიური საქმიანობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის თანმდევ საფრთხეებს უკავშირდება და ისინი კრიტიკულ სიტუაციებში ერთმანეთის საიმედოობასა და ერთგულებაზე არიან დამოკიდებული. ეს კი აძლიერებს პოლიციის თანამშრომლებში პროფესიული ერთობის მნიშვნელობას და უკიდურესად ამცირებს კოლეგების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა ირგვლივ გამოძიებაში მათი თანამშრომლობის ხარისხს.⁴⁴¹

ამასთან, საგამომცემო ორგანოსთან სამართალდამცავთა თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაშიც, პრობლემურია ქვეყანაში არაეფექტიანად მოქმედი მხილების მექანიზმიც, რაც საჯარო სამსახურში კორუფციის თუ სხვა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ქმედით საშუალებად მიიჩნევა. მამხილებლის ინსტიტუტი მიმართულია ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისკენ, რომლის მიხედვით, თითოეულმა მოხელემ საჯარო სამსახურში მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, თვალყური ადევნოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გამოავლინოს სამართალდარღვევა მისი აღმოჩენის შემთხვევაში.⁴⁴²

საქართველომ საჯარო სამსახურში მხილების, ანუ კანონმდებლობის დარღვევის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს (ასევე გამომცემლის, პროკურორის, სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოების) ინფორმირების წესი 2009 წელს პირველად განსაზღვრა, 2015 წელს კი, კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, რეფორმა გაატარა.⁴⁴³ მიუხედავად ამისა, მამხილებლის ინსტიტუტი დღემდე არ მოქმედებს საგამომცემო სტრუქტურებში და სამართალდამცავის უკანონო ქმედების მხილების ნების არსებობის დროსაც კი მამხილებელს კანონი ვერ დაიცავს შესაძლო დევნისგან.

მამხილებელთა დაცვის თაობაზე, კანონი სპეციალური ნორმატიული წესების შემუშავებას მოითხოვს, თუკი მხილება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საქმიანობას შეეხება, თუმცა დღემდე ამგვარი სპეციალური კანონმდებლობა შემუშავებული არ არის.⁴⁴⁴ შესაბამისად, ამ უწყების თანამშრომლები დაუცველნი არიან მხილების გამო შესაძლო შურისძიებისგან და ვერ სარგებლობენ მამხილებლისთვის კანონით მინიჭებული დაცვის გარანტიებით.⁴⁴⁵

7.2.6. ნაიზრალურ მოწვევთა თანამშრომლობა და მათი დაცვის გარანტიები

სახელმწიფო ინსპექტორის წარმომებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, დიდი გამოწვევაა მიუკერძოებელი მოწმის არსებობა. საქმეზე პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფ პირზე სავარაუდო ძალადობის თაობაზე განმცხადებლისა და სამართალდამცავის ურთიერთსაპირისპირო განმარტებების გარდა, ნეიტრალური მტკიცებულება მოიპოვებოდეს, რაც ვიდეოჩანანერი ან მომხდარის შემსწრე მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს.

გამომცემელთა განმარტებით, მოქალაქეთა უმრავლესობა ერიდება სამართალდამცავთა წინააღმდეგ ინფორმაციის გაცემას და შემოიფარგლება იმის მტკიცებით, რომ, ადგილზე ყოფნის მიუხედავად,

⁴⁴⁰ Rafael Behr, Cop Culture - Der Alltag des Gewaltmonopols, გვ. 139.

⁴⁴¹ იქვე.

⁴⁴² ნინო ცუხიშვილი, მამხილებლის ინსტიტუტი საჯარო სამსახურში - საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლებისა და სახელმწიფოს ერთგულების ვალდებულების ურთიერთმიმართება, ჟურნალში: ადმინისტრაციული სამართალი, 2016 წ., N2, გვ.43-55, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3akl7Z2>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁴³ საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველოს საჯარო სამსახურში მოქმედი მხილების მექანიზმი, 2020 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OAXGT1>, წვდომის თარიღი: 19.04.2021.

⁴⁴⁴ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20¹¹.

⁴⁴⁵ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20⁴-20⁵.

არაფერი დაუნახავთ ან გაუგიათ. მონმეთა ამგვარი ქცევა ხშირად საგამომძიებო სამსახურთან თანამშრომლობაზე ინდივიდთა მენტალიტეტით, ასევე საკუთარი უსაფრთხოების, სამართალდამცავთა სამომავლო მტრული დამოკიდებულების თავიდან აცილების სურვილით არის განპირობებული.⁴⁴⁶ შესაბამისად, საგამომძიებო ორგანოსთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის თაობაზე მოქალაქეთა ინფორმირება და ამ საგამომძიებო ორგანოსადმი ნდობის ამღვლევაზე მუშაობა, ისევე როგორც მონმეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ინსტრუმენტების გამოყენება.

ამ პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მონმის დაცვის ეფექტიანი ბერკეტი გააჩნდეს. სისხლის სამართლის საქმის მონანილეთა დაცვის ამგვარი მექანიზმია სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელიც პროცესის მონანილის (ან მისი ოჯახის წევრის) პირადი ცხოვრების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენაა მიმართული.⁴⁴⁷ პირის დაცვის ღონისძიებები საჭირო ხდება, როდესაც სისხლის სამართლის საქმის საჯარო განხილვით შესაძლოა ზიანი მიადგეს პროცესის მონანილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონანილის ვინაობისა და საქმეში მონანილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება საქმის ფიგურანტს ან მისი ახლო ნათესავის ქონებას, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; თუკი პროცესის მონანილე რაიმე სახით დამოკიდებულია ბრალდებულზე.⁴⁴⁸

კანონმდებლობა განსაზღვრავს სპეციალური ღონისძიებათა სახეებსაც, რომელთა შორის არის მიკვლევის სანინალმდევო ზომების გატარება (პროცესის მონანილის სახელის და გვარის, იდენტიფიცირების შემცველი მონაცემების შეცვლა), უსაფრთხოების ზომების მიღება პირადი დაცვის დანიშვნის სახით, საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან სამუდამო შეცვლა.⁴⁴⁹ გადანყვეტილებას კონკრეტული ღონისძიების თაობაზე საქმის პროკურორი დადგენილებით იღებს, მისი აღსრულება კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება.⁴⁵⁰

სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის სპეციალური ღონისძიების პროგრამაში პირის ჩართვის საკითხი შეიძლება კანონით განსაზღვრული ნებისმიერი საფუძვლით გახდეს საჭირო, თუმცა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა წინააღმდეგ გამოძიების წარმოებისას, დაზარალებულის/მონმის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი ყველაზე ხშირად შეიძლება დაისვას.

დაცვის სპეციალური ზომების აღსრულების უფლებამოსილების მინიჭება ექსკლუზიურად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, გამორიცხავს სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის მიერ ამ ღონისძიებების გამოყენებას პირის მიმართ ისეთ შემთხვევაში, თუკი სისხლის სამართლის საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებას შეეხება. საგამომძიებო დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ უწყების წარმომადგენელთა ქმედებებს იძიებს,⁴⁵¹ რის გამოც მნიშვნელოვანია, საგამომძიებო ორგანოს მონმეთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებლად ჰქონდეს წვდომა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებზე.

უნყებათა შორის არსებულ ბუნებრივ წინააღმდეგობასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ

⁴⁴⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ., გვ. 240.

⁴⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 67.

⁴⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 68.

⁴⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 71.

⁴⁵¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020 წ., გვ. 148, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3svWDST>, წვდომის თარიღი: 19.04.2021..

საგამომძიებო დეპარტამენტს იმ სახელმწიფო ორგანოსგან, რომლის თანამშრომლის სავარაუდო დანაშაულსაც იძიებს, არათუ მოწმეთა დაცვის მინდობა, არამედ ტექნიკური დახმარების მიღების უფლებაა კი შეზღუდული აქვს.⁴⁵²

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით, ხელი მიუწვდებოდეს საქმის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რაც დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, მატერიალური, ტექნიკური საკითხების მოქმედი წესისგან განსხვავებულად მოწესრიგებას მოითხოვს.

7.3. პირის დაზარალებულად ცნობა და მისი უფლებები

გამომძიებლის პროცესში დაზარალებულის ჩართულობა გამომძიებლის ეფექტიანად წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს დაზარალებულად ცნობის სამართლებრივ საფუძველსა და სტატუსის მინიჭების წესს. პირის დაზარალებულად ცნობისა და მისი სათანადო პროცედურული გარანტიებით აღჭურვის მნიშვნელობას დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო დონეზეც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედეგად დამკვიდრებული პოლიციის ზედამხედველობის ხუთი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთია დაზარალებულის პროცესში ჩართულობა მისი კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.⁴⁵³ ეფექტიანი გამოძიება უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, სწრაფად წარმართული და უნდა იძლეოდეს მომჩივანის ან დაინტერესებული პირის ქმედითი ჩართულობის შესაძლებლობას.⁴⁵⁴

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი.⁴⁵⁵ თუ დანაშაულის ჩადენას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს (დაზარალებულის უფლებამონაცვლეს). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე.⁴⁵⁶

შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, პროკურორი საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი განცხადების საფუძველზე, პირს დადგენილებით ანიჭებს დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის სტატუსს.⁴⁵⁷ თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს.⁴⁵⁸ თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, მას უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამომძიებლის ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.⁴⁵⁹ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁴⁶⁰

⁴⁵² „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20.

⁴⁵³ Opinion of the Commissioner for Human Rights, Concerning Independent and Effective Determination of complaints against the Police, March 2009, გვ. 3. ასევე იხ. McKerr v UK, no. 28883/95, Judgment 4 May 2001.

⁴⁵⁴ IOPC, Statutory guidance on the police complaints system, 2020, პარ.13.2, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oSKZQz> წვდომის თარიღი: 14.01.2021.

⁴⁵⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილი.

⁴⁵⁶ იქვე, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴⁵⁷ იქვე, მე-5 ნაწილი.

⁴⁵⁸ იქვე.

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ იქვე, მე-7 ნაწილი.

თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე.⁴⁶¹ დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს შემდგომ პროკურორთან. თუ შემდგომი პროკურორი საჩივარს არ დააკმაყოფილებს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.⁴⁶² მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁴⁶³

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება/გაუქმება არ არის პროკურორის თავისუფალი მიხედვლების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. კანონით დადგენილი ობიექტური საფუძვლების, კრიტერიუმების არსებობისას პროკურორი ვალდებულია, პირი ცნოს დაზარალებულად.⁴⁶⁴

დაზარალებულის სტატუსის მიღება არაერთი მნიშვნელოვანი უფლებით სარგებლობის წინაპირობაა.⁴⁶⁵ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე არსებითია საქმის მასალებზე წვდომის უფლება, რაც განსაკუთრებული ინტერესის საგანი და გამოძიებაში ჩართულობის მთავარი გარანტია. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავდა დაზარალებულის შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაცნობოდა საქმის მასალებს ასლის სახით. სასამართლომ განმარტა, რომ ინფორმაციის ეფექტიანი, სათანადო ფორმით გაცნობა წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების წინაპირობას, რაც გულისხმობს ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ასლის სახით მიღების შესაძლებლობასაც.⁴⁶⁶

გარდა ამისა, დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება გაასაჩივროს შემდგომ პროკურორთან.⁴⁶⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁴⁶⁸

არასრულწლოვანი დაზარალებულები დამატებით სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. ⁴⁶⁹ აგრეთვე, თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას კოლეგიის/პალატის შემადგენლობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე.⁴⁷⁰

შესაბამისად, დაზარალებულის სტატუსის მიღებით მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცესში უჩნდება გარკვეული პროცედურული გარანტიები, აქვს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ და აღჭურვილია ბრალდების მხარის კონტროლის ბერკეტებით.⁴⁷¹ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება

⁴⁶¹ იქვე, მე-6 ნაწილი.

⁴⁶² იქვე.

⁴⁶³ იქვე, მე-7 ნაწილი.

⁴⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/12/1229,1242, 1247,1299, § II-28.

⁴⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლი.

⁴⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/1312.

⁴⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის 1¹ ნაწილი.

⁴⁶⁸ იქვე.

⁴⁶⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁴⁷⁰ იქვე, მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/12/1229,1242,1247,1299, § II-23.

ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოებრივ კონტროლსა და საგამოძიებო ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდას.

„დაზარალებულის ინტერესია, მის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იქნეს გამოძიებული, რეალური დამნაშავე იდენტიფიცირებული, დანაშაული სწორად დაკვალიფიცირებული და, საბოლოოდ, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.“⁴⁷² დაზარალებულისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება კი სწორედ აღნიშნული ინტერესების რეალიზებას ემსახურება.

2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტს ჯამში 9 პირმა მიმართა, მოთხოვნაზე ცხრავეს დასაბუთებული უარი ეთქვა.⁴⁷³ მიღებული უარი ზემდგომ პროკურორთან 5, ხოლო სასამართლოში 2 შემთხვევაში გასაჩივრდა. გასაჩივრებით პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეცვლილა. ამავე პერიოდში, პროკურორის ინიციატივით, სულ 6 პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.⁴⁷⁴

როგორც წესი, პროკურორები ელოდებიან სავარაუდო დამნაშავეს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო მტკიცებულებების შეგროვებას და მხოლოდ ამის შემდეგ ანიჭებენ პირს დაზარალებულის სტატუსს⁴⁷⁵, რაც უდავოდ კანონთან შეუსაბამო პრაქტიკაა და აუცილებლად შესაცვლელია.

ინდივიდუალურ ინტერვიუებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებმა მრავალჯერ აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივ რეჟიმში აწვდიან დაზარალებულებს ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, კანონის ფარგლებში საქმის კურსში აყენებენ სავარაუდო დაზარალებულებს და ცდილობენ, უზრუნველყონ პროცესში მათი ჩართულობა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ვერ ჩაანაცვლებს დაზარალებულთა კანონით განმტკიცებულ პროცესუალურ უფლებებს, რომელთა რეალიზაცია აუცილებელია როგორც დაზარალებულის ინტერესების დასაცავად, ისე მთლიანობაში ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისათვის.

დაზარალებულის სტატუსის არსებობას უკავშირდება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციის თანახმად, საგამოძიებო ორგანოები უნდა იყვნენ უფლებამოსილი, სავარაუდო დაზარალებულზე გაავრცელონ შესაბამისი დაცვის ღონისძიებები, რათა არ მოხდეს მათი დაშინება ან სხვა ხერხით დარღვევა, რომ მათ თავი შეიკავონ საგამოძიებო პროცესში მონაწილეობისაგან.⁴⁷⁶

მოქმედი კანონმდებლობით, პროკურორი უფლებამოსილია, გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი ან/და მისი ახლო ნათესავი, მათი თანხმობით⁴⁷⁷. შესაბამისი პირის დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დაცვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას.⁴⁷⁸ შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ არის უფლებამოსილი, თავად უზრუნველყოს დაზარალებულის/მონაწილის დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის სისტემაშიც, დიდი ალბათობით,

⁴⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება, § II-10.

⁴⁷³ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 28 დეკემბრის N13/71772 წერილი.

⁴⁷⁴ იქვე.

⁴⁷⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴⁷⁶ Commission on Human Rights resolution 2000/43 Torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 20 April 2000, E/CN.4/RES/2000/43, პარ. 3(b).

⁴⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁷⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

მუშაობს უფლებადამრღვევი პირი, ვერ გამოდგება დაზარალებულის/მოწმის დაცვის სანდო გარანტად.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, მომჩივანს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ეფექტური წვდომა საგამოძიებო პროცედურებზე.⁴⁷⁹ მსხვერპლი ან მისი უფლებამონაცვლე გამოძიების პროცესში ჩართული უნდა იყოს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.⁴⁸⁰

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციისა და სტამბოლის პროტოკოლის თანახმად, წამებისა და სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლები და მათი წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ არა მარტო საქმის მასალებისა და სხდომების შესახებ, არამედ მათ უნდა გააჩნდეთ სხვა მტკიცებულების წარდგენის უფლებამოსილებაც.⁴⁸¹

დაზარალებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ კონკრეტული ქმედებების განხორციელება და მონაწილეობის მიღება შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებში. ისინი რეგულარულად უნდა იყვნენ ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.⁴⁸²

ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭიროა მის შედეგებზე სათანადო საზოგადოებრივი კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ანგარიშვალდებულება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკაში. ყველა შემთხვევაში, მსხვერპლი (ან ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის უახლოესი ნათესავი) ჩართული უნდა იყოს საგამოძიებო პროცესში იმ დონით, რაც აუცილებელია მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.⁴⁸³ დაზარალებულის მხრიდან გამოძიების მასალებზე წვდომის, კონკრეტული ქმედებების განხორციელების მოთხოვნისა და საზოგადოებრივი კონტროლის მსგავსი სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია მოცემული.⁴⁸⁴

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაზარალებულად ცნობასა და სათანადო პროცედურული გარანტიებით აღჭურვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მსხვერპლის კანონიერი ინტერესების დასაცავად, ისე გამოძიების პროცესზე სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად.

საქართველოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პროკურორმა კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, პირი ცნოს დაზარალებულად და ამგვარი გადაწყვეტილების მიღება არ იყოს დამოკიდებული სამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო მტკიცებულებათა შეგროვებაზე. მიზანშეწონილია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება, დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს ზედამხედველ პროკურორს პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე. გარდა ამისა, აუცილებელია, ინსპექტორის სამსახურს შეეძლოს, თავად განახორციელოს დაცვის სპეციალური ღონისძიება, რაც მსხვერპლის, მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის უსაფრთხოების დაცვის მყარ გარანტიებს უზრუნველყოფს.

⁴⁷⁹ Bati and Others v. Turkey, Judgment of 3 June 2004, applications no. 33097/96 and 57834/00, პარ. 137.

⁴⁸⁰ 14th General Report on the CPT's activities, CPT/Inf (2004) 28, პარ. 36.

⁴⁸¹ Commission on Human Rights resolution 2000/43 Torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 20 April 2000, E/CN.4/RES/2000/43, პარ. 4. სტამბოლის პროტოკოლის, პარ. 116, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WEZM5b>, წვდომის თარიღი: 14.01.2020.

⁴⁸² Erik Svanidze, Effective Investigation of Ill-treatment, Guidelines on European standards, second edition, Council of Europe, პარ. 4.5.1.

⁴⁸³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 166, პუნქტი 36. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mhsMKP>, წვდომის თარიღი: 14.01.2021.

⁴⁸⁴ Erik Svanidze, Effective Investigation of Ill-treatment, Guidelines on European standards, second edition, Council of Europe, გვ. 58, პარ. 4.5.1. Chitayev and Chitayev v. Russia, Judgment of 18 January 2007, application no. 59334/00, პარ. 165. Hugh Jordan v. the United Kingdom, no. 24746/94, პარ. 109, 4 May 2001. Khukhalashvili and Others v. Georgia, Applications no. 8938/07 and 41891/07, August 2020, პარ. 134.

7.4. სამედიცინო ექსპერტიზა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეებზე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს გამოძიების ეფექტიანად და სრულყოფილად წარმართვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სტამბოლის პროტოკოლის თანახმად, წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია. თუმცა, თუ წამებიდან 6 კვირაზე მეტი არ არის გასული, სამედიცინო ექსპერტიზის დაუყოვნებლივ ჩატარებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, წამების აშკარა კვალი გაქრეს.⁴⁸⁵

სტამბოლის პროტოკოლი ასევე ადგენს წამების შემთხვევაში ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და წამების სავარაუდო მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასების აუცილებლობას.⁴⁸⁶ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე საჭიროების შემთხვევაში ასევე უნდა დაინიშნოს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.⁴⁸⁷

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დანაშაულის ნიშნების შემცველი 267 შეტყობინება შევიდა.⁴⁸⁸ 267 სისხლის სამართლის საქმიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლებმა არსებულ 192 საქმეზე 226 სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა.⁴⁸⁹ დიაგრამაზე ასახულია ამ საქმეთა რაოდენობა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების შესვლამდე პერიოდების მიითითებით:



⁴⁸⁵ სტამბოლის პროტოკოლი, პარ, 103. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WEZM5b>, წვდომის თარიღი: 23.12.2020.

⁴⁸⁶ იქვე.

⁴⁸⁷ CPT, *Combating Impunity*, p.3, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cnCAQu>, წვდომის თარიღი: 12.03.2021.

⁴⁸⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

⁴⁸⁹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

ქვემოთ, დიაგრამაზე კი გამოსახულია 2020 წელს საგამომიებო დეპარტამენტში შესულ შეტყობინებებთან დაკავშირებით ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის რაოდენობა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან ექსპერტიზის დანიშვნამდე პერიოდების მითითებით:

2020 წელს ჩატარებულ ექსპერტიზათა რაოდენობა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან ექსპერტიზის დანიშვნამდე პერიოდების მიხედვით



შენიშვნა: ერთი სავარაუდო მსხვერპლი, რომლის მიმართაც 2-ჯერ დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, ქმედების ჩადენის ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს.

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, დანაშაულის ჩადენიდან პირველ სამ დღეში, მართალია, შეტყობინება შესულია სულ 147 საქმეზე, თუმცა ექსპერტიზა დანაშაულის ჩადენის, ასევე დანაშაულის ჩადენიდან მეორე და მესამე დღეს მხოლოდ 91 შემთხვევაში დაინიშნა, ხოლო ყველაზე მეტი - 52 ექსპერტიზა დაინიშნულია დანაშაულის ჩადენიდან ერთი კვირის ვადაში.

როგორც გამომძიებლები უთითებენ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება გამოძიების დაწყებისას საჭიროებიდან გამომდინარე.⁴⁹⁰ სამსახური ექსპერტიზისათვის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართავს.⁴⁹¹ ექსპერტიზით დგინდება დაზიანების არსებობა, მისი მიყენების ხერხები, ხარისხი, ადგილმდებარეობა და ხანდაზმულობა.⁴⁹²

2020 წელს მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო 267 საქმეზე, საიდანაც სისხლის სამართლის 192 საქმეზე დაინიშნა 226 სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო 64 პირის მიმართ, მათი უარის მიუხედავად, ექსპერტიზა დაინიშნა სამედიცინო დოკუმენტაციაზე.


⁴⁹⁰ მაგალითად, როცა პირს დაზიანებები აღენიშნება. ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴⁹¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 129.

⁴⁹² იქვე, გვ. 130.

ქვემოთ გამოსახულია 2020 წელს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინებების მიღებიდან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებამდე პერიოდების მითითებით:

სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევათა რაოდენობა შეტყობინების მიღებიდან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებამდე არსებული დროის მიხედვით



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შეტყობინების შემოსვლიდან 1 თვის ან/და 1 თვეზე მეტი პერიოდის გასვლის შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა შემდეგი მიზეზების⁴⁹³ გამო:

- პირებმა უარი განაცხადეს ექსპერტიზაზე პირადად გამოცხადებაზე და სამედიცინო ექსპერტიზა შემდგომ მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციას ჩაუტარდა;
- ქმედება შეეხებოდა ძველ ფაქტს, სავარაუდო მსხვერპლს დაზიანების ნიშნები აღარ აღენიშნებოდა, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა სამედიცინო დოკუმენტაციას;
- 2 პირს ქმედების განხორციელებიდან მალევე გაუქრა დაზიანების კვალი და ამ შემთხვევაში სამედიცინო დოკუმენტაციას ჩაუტარდა ექსპერტიზა;
- ერთ შემთხვევაზე სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა გამოძიების დაწყებისთანავე, თუმცა სავარაუდო მსხვერპლის ხელახალი გამოკითხვის შემდეგ სხვადასხვა დროს წარმოიშვა ახალი გარემოებები და მიზანშეწონილი გახდა დამატებით 2 ექსპერტიზის ჩატარება;
- სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა გამოძიების დაწყებისთანავე, თუმცა წარდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციას სჭირდებოდა დაზუსტება და მონაცემთა დასაზუსტებლად დაინიშნა კიდევ ერთი სამედიცინო ექსპერტიზა.

⁴⁹³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სისხლის სამართლის მხოლოდ ერთ საქმეზე დაინიშნა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, თუმცა ვერ ჩატარდა პირის მიერ ექსპერტთან წარდგენაზე უარის თქმის გამო.⁴⁹⁴

ექსპერტიზის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად გამოწვევებზე: სავარაუდო მსხვერპლთა ნაწილი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარს აცხადებს; აგრეთვე, კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ჭიანჭურდება.⁴⁹⁵

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე საქმეებზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებლობის მიზეზებს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი, ასევე სავარაუდო ინციდენტიდან დიდი დროის გასვლა და დაზიანებათა გაქრობა წარმოადგენს (ეს შეეხება დაგვიანებით შემოსულ შეტყობინებებს).⁴⁹⁶

სამედიცინო ექსპერტიზის დროულად ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილებში განსხვავებული დაბრკოლებები არსებობს.⁴⁹⁷ დასავლეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შესაძლო დაზარალებულის პირადი წარდგენა შაბათ-კვირას ვერ ხერხდება. ამ პერიოდში კი დაზიანების კვალი შესაძლოა გაქრეს. დასავლეთში შაბათ-კვირას ექსპერტები ხელმისაწვდომი არიან, თუმცა პრობლემურია სამედიცინო ექსპერტიზაზე პირის საღამოს 6 საათის შემდგომ წარდგენა.⁴⁹⁸ ამ გამოწვევების საპასუხოდ, ადამიანის ნამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა არასამუშაო საათებში/დღეებში ექსპერტიზის ჩასატარებლად მორიგე ექსპერტის განსაზღვრა,⁴⁹⁹ რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომძიებო მექანიზმის ამოქმედებიდან პირველ თვეებში გარკვეული გამოწვევები არსებობდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დროულად მიწოდებასთან დაკავშირებით,⁵⁰⁰ თუმცა გამომძიებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო პერიოდში ვითარება გაუმჯობესდა. ახალ საქმეებზე დანიშნულ ექსპერტიზებზე დასკვნები ინსპექტორის სამსახურს შედარებით სწრაფად მიწოდდება.⁵⁰¹

⁴⁹⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის NSIS72100001356 წერილი.

⁴⁹⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 155-157.

⁴⁹⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 131.



⁴⁹⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴⁹⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁴⁹⁹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 116.

⁵⁰⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ანგარიში, გვ. 130.

⁵⁰¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.



**8. სპროკურორო ხელმძღვანელობისა
და ზედამხედველობის ფარგლები**



8.1. შესავალი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საქმეზე სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.⁵⁰² ყველა სხვა საგამოძიებო ორგანოს მსგავსად, ამ სამსახურის საგამოძიებო საქმიანობაზე ვრცელდება პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა. აღნიშნული, ისევე როგორც სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელება და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამისი დეპარტამენტის უფლებამოსილებამი შედის.⁵⁰³

კვლევის წინამდებარე ქვეთავში გაანალიზებულია სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის საქმიანობასა და მასზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურატურის ურთიერთმიმართება. განხილულია კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებათა გატარებისას პროკურორის მონაწილეობის ხარისხი, საქმისთვის მნიშვნელოვან დონისძიებებზე გამოძიებლისა და პროკურორის გადაწყვეტილებათა ფარგლები, რაც, საბოლოოდ, ნათლად აჩვენებს, რომ გამოძიების წარმართვის პროცესში სხვა სახელმწიფო უწყებაზე მიჭაჭველობა სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობისთვის სერიოზულ ბარიერებს ქმნის.

8.2. პროკურორის როლი და უზღაპამოსილება გამოძიების პროცესში

სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით გამოძიების წარმართვისთვის დადგენილი წესები, გამოძიებლის უფლებამოსილებისა და სტატუსის განმსაზღვრელი დებულებები, სრულად ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურზე, გარკვეული პროცესუალური საკითხები კი დამატებით წესრიგდება სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამოძიებლებს გააჩნიათ ბრალდების მხარის სტატუსი.⁵⁰⁴ ამავდროულად, მოქმედი საპროცესო კოდექსი მათ ავალდებულებს, გამოძიება წარმართონ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.⁵⁰⁵ ამ ფუნქციის შესრულებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა გამოძიებლის ოპერატიული დამოუკიდებლობა, რაც საგამოძიებო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის კანონით მინიჭებულ შესაძლებლობაში ვლინდება. თანადროულად ბრალდების მხარის სტატუსის ქონა და ყოველმხრივი, ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფა ურთიერთშეუთავსებელია.⁵⁰⁶

გამოძიებლის სტატუსსა და ფუნქციებთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო ჩანაწერების გარდა, პრობლემურია გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობისთვის კანონმდებლობით პროკურორისთვის მინიჭებული ჭარბი უფლებამოსილება და მისდამი გამოძიებლის მძლავრი სუბორდინაცია, რაც მთლიანად შლის პასუხისმგებლობის ზღვარს გამოძიების წარმართველ და საპროკურორო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირთა შორის.⁵⁰⁷

სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით პროკურორის ფუნქცია სამ ძირითად მიმარ-

⁵⁰² „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი.

⁵⁰³ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.

⁵⁰⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი.

⁵⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁰⁶ EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წ., გვ. 48, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uv4LEI>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁰⁷ EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წ., გვ. 52, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uv4LEI>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

თულებად შეიძლება დაიყოს⁵⁰⁸. ესენია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.⁵⁰⁹ პროკურორი, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებიდან, საქმის სასამართლოში წარმართვის ეტაპამდე, აქტიურად არის ჩართული საგამოძიებო პროცესში, საპროცესო ხელმძღვანელობის განვეის მიზნით ინფორმაციას იღებს საქმის მიმდინარეობის შესახებ. ხშირად თავად გეგმავს საგამოძიებო სტრატეგიას და გასცემს გამოძიებელთათვის სავალდებულო ხასიათის მითითებებს.⁵¹⁰ პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში.

დასახელებულ ფუნქციებთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს პროკურორის მონაწილეობას საქმეში გამოძიებლის სტატუსით, რა დროსაც მას გამოძიებლის ყველა უფლება და მოვალეობა ენიჭება.⁵¹¹ გარდა ამისა, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არაერთი, კონსტიტუციური უფლებათა მზღუდავი ხასიათის საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია პროკურორის უშუალო ჩართულობის გარეშე. მას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის ან დევნის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.⁵¹² პროკურორი ასევე უფლებამოსილია, ჩამოართვას საქმე კონკრეტულ გამოძიებელს და გადასცეს სხვას.⁵¹³

გამოძიების დაწყების, წარმართვის და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენამდე საქმეში პროკურორის აქტიური მონაწილეობა ართულებს მიუკერძოებელი და კვალიფიციური გამოძიების წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა და უწყებათა გამოკვეთას, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნას.⁵¹⁴ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, გამოძიებელსა და პროკურორს შორის ფუნქციათა ამგვარი, დაუბალანსებელი გადანაწილების პირობებში, ხელს უშლის სამსახურის ფუნქციურ დამოუკიდებლობას და აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს, გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმართვის რეალური შესაძლებლობის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრობლემურობა ერთგვარად აღიარებულია სახელმწიფოს მიერ საგამოძიებო სისტემის რეფორმის კონცეფციის მომზადებით.⁵¹⁵ რეფორმის მიზანი კვალიფიციური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებისთვის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების სწორი ბალანსის უზრუნველყოფაა. რეფორმის კონცეფციის სისრულეში მოყვანით გამოძიების ეფექტიანობის ამაღლება დადასტურებულია ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ შეფასებაშიც, თუმცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მისი განხორციელება შეჩერებულია.⁵¹⁶

⁵⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ., გვ. 154.

⁵⁰⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

⁵¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

⁵¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი.

⁵¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵¹⁴ EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წ., გვ. 45, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uv4LEI>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵¹⁵ EMC, მოსაზრებები ვენეციის კომისიის საქართველოში საგამოძიებო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, 2019 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dGHfGP>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵¹⁶ Venice Commission, Georgia - Opinion on the concept of the legislative amendments to the Criminal procedure code concerning the relationship between the prosecution and the investigators, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rXRMJM>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

8.2.1. სახელმწიფო ინსპექციის საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის როლი გამოძიების პროცესში

სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურის უფლებამოსილებათა ფართო სპექტრის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება წარმოადგენდა.

შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ, ინფორმაციაზე რეაგირების კონკრეტული ფორმის, გამოძიების დაწყება-არდაწყებისა და საქმეზე სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დამოუკიდებლად წყვეტს. უწყებას აქვს გამოძიების პროცესში სადავო, სამსჯელო გარემოებებზე სხვა გამომძიებლებსა და საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან კონსულტაციის პრაქტიკაც.

სამსახურის შიდა საგამოძიებო საქმიანობაზე მონიტორინგისა და გამოძიების მიმდინარეობის ეფექტიანობაზე დაკვირვებისთვის შემუშავებულია სპეციალური ელექტრონული პროგრამა - „საგამოძიებო გეგმა,“ რომელზე წვდომაც მხოლოდ საგამოძიებო სამსახურის დანაყოფის ხელმძღვანელებსა და გამომძიებლებს აქვთ. ამ პროგრამაში ასახულია სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ყველა საქმე, თითოეულ მათგანზე შემუშავებული საგამოძიებო გეგმის, ჩასატარებელი და უკვე განხორციელებული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ნუსხა და გეგმის შესრულების მაჩვენებელი ველები. გეგმით გათვალისწინებული ყველა მოქმედების ჩატარების შემდგომ, საქმეზე მიიღება შედეგების შესაბამისი შემაჯამებელი გადაწყვეტილება.⁵¹⁷ გამოძიების სტრატეგიის შეხედულებისამებრ დაგეგმვა და მტკიცებულებების მოპოვების მიზნით მოქმედებების ჩატარება უშუალოდ გამომძიებლების პეროგატივაა.⁵¹⁸

ამ პროცესში საინტერესოა ასევე საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქცია და სტატუსიც. საგამოძიებო ორგანოთა ხელმძღვანელებს პრაქტიკაში, სისხლის სამართლის საქმის წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ, თუმცა, მოქმედი საპროცესო კოდექსი ამ უკანასკნელთ, პროცესის სუბიექტებად საერთოდ არ მიიჩნევს.⁵¹⁹

განსხვავებული საკანონმდებლო მოცემულობა გვაქვს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელთან მიმართებით, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის განერილი სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონით. მისი მთავარი ამოცანა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის საქმიანობისთვის კოორდინაციის განწევა და კომპეტენციის ფარგლებში, გამომძიებელთა საქმიანობაზე სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებაა.⁵²⁰ კვლევის ფარგლებში პროკურორებსა და გამომძიებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სამმართველოს ხელმძღვანელები, ისევე როგორც კურატორი მოადგილე, მეტწილად, გამომძიებელთა საქმიანობის ხელშეწყობისთვის ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში (გადაადგილების უზრუნველყოფა, სხვა ტექნიკური საკითხები) მონაწილეობენ. ხელმძღვანელთა ფუნქცია მოიცავს საგამოძიებო პროცესში შინაარსობრივ ჩართულობასაც, რაც ძირითადად, უწყების მიმდინარე საქმეებზე პერიოდული ანგარიშების მოსმენასა და გამომძიებლებთან პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებში

⁵¹⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის მენეჯერებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵¹⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵¹⁹ EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წ., გვ. 48, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uv4LEI>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵²⁰ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11¹ ნაწილი.

გამოიხატება.⁵²¹

რაც შეეხება საქმეში პროკურორის ჩართულობას, სამსახურის პრაქტიკით, საქმეზე გამოძიების დაწყების შესახებ პროკურორს ეცნობება დაუყოვნებლივ, რამდენიმე წუთში ან გამოძიებლის მიერ პირველივე შესაძლებლობისთანავე, სატელეფონო საუბრის ანდა შესაბამისი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.⁵²² პროკურორის ინფორმირების ერთიანი წესი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

8.2.2. კვალიფიკაციის შესვლაჲ პროკურორის უზღაბამოსილაჲ

გამოძიების პროცესში პროკურორის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებლის მიერ საქმისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შეცვლა.⁵²³ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის პრაქტიკაში, გამოძიების დაწყებისას გამოძიებელი თავად წყვეტს კვალიფიკაციის საკითხს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. მისი შემდგომი ცვლილება კი, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, გამოძიების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდეც დაშვებულია.

საგამოძიებო სამსახურის გამოცდილება აჩვენებს, რომ გასული წლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით პროკურორის გადაწყვეტილებით დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალა სისხლის სამართლის 20 საქმეზე, აქედან 11 შემთხვევაში გამოძიების დაწყების ეტაპზე დამამცირებელ ან არაადამინაწურ მოპყრობად მიჩნეული სავარაუდო ქმედება პროკურორმა უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებად გადააკვალიფიცირა, 5 შემთხვევაში კი - პირიქით, უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება შეიცვალა სხვადასხვა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დამამცირებელი მოპყრობის კვალიფიკაციით. 3 საქმეზე კვალიფიკაცია დაზუსტდა იმავე მუხლის - არასათანადო მოპყრობის დამამძიმებელი გარემოების ფარგლებში, ერთ შემთხვევაში უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას დაემატა ჩვენების მიცემის იძულების კვალიფიკაცია.⁵²⁴

გამოძიებლებსა და პროკურორებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კვალიფიკაციის ცვლილებამდე უწყებებს შორის არსებობს წინასწარი ვერბალური ან წერილობითი კომუნიკაცია, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათი მოსაზრებები საქმეზე მინიჭებულ/შეცვლილ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განსხვავებულია.⁵²⁵ პროკურორებთან ინტერვიუების თანახმად, საქმეზე კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი საპროკურორო ზედამხედველობის შემადგენელი ნაწილია და არსებობს საგამოძიებო სამსახურის მხრიდან ამ საკითხის მათთან შეთანხმების მოლოდინი. გამოძიებლის მიერ საქმის კვალიფიკაციაზე მიღებული გადაწყვეტილების არგაზიარების შემთხვევაში კი, პროკურორები მას შესაბამისი დადგენილებით ცვლიან.⁵²⁶ რაც შეეხება გამოძიებელთა პოზიციას, მათი შეფასებით, გამოძიებელს, რომელიც სისხლის სამართლის საქმის ყველა დეტალს იცნობს, შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭებაც მეტი სიზუსტით შეუძლია და მათთვის მნიშვნელოვანია, რომ საქმეზე სრული გამოძიების წარმოებისას, მისთვის მინიჭებულ კვალიფიკაციასაც ეთანხმებოდნენ.⁵²⁷

⁵²¹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამოძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

⁵²³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი.

⁵²⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის პირველი აპრილის SIS 1 21 00006698 წერილი.

⁵²⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამოძიებლებთან და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵²⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურზე ზედამხედველ პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵²⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამოძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ამ საკითხის შეფასებისთვის, კვლევის გუნდმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის შეცვლის 5 შემთხვევითად არჩეული დადგენილება. მონოდებულ საპროცესო დოკუმენტაგან ერთ შემთხვევაში ძალადობით უფლებამოსილების გადამეტება გადაკვალიფიცირდა არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად, 4 შემთხვევაში კი პირიქით - არასათანადო მოპყრობა გადაკვალიფიცირდა უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების მუხლით.

ამ დადგენილებათაგან ერთიც არ შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას, თუ რატომ მიენიჭა გამოძიების ეტაპზე არასწორი კვალიფიკაცია და რა გარემოებები მიუთითებდა კვალიფიკაციის შეცვლის მიზანშეწონილობაზე. ხსენებულ 4 დადგენილებაში შაბლონურად მითითებულია, რომ „ვინაიდან მოპყრობულ მტკიცებულებათა ერთობლიობით (ან/და ჩატარებულ გასაუბრების ოქმში მითითებული ინფორმაციის შედეგად) იკვეთება სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების და არა მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტი, აუცილებელია საქმეზე შეიცვალოს კვალიფიკაცია.“ ანალოგიურად დაუსაბუთებელია არაადამიანურ მოპყრობად გადაკვალიფიცირების დადგენილებაც.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მონოდებული დადგენილებებიდან ორი მათგანი მიღებულია სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების დღესვე,⁵²⁸ რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის კვალიფიკაციის დაუყოვნებელი შეცვლის საფუძვლებს, რადგან შეუძლებელია, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენამდე გამოირიცხოს მინიჭებული კვალიფიკაციის სისხორე.

8.2.3. პროკურორის სავალდებულო მითითება

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლებში, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიებლებს, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, გამოძიების ანდა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები, რითაც იგი, ფაქტობრივად, განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებას.⁵²⁹

პროკურორის სავალდებულო მითითებები მიემართება იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებასაც, რომლებზეც გადანყვეტილების მიღების უფლება, მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით, გამოძიებელს აქვს. საგულისხმოა, რომ საგამოძიებო სისტემის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული კონცეფციით გათვალისწინებული იყო მიდგომა, რომლის თანახმად, პროკურორს საგამოძიებო დანაყოფებისთვის სავალდებულო ხასიათის დავალების მიცემა დევნის დაწყების შემდგომ შეეძლებოდა, მანამდე მიმდინარე გამოძიების პროცესში კი, პროკურორის უფლებამოსილება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლებოდა.⁵³⁰

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სავალდებულო მითითების ფორმას, თუმცა სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო პრაქტიკაში, ის გაიცემა წერილობითი სახით. გასული წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სავალდებულო მითითება საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 15 საქმეზე გაიცა. მათგან 14 მითითება მიემართებოდა სისხლის სამართლის იმ საქმეებს, სადაც სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული არ იყო, 1 შემთხვე-

⁵²⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის პირველი აპრილის SIS 1 21 00006698 წერილს თანდართული კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ 19.09.2020 და 11.09.2020 დადგენილებები.

⁵²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

⁵³⁰ Venice Commission, Georgia - Opinion on the concept of the legislative amendments to the Criminal procedure code concerning the relationship between the prosecution and the investigators, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rXRMJM>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

ვაში კი მითითება დევნის დაწყების შემდეგ გაიცა.⁵³¹

გამომძიებლებთან ინტერვიუების ანალიზმა ცხადყო, რომ სავალდებულო მითითების გაცემის დრო უკავშირდება არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, როდესაც პროკურორის ინტერესი, სასამართლოში წარდგენილი ბრალის დასაბუთების თაობაზე, ცხადია, არამედ იგი გამოძიების სტადიაზეც გაიცემა. მათი განმარტებით, სავალდებულო მითითებით მოთხოვნილი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება ყველა შემთხვევაში საგამომძიებო გეგმის და სტრატეგიის ნაწილი ყოფილა, თუმცა შესაძლოა, უწყებებს შორის განსხვავებული ხედვები არსებობდა ამ მოქმედების ჩატარებისთვის შესაფერის დროსთან დაკავშირებით.⁵³² პროკურორებთან ინტერვიუების თანახმად, სავალდებულო მითითების გაცემა ნიშნავს არა გამოძიების არასწორი მიმართულებით წარმართვაზე მინიშნებას, არამედ ამ უფლებამოსილებას მაშინ იყენებენ, როდესაც საქმეში კონკრეტული საკითხების დაზუსტების საჭიროებას ხედავენ.⁵³³

სავალდებულო მითითების ინსტიტუტი გამოძიების პროცესში ჭარბი უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის და გამომძიებლის მეორეხარისხოვანი როლის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ეს ინსტრუმენტი საგამომძიებო დანაყოფის მტკიცებულებათა მოპოვებისკენ მიმართულ საქმიანობას ბოჭავს პროკურატურასთან მჭიდრო კავშირით, რაც, საბოლოოდ, სხვა საგამომძიებო უწყებებთან ერთად, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის სიმყიფესაც განაპირობებს.

8.2.4. საგამომძიებო მოქმედებაზე კონსტროლი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს პროკურორსა და გამომძიებელს შორის ფუნქციათა დაბალანსებულ გადანაწილებას და პროკურორს, ფაქტობრივად, გამოძიების სრულად წარმართვის ბერკეტებს გადასცემს. ამის ნათელი გამოვლინებაა არაერთ საგამომძიებო მოქმედებაში პროკურორის უშუალო ჩართულობის აუცილებლობა, რაც, სხვა საგამომძიებო უწყებებთან ერთად, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის საქმიანობაშიც გარდაუვალი მოცემულობაა.

საგამომძიებო პროცესში ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამომძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება) ჩატარებისთვის სასამართლოს წინასწარი განჩინების მიღების მიზნით შუამდგომლობის მომზადება მხოლოდ პროკურორს შეუძლია.⁵³⁴ გამომძიებლებს არ აქვთ მონმის მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე გამოკითხვის უფლებამოსილებაც,⁵³⁵ რაც არასათანადო მოპყრობის საქმეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგამომძიებო მოქმედებაა. მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია გამომძიებელს, თავად განახორციელოს უფლებების შემზღუდავი ღონისძიებები, რომელთა კანონიერებას სასამართლო პროკურორის სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე შეამოწმებს.⁵³⁶ გამომძიებელს ხელი არც კომპიუტერული სისტემიდან დოკუმენტის თუ ინფორმაციის გამოთხოვაზე მიუწვდება. ამ გადანყვეტილების მიღება, მათ შორის გადაუდებელი აუცილებლობის დროსაც, სრულად მიეკუთვნება პროკურორის პრეროგატივას.⁵³⁷

საგამომძიებო ორგანოთა, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო დეპარტამენტის პრაქ-

⁵³¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 25 დეკემბრის SIS 5 20 00021209 წერილი.

⁵³² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლებსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵³³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლებსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

⁵³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-4-მე-9 პუნქტები.

⁵³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁵³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი.

ტიკით, შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე ამზადებს პროკურორი, ხოლო შუამდგომლობაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი საქმის მასალების მომზადება, თანდართვა და სასამართლოში ფიზიკურად წარდგენა ევალება გამომძიებელს,⁵³⁸ რაც ერთი მოქმედების ორ უწყებაში ხელოვნურ გადანაწილებას, არაეფექტიანია დროის რესურსის თვალსაზრისითაც, რადგან ერთდროულად ითხოვს პროკურორის და გამომძიებლის ჩართულობას. ამასთან, გამომძიებლებთან ინტერვიუების ფარგლებში ცალსახად აღინიშნა, რომ სასამართლო განჩინების მიღების მიზნით პროკურორს შუამდგომლობის მომზადების ინიციატივით ყოველთვის თავად გამომძიებლები მიმართავენ, რადგან გამოძიების პროცესში საჭირო მოქმედებებს საქმის უშუალო მწარმოებელი პირები ყველაზე უკეთ განსაზღვრავენ.

საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამომძიებლის უფლებამოსილების გაზრდა, საგამოძიებო მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებების პროკურატურისგან დამოუკიდებლად მიღება გამოძიების დროულად და ეფექტიანად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ინტერვიუებში ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედებათა შემჭიდროვებულ ვადებში, სწრაფად ჩატარება არასათანადო მოპყრობის საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვებისთვის გადამწყვეტია. თუკი მოქმედი კანონმდებლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებელს ანდობს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, როგორებიცაა ჩხრევა თუ ამოღება, გაუგებარია, რატომ გამოირიცხავს ამავე საკითხებზე გამომძიებლის უფლებამოსილებას, გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, თავად მოამზადოს შუამდგომლობა და წარუდგინოს სასამართლოს, წინასწარი განჩინების მიღების მიზნით. სხვა გარემოებებთან ერთად, გასათვალისწინებელია ზედამხედველ პროკურორთა სამუშაო დატვირთულობაც, რამაც შეიძლება შეაფერხოს კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებული შუამდგომლობის მომზადება. გამომძიებელთა პოზიციით, სხვა უწყებებზე დამოკიდებულების გარეშე, მათ შორის არასამუშაო დღეებში, მათ თავისუფლად უნდა ჰქონდეთ შუამდგომლობის მომზადების, სასამართლო განჩინების აღებისა და იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესაძლებლობა, რომლებიც სსსკ-ის 112-ე მუხლით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, მათ უფლებამოსილებაში ისედაც შედის. ამ საკითხს ნაკლებად პრობლემურად აღიქვამენ პროკურორები ინტერვიუს ფარგლებში გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.⁵³⁹

სისხლის პროცესუალური კანონმდებლობით გამომძიებლის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა მაქსიმალური დავინტროება და პროკურორისადმი მძლავრი სუბორდინაცია აბრკოლებს სხვა სახელმწიფო უწყებებისგან ინსტიტუციურად ცალკე მდგომი საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და შეჭიბვებით პროცესში, ყოველმხრივი, ობიექტური გამოძიების წარმოებას უშლის ხელს, რადგან პროკურორს, ფაქტობრივად, საგამოძიებო ფუნქციებსაც აკისრებს.

უფლებამოსილებათა ამგვარი გადანაწილება პრობლემურია იმდენად, რამდენადაც პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილებით სარგებლობს. დევნის განხორციელებას კი საფუძვლად ეფექტიანად წარმართული გამოძიება უდევს. სწორედ ამიტომ ფლობს ბრალმდებელი გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია გამომძიებლის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში განხორციელებულ ქმედებათა კანონიერების კონტროლი, თუმცა გამომძიებლის საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის მიღმა, გამოძიებაში პროკურორის აქტიური მონაწილეობა აჩენს რისკებს, რომ გამოძიება მხოლოდ ბრალდების მხარის ინტერესებით და არაყოველმხრივ მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით წარიმართოს.⁵⁴⁰

⁵³⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵³⁹ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁴⁰ EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წ., გვ. 51, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uv4LEI>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

ამდენად, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობას, განსაკუთრებით სამსახურის გამომძიებელთა იურიდიული განათლების და პროფესიული კვალიფიკაციის მხედველობაში მიღებით, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნა არსებითად გაზრდის. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის ჩართულობა საგამოძიებო პროცესში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, იმის გამო, რომ იგი, როგორც ბრალდების მხარე და სასამართლოში ბრალდების მხარდამჭერი, მტკიცებულებების მოპოვების პროცესში ნეიტრალურ სუბიექტად ვერ დარჩება და გამოძიების პროცესში მისი ინტენსიური ჩარევა ყოველთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანი განხორციელებით იქნება მოტივირებული.

8.2.5. უარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონსტროლი

საპროცესო კოდექსი პროკურორის ექსკლუზიურ კომპეტენციას ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის საჭირო სასამართლო ნებართვის აღებისთვის. კანონის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებები - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი, ფარული აუდიო-ვიდეო ჩანერა ან ფოტოგადაღება, ასევე ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით შეიძლება განხორციელდეს პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლო განჩინებით.⁵⁴¹ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არსებობის დროსაც, კანონმდებელი შუამდგომლობის მომზადებას მხოლოდ პროკურორს მიაჩნდობს.⁵⁴² ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებით ადამიანის უფლებებში ჩარევის სიმძიმის მხედველობაში მიღებით, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა აწესდეს სასამართლო კონტროლის მაღალ ხარისხს. გადაუდებელი აუცილებლობის დროსაც, სასამართლოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებამდე 48 საათის განმავლობაში უნდა გამოირიცხებოდეს ამ ღონისძიებებით ბოროტად სარგებლობა საგამოძიებო ორგანოთა მიერ. შესაბამისად, გამოძიების პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედებების აუცილებლობაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად პროკურორის განსაზღვრა და საგამოძიებო ორგანოთა გამორიცხვა კანონმდებლის ლოგიკური გადაწყვეტილებაა.

საპროცესო კოდექსის ეს დებულება, ერთი მხრივ, განსაზღვრავს საგამოძიებო პროცესისთვის უმნიშვნელოვანესი მოქმედებების ჩატარების წესს, თუმცა, მეორე მხრივ, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, სირთულეებს წარმოშობს. კერძოდ, ნორმის თანახმად, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ღონისძიებაზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო ღონისძიების რეჟიმი, რაც ამ მოქმედების ჩატარებას დანაშაულის კონკრეტული სახეებით და სათანადო სამართლებრივი საფუძვლებით ზღუდავს.⁵⁴³ გამოძიების პარალელურად, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა შეიძლება გამოიყენებოდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში, ძებნილი პირის საქმის წარმოების და პირის ადგილსამყოფლის დადგენისთვის. ასეთ შემთხვევაში, ამ ღონისძიების განხორციელებისთვის საჭირო სასამართლო ნებართვის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, რამდენადაც აღარ არსებობს შუამდგომლობის წარდგენისთვის აუცილებელი გამოძიების სტადია. შესაბამისად, აუცილებელია, სამძებრო საქმიანობის წესი იმგვარად ჩამოყალიბდეს, უფლებამოსილ ორგანოებს ძიებაში მყოფი პირის ლოკაციის დადგენის მიზნით მოქმედების შესაძლებლობა სისხლის სამართლის მიმდინარეობის მიღმა, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდგომაც ჰქონდეს.

საგამოძიებო პრაქტიკისთვის არანაკლები გამოწვევაა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთ-

⁵⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹-ე მუხლი.

⁵⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-6² ნაწილი.

⁵⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი.

ხოვის მოქმედი წესი, რომელზეც კანონმდებელი, კლასიკური გაგებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურას ავრცელებს. კერძოდ, სსსკ-ის 136-ე მუხლის თანახმად, კომპიუტერულ სისტემასა ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვაზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის დადგენილი მოთხოვნები.⁵⁴⁴ აღნიშნული კი გამოირიცხავს გამომძიებლის ინიციატივით კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებების კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობას როგორც გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, ისე სასამართლო განჩინების მიღების მიზნით შუამდგომლობის მომზადების საფუძველზე.

საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობაში ამ საგამოძიებო მოქმედების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს 2020 წელს უწყების წარმომებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა სტატისტიკა. მონაცემები ცხადყოფს, რომ გასულ წელს გენერალური პროკურატურის მიერ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე ნებართვის მიღების მიზნით სასამართლოში შეტანილი 641 შუამდგომლობიდან 517 (81%) სწორედ ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვას შეეხებოდა.⁵⁴⁵

კანონმდებლობით, *კომპიუტერული სისტემა* არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც, პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, სხვა ნებისმიერი მსგავსი ტიპის მოწყობილობა. *კომპიუტერულ მონაცემად* კი კოდექსი მიიჩნევა კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისთვის ხელსაყრელ ნებისმიერი ფორმით არსებულ ინფორმაციას, რომელიც კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას ემსახურება.⁵⁴⁶

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გამოთხოვის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულმა წესმა რამდენიმე არსებითი ცვლილება განიცადა. კერძოდ, კანონის თავდაპირველი რედაქციით, ხსენებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდებოდა სსსკ-ის 112-ე მუხლის წესები და სასამართლო განჩინების აღების მიზნით შუამდგომლობის მომზადება პროკურორის პრეროგატივა იყო, გადაუდებელი აუცილებლობის დროს კი, ასეთი უფლება ჰქონდა გამომძიებელსაც.⁵⁴⁷ 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, ინფორმაციის გამოთხოვის ღონისძიებაზე გავრცელდა ფარული საგამოძიებო მოქმედების წესები და იგი მხოლოდ პროკურორის მოტივირებულ შუამდგომლობას დაექვემდებარა.

ამ ცვლილებამ პრობლემები შექმნა საგამოძიებო პრაქტიკაში, რადგან, ერთი მხრივ, ქმედების ჩამტარებელ სუბიექტად განისაზღვრა მხოლოდ პროკურორი (გამოირიცხა გამომძიებლის და დაცვის მხარის მონაწილეობა), მეორე მხრივ, დებულება არაერთგვაროვანი განმარტების საგანი გახდა. კერძოდ, კომპიუტერული სისტემიდან დოკუმენტის თუ ინფორმაციის გამოთხოვისა და სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით დამაგრებისთვის, სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკით, საჭირო გახდა მხოლოდ პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობა, როგორც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ისე ორდინალურ ვითარებაში სასამართლოს წინასწარი განჩინების მიღებისთვის. ამ მიდგომამ, მათ შორის საგამოძიებო ორგანოსთვის, გამოირიცხა კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაციის ნებაყოფილობითი გაცემა მისი ადრესატის მიერ.⁵⁴⁸ გარდა ამისა, პრაქტიკაში წარმოიშვა კითხვები, თუ რა დოზით ვრცელდებოდა ინფორმაციის გამოთხოვაზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაგვემვის, განხორციელების და დასრულების შემდგომი ეტაპისთვის კანონით დადგე-

⁵⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლები.

⁵⁴⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Q54YiA>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე პუნქტები.

⁵⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის 2010 წლის 24 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

⁵⁴⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის N1/552-17 განჩინება.

ნილი ისეთი დებულებები, როგორებიცაა ფარული მოქმედებების ადრესატისთვის შეტყობინების ვალდებულება, სასამართლო განჩინების სარემოლუციო ნაწილის გაგზავნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განჩინების გამცემ რეესტრში, პროკურორთან და უზენაესი სასამართლოში.⁵⁴⁹

საბოლოოდ, სასამართლო პრაქტიკამ განსაზღვრა, რომ საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი ეხება კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვას (არა მხოლოდ მომსახურების მომწოდებლისგან მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას).⁵⁵⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებით, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება მიენიჭა დაცვის მხარესაც.⁵⁵¹ ფარული საგამოძიებო მოქმედებების თანმდევი პროცესუალური ვალდებულებების სსსკ-ის 136-ე მუხლზე გავრცელებასთან დაკავშირებით კი, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით, ინფორმაციის გამოთხოვაზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების გაცემისათვის დადგენილი წესი მხოლოდ შუამდგომლობის დასაბუთებისა და წარდგენის სტანდარტის ნაწილში ორივე მხარისათვის თანაბრად, ხოლო სხვა ნორმატიული შინაარსი, რაც დამახასიათებელია სპეციფიკურად ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის, ეხება მხოლოდ ბრალდების მხარეს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი. გარდა ამისა, სასამართლოს განმარტებით, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა განსხვავდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისაგან, რომელთა დაკავშირებითაც დაცვის მხარეს არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია.⁵⁵²

სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებელთა გამოცდილების თანახმად, გამოძიების ეფექტიანად წარმართვას აბრკოლებს არსებული საკანონმდებლო მონუსვრიგება, სადაც გამომძიებელს კომპიუტერული სისტემიდან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დადგენილების გამოტანის უფლება არ აქვს.⁵⁵³ ამის მიზეზად დასახელდა არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციფიკური ბუნება, სადაც ნეიტრალურ მტკიცებულებათა ნაკლებობა ზოგადი პრობლემაა და განსაკუთრებით, კერძო თუ სახელმწიფო უწყებათა ვიდეო ფაილებზე გამომძიებლის დაყოვნების გარეშე, სწრაფი წვდომა გამომძიებლისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების ქვაკუთხედი. სისხლის სამართლის საქმეში პირდაპირი მტკიცებულებების კუთხით, ხშირად შეუცვლელია სამართალდამცავთა სამუშაო სივრცეში არსებული ვიდეოჩანაწერების, ისევე როგორც პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო ფორმაზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერების როლი.⁵⁵⁴ ამგვარი ინფორმაციის გამოთხოვისთვის გამომძიებლის პირდაპირი დამოკიდებულება პროკურორზე, საგამოძიებო მოქმედების დროში გაჭიანურებით მტკიცებულების განადგურების რისკებს ზრდის, მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც საგამოძიებო მოქმედების ადრესატი ის უწყებაა, რომელთა თანამშრომლების მიმართაც გამოძიება მიმდინარეობს. გარდა ამისა, პროკურატურა ზოგიერთ შემთხვევაში ერიდება სხვა სახელმწიფო უწყებიდან ხსენებული ინფორმაციის გადაუდებელი აუცილებლობით გამოთხოვას.⁵⁵⁵ ასეთ დროს, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურს, ფაქტობრივად, არავითარი ბერკეტი არ გააჩნია,

⁵⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143⁸ მუხლები.

⁵⁵⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება.

⁵⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/650,699.

⁵⁵² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 19 ივლისის N1გ/960-17 განჩინება.

⁵⁵³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁵⁴ EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rSTH2j>, წვდომის თარიღი: 03.04.2021.

⁵⁵⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ერთი მხრივ, პროკურატურაზე დამოკიდებულების გარეშე, საკუთარი ინიციატივით და მყისიერად მოიპოვოს გამოძიებისთვის რელევანტური ინფორმაცია კომპიუტერული სისტემიდან, მეორე მხრივ კი, გადაამონტოს, თუ რამდენად დროულად და სრულყოფილად გასცემს უწყება ინფორმაციას. ამასთან, პროკურორის გადანყვევტილებით შეზღუდვა და ინფორმაციის/დოკუმენტის მოპოვების დროში განელვა საგამოძიებო ორგანოსთვის შეიძლება ხელშემშლელი გახდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებების დროულად დაგეგმვის თვალსაზრისითაც.

8.2.6. ოპერატიულ საქმიანობაზე კონსროლი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოძიების სფეროში სრულად სარგებლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფლებით.⁵⁵⁶ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურს ხელი მიუწვდება კანონით გათვალისწინებული ყველა ოპერატიული ღონისძიების განხორციელებაზე, აღნიშნულისთვის კი კანონით დაწესებული მოთხოვნით, შიდა უწყებრივი ინსტრუქციების შემუშავება აუცილებელია, რაც, ინსპექტორის სამსახურში მიმდინარე პროცესია.⁵⁵⁷

კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე კონტროლის სამ სახეს - უწყებრივ, საპროკურორო და სასამართლო ზედამხედველობას ითვალისწინებს. მათგან, საკანონმდებლო ჩანაწერი სასამართლო კონტროლის რეალური არსის და საფუძვლების თაობაზე შინაარსს მოკლებულია, რადგან კანონში არ დარჩა არცერთი ოპერატიული ღონისძიება, რომელიც სასამართლოს სპეციალურ ნებართვას საჭიროებს.⁵⁵⁸

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.⁵⁵⁹ მათი აღნიშნული კომპეტენცია არ ვრცელდება საგამოძიებო ორგანოსთან კონფიდენცის თანამშრომლობის საკითხებზე, ისევე როგორც ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდებზე, ტაქტიკასა და ორგანიზების ესზე.⁵⁶⁰

ზედამხედველობის საპროკურორო მექანიზმი კანონით დადგენილ მექანიზმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და არაქმედიტია. კანონი არ ადგენს, კონკრეტულად რაში უნდა გამოიხატოს ოპერატიულ საქმიანობაზე საპროკურორო კონტროლი, რა მეთოდებით და ხერხებით ხორციელდება ის.⁵⁶¹ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის პრაქტიკით, ოპერატიული ღონისძიების ჩატარების ინიციატივაც ყოველთვის საგამოძიებო დანაყოფისგან მოდის და პროკურორი ასეთ დავალებას თავისი ინიციატივით, გამომძიებელთა მიმართვამდე, არც გასცემს. ოპერატიული მოქმედების განხორციელების წინაპირობა პროკურორის წერილობითი ფორმის თანხმობაა.⁵⁶²

საგამოძიებო დანაყოფის მიერ ჩატარებულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, საპროკურორო კონტროლთან ერთად, ვრცელდება უწყებრივი კონტროლიც, რამდენადაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის

⁵⁵⁶ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁵⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 9 თებერვლის SIS 721.00001987 წერილი.

⁵⁵⁸ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019 წ., გვ. 78, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PJmoS3>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁵⁹ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

⁵⁶⁰ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁶¹ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019 წ., გვ. 75, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PJmoS3>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁶² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებსა და ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

განმახორციელებელი ორგანოების ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების კანონიერებაზე.⁵⁶³ კანონმდებლის მიერ ოპერატიულ საქმიანობაზე უფლებამოსილი დანაყოფის ხელმძღვანელის მიმართ პასუხისმგებლობის დაწესება ლოგიკურია, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სწორედ ოპერატიული ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოები გამოსცემენ ოპერატიულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს თუ სხვა ნორმატიულ აქტებს.⁵⁶⁴

ოპერატიული საქმიანობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონტროლის მექანიზმებს შორის, უწყებრივი ზედამხედველობა შედარებით ქმედითი და ეფექტიანია, რადგან ოპერატიული ღონისძიებების განმახორციელებელი დანაყოფის ხელმძღვანელი პირდაპირ და უშუალოდ არის ინფორმირებული და ჩართული კონკრეტულ შემთხვევაში ამ საქმიანობის საჭიროების შეფასებაში, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ასევე, პროკურორისგან განსხვავებით, სრულად აქვს ოპერატიულ საქმიანობასთან დაკავშირებით შემუშავებულ აქტებზე წვდომა.⁵⁶⁵ უწყებრივი ზედამხედველობის ეფექტიანობის მიუხედავად, მისი კრიტიკის შესაბამისად, ერთი ორგანოს შიგნით თავს იყრის ოპერატიული საქმიანობის ნორმატიული მონესრიგების, ღონისძიებათა დაგეგმვისა და აღსრულების ეტაპები.⁵⁶⁶ თუმცა, აქაც შესაძლოა მსჯელობა ოპერატიული ღონისძიებების სახეების მიხედვით განსხვავებული კონტროლის აუცილებლობაზე.

საგამოძიებო ორგანოს, შესაძლო მტკიცებულებათა იდენტიფიცირების მიზნით, პრობლემად ესახება ოპერატიული რეაგირების შეფერხება, რაც მოქმედი კანონით⁵⁶⁷ ნებისმიერი ტიპის ოპერატიულ ღონისძიებაზე პროკურორის წერილობითი ნებართვის მიღებას შეიძლება უკავშირდებოდეს. პრაქტიკაში უთითებენ, რომ ნებართვის მოპოვებას დროის მნიშვნელოვანი რესურსი სჭირდება, კერძოდ, გამოძიებელმა ოპერატიული ღონისძიების საჭიროების თაობაზე უნდა აცნობოს პროკურორს, ხოლო ეს უკანასკნელი, შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, მოამზადოს თუ არა წერილობითი თანხმობა. შემდეგ კი საგამოძიებო უწყებამ ფიზიკურად უნდა მოიპოვოს სხვა უწყებაში არსებული, ოპერატიული ღონისძიების ჩატარების ნებართვის დოკუმენტი. მხოლოდ ამ ეტაპების შემდგომ არის შესაძლებელი ოპერატიული მუშაკის მიერ საქმისთვის რელევანტური მოქმედების განხორციელება, პირობითად, შემთხვევის ადგილზე მისვლა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით მოთხოვნილი პროკურორის თანხმობისთვის ამ, თუნდაც ფორმალური ეტაპების გავლა, განსაკუთრებით გამოძიების საწყის ეტაპზე, აჭიანურებს შესაძლო მტკიცებულებათა იდენტიფიცირების პროცესს.⁵⁶⁸

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დანაყოფის ოპერატიული საქმიანობის მთავარ მიზანს გამოძიების დაწყების დროისთვის ყველა შესაძლო მტკიცებულების სწრაფი იდენტიფიცირება წარმოადგენს. ამ საქმიანობაზე, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პროკურატურის ზედამხედველობა არაქმედითია. ამასთან, საგამოძიებო უწყებების მიერ ოპერატიული ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებით, ზოგად პრობლემას წარმოადგენს კანონმდებლობით დაწესებული კონტროლისა და ზედამხედველობის არაეფექტიანობა. თავად კანონი საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებას, რომელიც ოპერატიულ ღონისძიებათა ბუნების გათვალისწინებით, განსხვავებულ რეჟიმს დააწესებს, ერთი მხრივ, სამძებრო, მეორე მხრივ კი, საგამოძიებო მიზნებისთვის ოპერატიული ღონისძიებების გამოყენებაზე და მათ ნაწილს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასახავს.⁵⁶⁹

⁵⁶³ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

⁵⁶⁴ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019 წ., გვ. 74, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PJmoS3>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁶⁵ იქვე.

⁵⁶⁶ იქვე.

⁵⁶⁷ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁶⁸ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებსა და ოპერატიულ მუშაკებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁶⁹ EMC, ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019 წ., გვ.15-16, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PJmoS3>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

8.2.7. შიდაჯიგაპალი გადაწყვეტილების მიღების უზღაბამოსილაა

სისხლის სამართლის საქმეზე ნებისმიერი ტიპის შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება შედის პროკურორის კომპეტენციაში.⁵⁷⁰ გამოძიების გარკვეულ სტადიაზე იგი, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, წყვეტს გამოძიების შეწყვეტის თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხს.

გასული წლის მონაცემებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ. სისხლის სამართლის 24 საქმეზე შეწყდა გამოძიება.⁵⁷¹ 23 შემთხვევაში გამოძიების შეწყვეტის საფუძველი იყო კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა,⁵⁷² ხოლო სისხლის სამართლის 1 საქმეზე - პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა.⁵⁷³

დამკვიდრებული პრაქტიკით, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურატურა და საგამოძიებო დანაყოფი კოორდინირებულად მოქმედებენ. არსებობს გამოძიებულებსა და ზედამხედველ პროკურორებს შორის საკითხზე კონსულტირების გამოცდილება. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძველებით, გამოძიების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საქმეზე ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ამოწურება.⁵⁷⁴

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ამ საკითხზე საგამოძიებო დანაყოფისა და პროკურატურის მიდგომები განსხვავებულია. პროკურატურის ხედვით, პირის ბრალდებულად ცნობამდე ყველა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება ამოწურული უნდა იყოს,⁵⁷⁵ მიუხედავად იმისა, რომ პროცესუალურად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, გამოძიება და მტკიცებულებების მოპოვება გრძელდება. საგამოძიებო სამსახურის შეფასებით კი, როდესაც საქმეზე არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, გადაწყვეტილების მიღებას ყველა საგამოძიებო მოქმედების ამოწურვა არ უნდა აყოვნებდეს.⁵⁷⁶

საგამოძიებო სამსახურის მონოდედული ინფორმაციით, სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისმა მოადგილემ ზედამხედველ პროკურორს გასული წლის სისხლის სამართლის ერთ საქმეზე წარუდგინა დასაბუთებული წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ამის პასუხად, პროკურორმა წერილობითი მითითება გასცა და მოითხოვა საქმეზე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. შედეგი არ მოჰყოლია დევნის დაწყებაზე უარის გასაჩივრებას გენერალურ პროკურორთან, რომელმაც დასაბუთებულ წინადადებაზე გადაწყვეტილების მიღება კვლავ ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურზე ზედამხედველობის განმახორციელებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელს მიანდო.⁵⁷⁷

პროკურატურის ამგვარი მიდგომა - სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და მისი გაჭიანურება, მაშინ როდესაც საგამოძიებო სამსახური მტკიცებულებებს ბრალის წაყენებისთვის საკმარისად მიიჩნევს, უკიდურესად პრობლემურია. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნამდე, არასათანადო მოპყრობის საქმეთა არაეფექტიანად გამოძიების მასშტაბურ პრობლემაზე სრული პასუხისმგებლობა სწორედ

⁵⁷⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

⁵⁷¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 25 დეკემბრის SIS 5 20 00021209 წერილი.

⁵⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი.

⁵⁷⁴ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁷⁵ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁷⁶ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულებსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁷⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 19 მარტის SIS 5 21 00005440 წერილი.

პროკურატურას ეკისრებოდა, რადგან ამ ტიპის დანაშაულები მის საგამოძიებო ქვემდებარეობას ეკუთვნოდა. სპეციალური საგამოძიებო უწყების ჩამოყალიბებაც, ამ ტიპის საქმეებზე პროკურატურის მხრიდან ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოძიების ჩატარების ნების არქონას მოჰყვა. ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღება, სათანადო დასაბუთების და არგუმენტების გარეშე, ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს სამართალდამცავთა პასუხისგებაში არმიცემის სწორედ პროკურატურის მიერ დამკვიდრებული წარსული პრაქტიკის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების განზრახ გაჭიანურებას ბრალდების მხარისთვის შეიძლება მოჰყვეს არასახარბიელო თანმდევნი შედეგები, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებით დაწყებამ შესაძლოა ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა გამოიწვიოს, რომელიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.⁵⁷⁸

8.2.8. გენერალური პროკურორის მიერ უწყებრივი საგამოძიებო ქვემდებარეობის შესვლა

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების დამატებითი გამონვევაა მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით გენერალური პროკურორისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილება, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან საქმის ამოღებისა და მისი სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის თაობაზე.⁵⁷⁹ სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო პრაქტიკაში უწყებრივი ქვემდებარეობის დაუცველად საქმის სხვა ორგანოსთვის გადაცემის შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა მოქმედი დებულება დამოუკიდებელი საგამოძიებო საქმიანობის დაბრკოლების თეორიულ რისკად, თავად სამსახურის მიერაც განიხილება.⁵⁸⁰

გენერალური პროკურორის ამ ექსკლუზიური უფლებამოსილების საპასუხოდ, სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონი ითვალისწინებს საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებას, წარადგინოს დასაბუთებული წინადადება საქმის გამოსაძიებლად გადაცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით.⁵⁸¹ გენერალური პროკურორი კი საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლასთან დაკავშირებით საკითხს დასაბუთებული წინადადების წარდგენიდან 24 საათში განიხილავს.

ინსტიტუციურად ცალკე მდგომი საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, კრიტიკის საგანია როგორც გენერალური პროკურორისთვის საგამოძიებო ქვემდებარეობის შეცვლისა და საქმის სხვა უწყებისთვის გადაცემის უფლებამოსილება, ისე გადაწყვეტილების შეცვლასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცედურა. კერძოდ, უწყებრივი საგამოძიებო კომპეტენციის შეცვლის ჩანაწერი პირდაპირ არ შეიცავს ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების აუცილებლობას. გარდა ამისა, საპროცესო კოდექსი, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, არ განსაზღვრავს საქმის გამოსაძიებლად გადაცემის საფუძველებს. ამასთან, გენერალური პროკურორის მიერ დამოუკიდებელი სამსახურის საგამოძიებო მანდატს მიკუთვნებული საქმის სხვა უწყებისთვის გადაცემის შემდგომ, იგი კვლავ თავად განიხილავს იმავე საქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისადმი გადაცემის საკითხს. კანონი არც ამ შემთხვევაში ითვალისწინებს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას, ისევე როგორც საგამოძიებო სამსახურისთვის საქმის გადაცემაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. მიღებულ გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის არარსებობა კიდევ უფრო ზრდის საკანონმდებლო ჩანაწერის თვითნებურად გამოყენების, დაუსაბუთებელი და არა-ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს.

⁵⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

⁵⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁸⁰ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებლებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁸¹ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი.

8.3. ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის პროცესუალური გარანტიები

სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დანაყოფის ხელმძღვანელსა და ზედამხედველ პროკურორს შორის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას წარმოშობილ სხვადასხვა საკითხზე მოსაზრებების წარდგენის განსაკუთრებულ წესებს ითვალისწინებს „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ კანონი. საგამოძიებო უწყების ხელმძღვანელის ამგვარი სპეციალური უფლებამოსილება დადგენილია მხოლოდ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და არ ვრცელდება სხვა საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე.

8.3.1. დასაბუთებული წინადადებით მიმართვის ინსტიტუტი

სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამის მოადგილეს შეუძლია უწყებრივ ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეზე ზედამხედველ პროკურორს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები:

1. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ);
2. იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, რომლებიც პროკურორის შუამდგომლობით და სასამართლოს განჩინების საფუძველზე ტარდება;
3. სასამართლოში გამოსაკვლევ მტკიცებულებათა ნუსხაში კონკრეტული მტკიცებულებების შეტანის თაობაზე.

დასახელებულთაგან, სამსახურის გამოცდილებით, მტკიცებულებათა ნუსხაში ცვლილებების განხორციელებაზე დასაბუთებული წინადადება პროკურატურაში არ გაგზავნილა,⁵⁸² რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ საგამოძიებო უწყების ქვემდებარე საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ზოგადად, მაღალი არ არის. გარდა ამისა, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისთვის სათანადო მტკიცებულებათა შეხედულებისამებრ განსაზღვრა პროკურორის და არა გამომძიებლის ცალსახა უფლებამოსილებაა. რაც შეეხება გამოძიების შეწყვეტის წინადადებებს, 2020 წელს ზემდგომ პროკურორს 3 დასაბუთებული წინადადება წარედგინა, რომელთაგან ყველა დაკმაყოფილდა.⁵⁸³

საგამოძიებო სამსახურის პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება ასევე დასაბუთებული წინადადებით მიმართვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე. ამ საკითხზე, გასული წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილმა მოადგილემ, ზემდგომ პროკურორს 29 დასაბუთებული წინადადებით მიმართა, რომელთაგანაც 24 კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვას, 5 ამოღების ჩატარებას შეეხებოდა. წარდგენილი წინადადებებიდან ერთი მათგანი ნაწილობრივ, ყველა სხვა კი სრულად დაკმაყოფილდა.⁵⁸⁴

დასაბუთებული წინადადების არგამზარების შემთხვევაში, გასაჩივრების საკანონმდებლო მექანიზმი არაეფექტიანია. პროკურორის უარი ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს გენერალურ პროკურორთან, რომელიც 72 საათის ვადაში წევრს საჩივრის ბედს.⁵⁸⁵ დადგენილ ვადაში, არ არის გამორიცხული, საკითხზე სამართლებრივ დავას აზრი დაეკარგოს, პირობითად, საგამოძიებო მოქმედების დაგვიანებით მტკიცებულების განადგურების გამო. გარდა ამისა, პრობლემურია ისიც, რომ კანონი არ ითვალისწინებს

⁵⁸² ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებლეთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁸³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 25 დეკემბრის SIS 5 20 00021209 წერილი.

⁵⁸⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Q54Y1A>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁸⁵ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 ნაწილი.

გენერალური პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ეს პრობლემა მკაფიოდ გამოჩნდა გასულ წელს, როდესაც საგამოძიებო სამსახურის დასაბუთებული წინადადება, საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე, პროკურატურამ არ დააკმაყოფილა.⁵⁸⁶

ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დასაბუთებული წინადადება პროკურატურას საქმის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით წარედგინება და ამ ბერკეტის გამოყენება, ძირითადად, საგამოძიებო უწყებასა და ზედამხედველ ორგანოს შორის ამრთა სხვადასხვაობის დროს გამოიყენება. როგორც აღინიშნა, კანონმდებლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას პროკურატურას მიანდობს და არ უშვებს სასამართლო კონტროლის გზით მისი გადამოწმების შესაძლებლობას. საგამოძიებო სამსახურისგან განსხვავებით, პროკურატურა არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს პრობლემურად არ აღიქვამს.⁵⁸⁷

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დასაბუთებული წინადადებით მიმართვის უფლებამოსილება სხვა საგამოძიებო ორგანოების საქმიანობისგან განსხვავებულ როლს ანიჭებს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურს, სწორედ თავისი მანდატის გამო - ეფექტიანად გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. ამის მიუხედავად, ეს ინსტრუმენტი დროული და ქმედითი არ არის გამოძიების პროცესში, რამდენადაც დასაბუთებულ წინადადებას არ აქვს მბოჭავი ხასიათი და პროკურატურის ნებაზე დამოკიდებული მისი გაზიარება. ამასთან, პროკურატურის უარის გასაჩივრების პროცესში მაღალი თანამდებობის პირების - სახელმწიფო ინსპექტორის და გენერალური პროკურორის უშუალო მონაწილეობის აუცილებლობა, ნაცვლად საქმის მწარმოებელი პირებისა, გასაჩივრების დროში განვლილი ვადები, ფაქტობრივად, ამრს უკარგავს მის გამოყენებას შედეგიანობის თვალსაზრისით.

8.3.2. სხვა უწყებაში მიმდინარე საქმის გახსოვის უზღუდვები

უწყებრივ კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულებზე რეაგირებისთვის კანონმდებელი ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურისადმი საქმის დაქვემდებარების რამდენიმე შემთხვევას: 1. როდესაც სხვა საგამოძიებო დანაყოფმა დაიწყო საქმეზე გამოძიება და შემდეგ გამოიკვეთა ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარება. ამ ვითარებაში, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, საქმე ქვემდებარეობის დაცვით გადაეცემა ინსპექტორის საგამოძიებო დანაყოფს;⁵⁸⁸ 2. თუკი საქმეში ერთდროულად იკვეთება სახელმწიფო ინსპექტორის და სხვა საგამოძიებო უწყების ქვემდებარე დანაშაულთა ნიშნები, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შემდგომ საქმე, მისი ნაწილის გამოყოფით ან სრულად, გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს;⁵⁸⁹ 3. როდესაც ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური ფლობს ინფორმაციას, რომ მის მანდატს მიკუთვნებულ დანაშაულზე გამოძიება სხვა უწყებაში მიმდინარეობს, ის უფლებამოსილია, მოითხოვოს საქმის მასალების გაცნობა და ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, მისი გამოსაძიებლად გადაეცემა.⁵⁹⁰

ისეთ ვითარებაში, როდესაც დამოუკიდებელ სამსახურს აქვს ინფორმაცია, რომ სხვა სამართალდამცავი ორგანო მის მანდატს მიკუთვნებულ საქმეზე აწარმოებს გამოძიებას, სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე მიმართავს გამოძიების წარმმართველ უწყებას საქმის მასალების გაცნობის თაობაზე და დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, ზედამხედველი პროკურორისგან მოითხოვს ინსპექტორის

⁵⁸⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2021 წ., გვ. 170-171, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Q54YiA>, წვდომის თარიღი: 07.04.2021.

⁵⁸⁷ ინფორმაცია ეფუძნება პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულსა და პროკურორებთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

⁵⁸⁸ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁸⁹ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი.

⁵⁹⁰ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი.

საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულზე საქმის გადაცემას. ზედამხედველი პროკურორის მიერ დასაბუთებულ წინადადებაზე უარი ერთჯერადად საჩივრდება გენერალურ პროკურორთან, რომელიც 24 საათის ვადაში განიხილავს მოადგილის დასაბუთებულ წინადადებას, მისი გადაწყვეტილება კი საბოლოოა და სასამართლოში გადამონმებას არ ექვემდებარება.

გასული წლის მონაცემებით, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილი მოადგილის მოთხოვნით, მოხდა სხვა საგამოძიებო უწყებების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის 2 საქმის გაცნობა. თუმცა, გაცნობის შედეგად არ გამოიკვეთა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები და ზედამხედველ პროკურორს არ წარედგინა წინადადება სისხლის სამართლის საქმეების გამოსაძიებლად გადმოცემის თაობაზე. გარდა ამისა, უწყებას სხვა საგამოძიებო დანაყოფებიდან გამოსაძიებლად გადაეგზავნა სისხლის სამართლის 11 საქმე.⁵⁹¹

სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონით ქვემდებარეობის საკითხების სპეციალური მონესრიგება წამების და არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევებზე საგამოძიებო სამსახურის მხრიდან სრულყოფილ რეაგირებას ემსახურება. ამავდროულად, კანონი სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის გადაწყვეტილება მიიღონ დაუყოვნებლივ, როგორც კი დასრულდება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

სათანადო საფუძვლების წარმოშობისთანავე გადაწყვეტილების მიუღებლობამ შესაძლოა, იმ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა განაპირობოს, რომლებიც საქმის გადაგზავნის საფუძვლის წარმოშობის შემდეგ იქნა მოპოვებული.⁵⁹² შესაბამისად, უწყებრივი ქვემდებარეობის დაცვა პირდაპირ კავშირშია საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოსადგობასთან. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც სხვა საგამოძიებო ორგანო სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას ატარებს, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის ინფორმაციით, საქმე მის უწყებრივ კუთვნილებაში ექცევა.

საგამოძიებო უწყების გამოცდილებით, სხვა ორგანოში მათ უწყებრივ კუთვნილებაში შემავალ დანაშაულზე გამოძიების შესაძლო წარმოების შესახებ ინფორმაციის წყარო, ძირითადად, მასმედია ან მოქალაქის შეტყობინებაა. ინსპექტორის მოადგილეს აქვს გამოცდილება, დასაბუთებული წინადადებით სხვა საგამოძიებო ორგანოში მიმდინარე საქმის მასალების გაცნობის თაობაზე მიმართვის წარდგენასთან დაკავშირებით, თუმცა, ინსპექტორის სამსახურის უწყებრივი ქვემდებარეობა, მასალების გაცნობის შედეგად, არ გამოკვეთილა. პრაქტიკაში იყო შემთხვევაც, როდესაც დასაბუთებული წინადადების ოფიციალურ წარდგენამდე საქმე გადაეგზავნა საგამოძიებო სამსახურს.⁵⁹³

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილი მოადგილის მიერ საქმის მასალების გაცნობა და სხვა საგამოძიებო ორგანოს უწყებრივი საგამოძიებო უფლებამოსილების შემოწმება ერთგვარი ინსტრუმენტია სისხლის სამართლის საქმეებზე ქვემდებარეობის დაცვით გამოძიების წარმოების უზრუნველყოფისთვის. ამავდროულად, ეს უფლებამოსილება ერთგვარ უხერხულობას ქმნის საგამოძიებო უწყებებს შორის იმდენად, რამდენადაც, თუკი დადასტურდა, რომ დანაშაულზე გამოძიება ქვემდებარეობის დარღვევით მიმდინარეობდა, კითხვები ჩნდება ქვემდებარეობის დარღვევით გამოძიების მწარმოებელი სამართალდამცავი ორგანოს არა მხოლოდ კომპეტენციის, არამედ საქმისადმი სუბიექტური დაინტერესებისა და მოტივაციის ნაწილშიც.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კანონით გათვალისწინებულ ამ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, პრობლემურია ისიც, რომ ინსპექტორის მოადგილისთვის მინიჭებული ამ უფლებამოსილების

⁵⁹¹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 25 დეკემბრის SIS 5 20 00021209 წერილი.

⁵⁹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ., გვ. 332.

⁵⁹³ ინფორმაცია ეფუძნება პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულთან ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

პრაქტიკული რეალიზება, არსებითად, უწყების გარედან შეტყობინების, ინფორმაციის მიღებაზე დამოკიდებული და მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, საქმის დაგვიანებით გადაცემით, შესაძლოა, ამრიგად დაეკარგოს დამოუკიდებელი სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების გაგრძელებას.



8.4. ღასკვნა

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედებიდან დღემდე კვლევის ფარგლებში შესწავლილი საკანონმდებლო ხარვეზები და პრაქტიკაში გამოვლენილ გამოწვევათა ანალიზი აჩვენებს, რომ წამებასთან ბრძოლის მიზნით შექმნილი, ინსტიტუციურად სხვა უწყებებისგან ცალკე მდგომი საგამოძიებო სამსახური, არსებითად, კვლავაც სისხლისსამართლებრივი დენის განმახორციელებელი ორგანოს მძლავრი გავლენის ქვეშ არის მოქცეული. აღნიშნულს კი არსებული საკანონმდებლო წესრიგი, საგამოძიებო უფლებამოსილების მაქსიმალური დავიწროება და საგამოძიებო პროცესის მთლიანად საპროკურორო კონტროლისადმი დაქვემდებარება განაპირობებს.

პროცესუალური კანონმდებლობა გამოძიებულს ბრალდების მხარედ განიხილავს და მას გამოძიების წარმართვისას პროკურორის გადაწყვეტილებებით ბოჭავს. პროკურორი გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე სისხლის სამართლის საქმეში გადაწყვეტილებას იღებს არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე - სისხლის-სამართლებრივი კვალიფიკაციის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, გასცემს გამოძიებულთათვის სავალდებულო მითითებებს სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ ეტაპზე. საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში გამოძიების კანონიერებაზე კონტროლის მიღმა, პროკურორს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგამოძიებო პროცესზე საგამოძიებო და ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების სახით.

კანონმდებლობა უშვებს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობის შეცვლას და არ განსაზღვრავს გენერალური პროკურორის ამ გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას. ამ პირობებში, დამოუკიდებელი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფა იმ სახელმწიფო უწყებაზე დამოკიდებული რჩება, რომლის საქმიანობაც წლების განმავლობაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე არაეფექტიანი რეაგირების გამო მკაცრი კრიტიკის საგანი იყო.

ამდენად, გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნა, სხვა საგამოძიებო უწყებებთან ერთად, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო საქმიანობის ფუნქციური დამოუკიდებლობის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიზნით კი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საგამოძიებო პროცესში გამოძიების უფლებამოსილების გაზრდა, საპროკურორო ზედამხედველობის შემოფარგვლა გამოძიების კანონიერებაზე კონტროლით და საგამოძიებო მოქმედებებზე გადაწყვეტილებების მიღებისგან პროკურორის დისტანცირება.



9. რეკომენდაციები



ინსტიტუციური ანალიზი

- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და მიკერძობების გამორიცხვის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ იმ თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელს, რომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც განიხილება, არ შეეძლოს დისციპლინური გადაცდომის განხილვის სხდომასა და კენჭისყრაში მონაწილეობა.
- მიზანშეწონილია, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გამოიყენოს სახელმწიფო ინსპექტორის აქტი, რაც ცალსახად უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.
- მიზანშეწონილია, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში განმცხადებლების ჩართულობის, ასევე დისციპლინური პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ მათი ინფორმირების უზრუნველყოფა.
- მიზანშეწონილია, კანონით გაიწეროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვალდებულება, პროაქტიულად გამოაქვეყნოს დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დევერსონიზებული სახით, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამჭვირვალობის ზრდას და მისდამი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით გაფართოვდეს იმ საკითხთა წრე, რომელსაც უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში. მიზანშეწონილია, კანონი სამსახურს ავალდებულებდეს ანგარიშში ასახოს დისციპლინურ საკითხთა საბჭოს საქმიანობის, საკადრო და ფინანსური საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე იმ საქმეების სტატისტიკა, რომლებზეც პროკურატურას დევნა არ დაუწყია.
- მიზანშეწონილია, სახელმწიფო ინსპექტორი თანამდებობაზე არჩეულ იქნას პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მუხუთედის უმრავლესობით.
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საგამოძიებო დანაყოფის სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, ასევე სხვადასხვა რეგიონში სტრუქტურული ერთეულების ეტაპობრივი დამატება.

სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა

- მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილებები სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით. ნათელი კრიტერიუმების შემოღებით უნდა აღმოიფხვრას სისხლის სამართლის კოდექსში წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის (144¹-144³) ამკრძალავ ნორმებთან სამოხელეო დანაშაულების (333-ე, 335-ე მუხლები) დუბლირება.
- საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური ნორმების უპირატესად გამოყენებაზე, ნაცვლად სამოხელეო დანაშაულის თავით განსაზღვრული ზოგადი სისხლისსამართლებრივი ნორმებისა.
- ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება კოლიზიაშია როგორც უფლებამოსილების გადამტების, ისე კოდექსის სპეციალურ შემად-

გენლობებთან, რაც ნორმას პრაქტიკული და შინაარსობრივი თვალსაზრისით უფუნქციოს ხდის. ამდენად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები დისპოზიციათა ურთიერთგადაფარვის გამოსარიცხად.

- საკანონმდებლო დონეზე ცხადი კრიტერიუმებით ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების დისპოზიცია დამამცირებელი მოპყრობისგან.
- მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის დისპოზიციის დასჯად ქმედებათა ჩამონათვალს (განმარტების, ჩვენების ან დასჯვის მიცემის იძულება) დაემატოს „ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება.“
- უნდა გამოირიცხოს დუბლირება სსკ-ის 144¹-ე მუხლსა და 335-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციებს შორს.
- უნდა დაკონკრეტდეს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ ძალადობის სუბიექტები. რეკომენდებულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებას - „პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით“ დაემატოს „დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან დაწესებულებაში მყოფი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.“
- ამავე მუხლის მეორე ნაწილის ქმედების ობიექტურ შემადგენლობას ჩვენების შეცვლისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გარდა, უნდა დაემატოს „დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება, მისცეს ჩვენება.“ მიზანშეწონილია, განისაზღვროს „მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების“ დეფინიცია და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით მსჯავრდებულის იძულების წინადადებას დაემატოს „ბრალდებულის“ იძულება.
- საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისა და გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე.
- განისაზღვროს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის უპირატესი იურისდიქცია ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებით, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ გამოძიების პროცესში წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. უპირატესი იურისდიქცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს საშუალებას მისცემს, განსაკუთრებით სენსიტიური საქმეები, რომლებიც მისი ეფსკლუზიური იურისდიქციის მიღმა რჩება, თუმცა აჩენს ინტერესთა კონფლიქტის და შესაბამისად, არაეფექტური გამოძიების წარმოების რისკებს, დაექვემდებაროს სამსახურის საგამოძიებო მანდატს.
- სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციაში შევიდეს სამართალდამცავთა მხრიდან გამოძიების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება, გამოხატული მტკიცებულებათა ფალსიფიცირების, განადგურების, უკანონო დაკავების, გამოძიების განზრახ არასათანადოდ წარმართვის ქმედებებში. ამ მიზნით, რეკომენდებულია, სათანადო ადამიანური, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში, სამსახურის საგამოძიებო მანდატს, დაემატოს:
 - ▶ სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლის პირველი ნაწილები, ჩადენილი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მხრიდან;
 - ▶ სსკ-ის 147-ე, 148-ე, 368-ე, 369 პრიმა მუხლები.
- შესაძლოა, სამომავლოდ სამსახურის ქვემდებარეობას მიეკუთვნოს სსკ-ის 157-159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები - პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, პერსონალური მონაცემების, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის საქმეები, ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პოლიტიკური მიზნებით გამოყენებისა და ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

სამსახურის უზღაბროსილაებაი გამოძიების სფეროში

- მიზანშეწონილია, ნორმატიულად დარეგულირდეს საჯარო უწყებების მიერ ინსპექტორის სამსახურისთვის დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაგზავნის კონკრეტული (უმოკლესი) ვადა და ფორმა.
- მიზანშეწონილია, სისხლის სამართლოს საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი მოსამართლისთვისაც გაიწეროს ვალდებულება, რეაგირებისთვის მიმართოს შესაბამის გამოძიების ორგანოს თუ მას გაუჩნდა ეჭვი, რომ პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა ან თუ ამის შესახებ სასამართლოს თავად ეს პირი განუცხადებს.
- მიზანშეწონილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობა. მნიშვნელოვანია, სამსახურის ცხელი ხაზის შესახებ მოქალაქეების ინფორმირების მიზნით გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნების არსებობისას პირდაპირ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებას.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერატიული სამმართველოს დებულების დროულად დამტკიცება.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე ყველა დანაშაულზე გავრცელდეს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება.

საგამოძიებო პროცესში არსებული ძირითადი დავარქოლებების ანალიზი

- აუცილებელია, კანონმდებლობა იმპერატიულად ითვალისწინებდეს მოქალაქესთან სამართალდამცავი პირის კონტაქტის დოკუმენტირებას აუდიო ან ვიდეო ფიქსაციის წესით.
- სამართალდამცავი უწყების შენობები, შიდა და გარე ტერიტორია, სამართალდამცავთა სამსახურეობრივი ავტომანქანები სათანადო ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს, რაც მოქალაქესთან სამართალდამცავის ურთიერთობის დოკუმენტირებას უზრუნველყოფს.
- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მოქალაქესთან კონტაქტის დროს უნდა ევალუოდეთ სამხრე-ვიდეო კამერით ვიდეოგადაღება უწყვეტ რეჟიმში, რაც კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ვითარების ობიექტურად ასახვას უზრუნველყოფს.
- საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლო მტკიცებულების მოპოვების მიზნით სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვისას, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ამგვარი ინფორმაციის მიწოდების შემჭიდროვებული ვადები, ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში კი - სახელმწიფო უწყების მხრიდან შესაბამისი დასაბუთების ვალდებულება.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ შიდა ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით უნდა დაუშვას მის ერთიან ბაზაში არსებული აუდიო/ვიდეოჩანაწერების დროებით შენახვის, (დაარქივების) შესაძლებლობა, რაც სასამართლო განჩინების მიღებამდე მტკიცებულებათა წაშლის/განადგურებისგან დაცვას უზრუნველყოფს.

- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებს კანონმდებლობა უნდა ანიჭებდეთ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში დაუყოვნებლივ შესვლის უფლებამოსილებას. მიზანშეწონილია, პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებებით, საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებზე გავრცელდეს სპეციალური ნებართვის გარეშე დაწესებულებაში ვიზიტის წესი.
- სამართალდამცავთა მიმართ მხილების და მამხილებელთა დაცვის მექანიზმის ამოქმედებისთვის, აუცილებელია შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დროულად მიიღონ საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მამხილებლის დაცვის სპეციალური რეგულაციები, ან არსებული კანონმდებლობა სპეციალური დათქმების გარეშე გავრცელდეს ამ უწყებების თანამშრომლებზე.
- სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურს, ყველა საგამოძიებო ორგანოს მსგავსად, უნდა შეეძლოს მონშეთა/დაზარალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაცვის სპეციალური ღონისძიებების მეშვეობით, რაც სპეციალურ საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.
- მნიშვნელოვანია, დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზაზე წარდგენა ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.
- მიზანშეწონილია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს ზედამხედველ პროკურორს პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიენიჭოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება, რაც მსხვერპლის, მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის უსაფრთხოების დაცვის მყარ გარანტიებს უზრუნველყოფს.

საპროკურორო სელექციონისა და ზედამხედველობის უარგებულება

- აუცილებელია, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური, ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან ერთად, სარგებლობდეს ფუნქციური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. აღნიშნულს უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით დაწყებული საგამოძიებო სისტემის რეფორმის დროული და სრულყოფილი გატარება. რეფორმამ უნდა შექმნას მყარი საკანონმდებლო გარანტიები ქვეყანაში კვალიფიციური და მიუკერძოებელი გამოძიებისთვის, გამომძიებლის პროფესიული დამოუკიდებლობის, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების სწორი გამიჯვნისა და ბალანსისთვის.
- მიზანშეწონილია, სახელმწიფო ინსპექტორის გამომძიებელი სარგებლობდეს დამოუკიდებლად გადამწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით - ადამიანის უფლებების შემზღვევა ღონისძიებების, სასამართლოში მონაწილეობის, სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის და სხვა საკითხებზე, რაც საგამოძიებო სისტემის რეფორმის გონივრული განხორციელებით შესაძლებელი იქნება.
- უნდა დაიხვეწოს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილებების - დასაბუთებული წინადადების წარდგენისა და საქმის უწყებრივი ქვემდებარეობის თაობაზე სხვა უწყებებთან ურთიერთობის წესების, ვადების, გადანაცვების გასაჩივრების პროცედურა. ეს საკითხები ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმის შემუშავე-

ბას საჭიროებს.

- უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის უწყებრივად ქვემდებარე საქმის გენერალური პროკურორის მიერ სხვა უწყებისთვის გადაცემის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა.
- მიზანშეწონილია, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურს, უპირატესი იურისდიქცია ჰქონდეს დანაშაულთა ერთობლიობით გამოძიების წარმოებისას (როდესაც საქმის ნაწილში იკვეთება სამსახურის არაქვემდებარე დანაშაულის ნიშნები) საქმის ნაწილის გამოყოფის გარეშე, მთლიანად გამოძიებასთან მიმართებით.
- მნიშვნელოვანია, ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლის გადანყვეტილება იყოს დასაბუთებული, შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპამდე, საქმის მწარმოებელ გამოძიებლებთან კოორდინირებულად მიღებული.

